კვირის პალიტრა

ფეხი

N23(156) 5/VI.-11/VI.2003.ფასი 60 თ.

1168
2003

„ჩემს არჩევანს ჩვეულებრივ ბოგორნაზე შევაჩერებ“

დათო ხუჯაძეს დაოჯახების სურვილი გაუჩნდა

რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა

ნიკუშა შინგელაიას ეკლესიასთან საქველმოქმედო შადრევანი არ აგებინეს

ავთო ვარსიმაშვილი: „ეს არ არის თავხედური განცხადება...“

«რეიტინგ ჯგუფი»
38-68-77
877 46-58-49
თქვენი კარიერის ჰარმონია

კვირის პალიტრა
№23 (156)
5 — 11 ივნისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ციხეს რად უნდა რკინის კარები“... 3
ერთი კითხვა 4
ქვეყანა
„ქართული პოლიტიკის თეატრი“ და მისი მიღწევები 6
სცენა
ავთანდილ ვარსიმაშვილი: „ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია“ 8
სასიძო
● გიორგი იასაკაძეს თანასკოლელი ეხმიანება;
● დათო ხუჯაძე ქალისადმი თავის მოთხოვნებს გვიმხელს 10
კრიმინალი
● რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა 12
● დამნაშავემ პოლიციის მანქანას ხელყუმბარა ესროლა 14
● რუსთაველი კრიმინალი შეურაცხადად ცნეს 15
თვალსაზრისი
რამდენად მყარია სტუდენტობისას შექმნილი ოჯახი 16
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 17
ქალი საჭესთან
მართვის მოწმობის ნაცვლად, მომღერალი პოლიციელებს ავტოგრაფებითა და აუდიოკასეტებით ასაჩუქრებს 18
გემოვნება
კონტრასტული ფერების, იეროგლიფებისა და ეგზოტიკური ნივთების გარემოცვაში... 19
პროგლემა
მშობიარობის დროს, ქალის ინტელექტის გამომძღავნება ხდება 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-მემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
მსახიობი
სიცილის დედოფლის ნაღვლიანი აღსარება 26
სადაურსა სად წაიყვან
პაპუასების მიერ შეჭმული ჯეიმს კუკის შთამომავალი თბილისელი ქალბატონი 28
დიზაინერი
პარიზული შტრიხებით აღბეჭდილი, 70-იანი წლების მოდა 31
საოჯახო ფსიქოლოგია
● უქმნის თუ არა ბავშვი საფრთხეს ოჯახურ ბედნიერებას? 32
● რჩევები დაბნეულ ქალებს 33
ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ „ფსალმუნებთან“ დაკავშირებით? 34

ავთანდილ ვარსიმაშვილი: „ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია“

სტრიპტიზის სცენა ძალიან ზუსტად ეწერება სპექტაკლის კონტექსტში. ჩვენი ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია... ამიტომ მაყურებლები აღიქვამენ, როგორც მეტაფორას და არა როგორც ეროტიკას.

8

დათო ხუჯაძე ქალისადმი თავის მოთხოვნებს გვიმხელს



ქალმა თავისი საქმე უნდა იცოდეს — ხაჭაპურის გამოცხობაც და სარეცხის რეცხვაც. თუ არ ეცოდინება, ჩემოდნებში ჩავულაგებ ტანისამოსს და სადარბაზოში გავდგამ, მასაც გარეთ დავაყენებ და კარს ზურგს უკან მივუკეტავ...

10

რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა

პელაგია ბეჭაშვილი, რომელსაც ქმარი ადრე გარდაეცვალა და ერთადერთი ვაჟი — 14 წლის გიორგი ქუჩაში, უპატრონოდ დარჩა, თავს დამნაშავედ არ ცნობს. იგი მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ მისი დედამთილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

12

მართვის მოწმობის ნაცვლად, მომღერალი პოლიციელებს ავტოგრაფებითა და აუდიოკასეტებით ასაჩუქრებს

ფეხი „გაზზე“ მქონდა მიჭერილი და უცბად ქუსლი ჩამეჭედა პედლის ღარში. ვერაფრით შევძელი პედლიდან ფეხის აღება. არადა, მამაჩემი განწირული ყვიროდა: დაამუხრუჭე, დაამუხრუჭეო!..

18

დღესასწაული

იესო ქრისტემ სძლო სიკვდილს, დათრგუნა და განაქარვა სიკვდილი 35

ქართველები

„სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ 36

სასარგებლო აზრები

აუორიზმების ენციკლოპედია 37

საკლუბო ფეხბურთის გრანდები

„მილანი“ – სუპერკლუბის გზა დაარსებიდან დღემდე 39

რომანი

რუსულიდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

კირსტენ დანსტი დაოჯახების პასუხისმგებლობას ვერ კისრულობს 46

სპორტული მოზაიკა 48

უფლისწულები

ბრიტანელ პრინცებს პრესისგან სამხედრო აკადემიის კედლები დაიცავს 49

ავტო 50

სპორტული დარბაზი

კუნთების დასაყენებლად ბოდიბილდინგს 82 წლის ქალიც მისდევს 52

ტესტი

ერთგული მკითხველი 53

ეკრანს მიღმა 54

პირადი ცხოვრება 55

ჯანმრთელობა

- გულის არითმეტიკა 56
- როგორ დავბრუნდეთ მოგზაურობიდან ჯანმრთელნი 57
- დიასახლისის კუთხე 58
- კითხვა-პასუხი 59

იუმორი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (9-15 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ქორწინებით? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სიცილის დედოფლის ნაღვლიანი აღსარება

რა უნდა ჰქონოდა საერთო მეათეკლასელ ბიჭს მეხუთეკლასელთან?! დავურეკავდი და ჩავურთავდი ხოლმე „ჩუ-ჩუ“-ს. წყალტუბოში ყველა ერთმანეთს იცნობდა. უთხრეს: „ჩუ-ჩუ“ მზიას აქვსო.

26

პაპუასების მიერ შეჭმული ჯეიმს კუკის შთამომავალი თბილისელი ქალბატონი

დეიდებმა რამდენჯერმე შემოუთვალეს – ან შენ ჩამოდი, ან რომელიმე შვილი გამოგზავნე, რომ მემკვიდრეობა დავუტოვოთო. მაგრამ ჰერტრუდამ ვერც ერთი შვილი ვერ გაიმეტა უცხოეთში გადასაკარგავად.



28

კირსტენ დანსტი დაოჯახების პასუხისმგებლობას ვერ კისრულობს

ჰოლივუდის მიერ კირსტენ დანსტის თაობა ასე მოინათლა – „ასაკისათვის შეუფერებლად ჭკვიანი მოზარდები“. ამ კომპანიაში მასთან ერთად მოიაზრებიან: ქრისტინა რიჩი, კლერ დეინსი და ნატალი პორტმანი. ამერიკის დღევანდელი საზოგადოება სწორედ ასეთ მოზარდებზე ამყარებს იმედებს.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

მესამე დღეს, მოსკოვის აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპზე ჩამომავალ დეას უცბად, კინაღამ მუხლები მოეკვეთა: ტრაპის წინ ეშმაკურად მოღიმარი გიგოლა იდგა...

42

„ცხეს რაღ უნდა რუსის ყარები"...



რატომ ხდება ამდენი გაქცევა ციხეებიდან? კარგა ხანია, ეს კითხვა არ ასვენებს ქართველ სამართალდამცავებს, დღედაღამ მიმდინარეობს კაბინეტებში ყავის სმა და მკითხაობა-მარჩიელობა, მაგრამ ჯერ არც პასუხი იციან და არც გაქცეულთა ადგილსამყოფელი. ისე, ოპერატიულად რომ მუშაობენ, ამას წყალი არ გაუვა – 24 საათში უკვე იცოდნენ, რამდენი კაცი იყო გაქცეული და კერძოდ – ვინ. შესაშურია პირდაპირ!.. ეტყობა, ქობალია, აბსანძე და მათი „პადელნიკები" ცუდ ფეხზე გაიქცნენ მაშინ; მას მერე, გარბის და გარბის, ვისაც სირბილი და გვირაბის თხრა არ ეზარება... ხანდახან მაინც დაკეტეთ კარი, თქვე დალოცვილებო, თორემ „სკვაზნიაკი" დააცივებს საცოდავ პატიმრებს და ვინც დაგრჩათ, ისინიც აღარ შეგრჩებათ...

აბსანძის გაქცევა მართლაც, სენსაცია იყო. ახლაც მახსოვს კრიმინალისტთა გაფართოებული თვალები – ასეთ ვიწრო გვირაბში ამსიმსხო კაცი როგორ გაეტიაო?! – მაგრამ თუ „ლავუაზიეს კანონს" გავიხსენებთ, გასაკვირი არაფერია (ფილმი „შერეკილებიც" მახსენდება: „ამ ხვრელში უკვე ვიყავით, უფროსო, ახლა იმ ხვრელში უნდა შევძვრეთ") – ხვრელში კი არა, ნემსის ყუნწშიც ძვრებიან საქართველოს ციხეკოლონიებსა და იზოლატორებში მოხვედრილები, ოღონდაც გარეთ გამოაღწიონ. რატომ?

ალბათ იმიტომ, რომ ცუდი პირობები აქვთ, თორემ, როგორც კანონითაა გათვალისწინებული, ისე რომ ცხოვრობდნენ, ვინ ოხერი გაანძრევს ხელს? ვინმე გაიქცეს კი არა, თუ სადმე უმუშევარი და პენსიააუღებელია, ყველა ჩაიდენს დანაშაულს, რომ თქვენთან გამოიზამთროს მაინც.

პირობები კი, როგორც ამბობენ, საპატიმროებში მართლაც ცუდია. თუ ვინმემ გამოაღწია, ყველა ამბობს: ისე ექცევიან პატიმრებს, რომ შეგაძულებენ კაცს იქ მისვლასო.

თანაც, სულ ახლახან არ მოაწერა პრეზიდენტმა პატიმართა მორიგ შეწყალებას ხელი? როგორც ეტყობა, ამ თხუთმეტ კაცსაც უნდა შეხებოდა ეს შეწყალება და იმედი რომ გაუცრუვდათ, ადგნენ და თვითონ მოინანიეს და შეიწყალეს კიდეც საკუთარი თავი. ჰოდა, თუკი მართლა ასეა, რაღას დავდევთ? „გაუშვით, იფრინონ"!.. თქვენ კი, ისევ ეძებთ და თან – როგორ ეძებთ? გაიგებთ თუ არა, ვინმე გაიქცაო, რეიდებს აძლიერებთ ქალაქში. განსაკუთრებით „ლაგუნა ვერესთან" გიყვართ პიკეტირება – თითქოს ის გაქცეულები „ბასეინზე" მივლენ საბანაოდ და „დასირისტებული" ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. ისე, არც ეს აზრია ლოგიკას მოკლებული და ადროვეთ – იქნებ, საკუთარი ფეხით დაბრუნდნენ...

მეორეც: გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული ისტორიის ამბავი: სტალინიც გაიქცა თავის დროზე ციხიდან და იმასაც დასდევდნენ, მაგრამ მერე, დიდი ლენინის ამხანაგი და პროლეტარიატის ბელადი გახდა. იქნებ, ახლანდელი გაქცეულებიდანაც გახდეს ვინმე სახელმწიფოს დღევანდელი მეთაურის იდეებისა და საქმის გამგრძელებელი?!. აუ, იპოვეთ და დააბრუნეთ ციხეში, რა!..

არც თვითონ პატიმრები არიან მართლები და მინდა, ორიოდე „სმეშნოი" სიტყვა მათაც ვუთხრა: თქვე კაი ხალხო, სხვის ჯიბეში რომ ძვრებით და რაღაც 15-17 ლარს იპარავთ ან ვინმეს ოჯახს აყაჩაღებთ – დაგიჭერენ და „გაგსროკავენ", აბა რა იქნება?! ხელები გექავებათ, ხომ? იარაღის და დენთის სუნი გხიბლავთ, ხომ? ჰოდა, თუ ასეა, კეთილიც ინებეთ და გაჩერდით კიდეც იმ ციხეში, რას დარბიხართ აქეთ-იქით?! ვისაც უნდა – შევა, ვისაც უნდა – გამოვა, ციხეა, ბოლო-ბოლო, თუ სამტრედიაბათუმის „ელექტრიჩკა"?! ეგრე სადაა: მოპარვა გინდათ, ჩაჯდომა არ გინდათ. თუ ჩაჯდომა არ გინდა, 15-17 ლარი კი არა – 15-17 მილიონი უნდა მოიპარო, ვიღაც საწყალი კი არა – პირდაპირ ქვეყნის ბიუჯეტი „გაჩისტო" ან გრანტი გააჩალიჩო, კრედიტი აახიო; გასაგებია?..

დაგიჭერენ კი არა, პირიქით – ჯერ პარლამენტში შეგიპატიჟებენ – აგერ დაბრძანდით, ბატონოო, – მერე კანცელარიაში. არც „პერედაჩის" ლოდინი მოგიწევს და არც შეწყალებასა თუ თვითშეწყალებაზე ზრუნვა... გტკიცავენ იმუნიტეტს შუბლში (თუ შუბლზე – ზუსტად არ ვიცი, როგორ ითქმის უფრო სწორად) და იქურდ-იყაჩაღე, რამდენიც გენებოს – ვის არ შერჩენია, შენ რომ არ შეგრჩეს?!.

P.S. სარეკლამო განცხადება:

„გთავაზობთ სუპერგახდომას დიეტის გარეშე, ფიგურის დათხელებას და სხეულის კორექციას ნებისმიერი ფორმით. ეფექტი გარანტირებულია.

თბილისის №5 იზოლატორი"...

პროვოკატორი

„საზოგადოებას დავანახვეთ, რომ არ გვინდა არეულობა და დესტაბილიზაცია“

— როგორ ფიქრობთ — ასე ცეკვა-თამაშითა და მუსიკის თანხლებით ჩატარებული აქციები გამოიღებს შედეგს? და კიდევ — თავდაპირველად მოითხოვეთ ცვლილებების შეტანა საარჩევნო კოდექსში, რაც მისაღები იქნებოდა ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც, მერე ძველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმება, ბოლოს კი, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გამოხვედით. რამ გამოიწვია თქვენი ლოზუნგების შეცვლა?

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— დემოკრატია მარტო სიტყვის თავისუფლებას არ ნიშნავს. დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის თავისუფალი არჩევნები! ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, კონსულტაციების დროს ვცდილობდით, მიგვეღწია იმისათვის, რომ გაუქმებულიყო ის ცესკო, რომელიც 10 წლის განმავლობაში ამკვიდრებდა ქართულ პოლიტიკაში გაყალბებისა და ფალსიფიცირების საოცარ ტექნოლოგიებს. ვაყენებდით საკითხს, რომ დაცული ყოფილიყო სამართლიანობის პრინციპი. ოპოზიციურმა ძალებმა შევთავაზეთ ხელისუფლებას, რომ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, თუნდაც ეუთოს ჩაეტარებინა არჩევნები, რათა ობიექტური არბიტრი გვყოლოდა. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის გადასაწყვეტია ის, თუ ვინ იქნება პარლამენტსა და ხელისუფლებაში.

აი, ამის გამო გამოვედით ქუჩაში. გვსურს, რომ ამ ქვეყანაში დამკვიდრდეს ისეთი დემოკრატიული სისტემა, როგორსაც თვითონ ხალხი აირჩევს. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, რომ ცესკო გაუქმებულიყო და დაგვეწყო საუბარი სამართლიანობის პრინციპზე აგებული ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე. როდესაც ამ ელემენტარულ მოთხოვნაზეც კი უარი გვითხრეს სახელისუფლებო პარტიებმა, მივხვდით, რომ შევარდნაძე არ აპირებს ამ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას და ცდილობს, ნებისმიერი ხერხით შეინარჩუნოს თანამდებობა. ამიტომაც შეიცვალა ჩვენი ლოზუნგი: აზრი არა აქვს რაღაც კოსმეტიკურ ცვლილებებს, თუ მშვიდობიანი გზით არ შევცვლით ხელისუფლებას და არ მოვა დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა.. რაც შეეხება მუსიკალურ გაფორმებას — ხელისუფლება ყოველთვის იმეორებდა, რომ იწყება დესტაბილიზაცია, ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობა და ა.შ. ამ ფორმით, ხაზი გავუსვით იმას, რომ ეს იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რითიც საზოგადოებას დავანახვეთ, რომ არ გვინდა დესტაბილიზაცია და არეულობა!

მიხეილ სააკაშვილი, *„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი:*

— ამ დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. ოპოზიციამ ბოლოს და ბოლოს, შეძლო ერთად დგომა და ეს არ იქნება დროებითი! სიმართლე რომ გითხრათ, არც მოველოდი, თუ ვიტალი ხაზარაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და სახელისუფლებო ბლოკის სხვა პარტიების წარმომადგენლები რაიმე დათმობაზე წავიდოდნენ. მთავარია, რომ მოხდა კონსოლიდაცია, დაიწყო სახალხო მოძრაობა და ეს არის მთავარი მიღწევა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ერთმანეთთან კვლავ დაგვაპირისპირონ. პოლიტიკურმა სპექტრმა დაიწყო გამოცოცხლება, გაერთიანება, გაძლიერება. ამ აქციას გამაფრთხილებელი ხასიათი ჰქონდა. მინდა გითხრათ, რომ იმავე დღეს, ზუგდიდშიც გაიმართა აქცია, რომელზეც კობა დავითაშვილი იყო ჩასული — და ბევრ სხვა რაიონშიც. ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის აქციები და მიტინგები, მაგრამ რეჟიმის მშვიდობიანად შეცვლის გარეშე, უკეთესი მომავლის პერსპექტივა ჩვენ არ გვაქვს! ■

„აფხაზეთთან დაკავშირებით, პროვოკაციებს ადრეც არ ერიდებოდნენ...“

— ბოლოს და ბოლოს, მოხდა თუ არა რაიმე შეთანხმება პეტერბურგში პუტინსა და შევარდნაძეს შორის და რატომ მოჰყვა ამ შეხვედრას დიდი მითქმა-მოთქმა?

ნუგზარ პოლოდინაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— პეტერბურგის სამიტთან დაკავშირებული პიარი იგივეა, რაც 1991 წელს ატეხეს „იანაევის ოქმების“ გამო. არ ყოფილა არანაირი დოკუმენტი და არანაირი ხელმოწერა. რაც შეეხება შეთანხმებას — ეს იყო ორ პრეზიდენტს შორის მსჯელობა იმ წინადადებების გარშემო, რომელიც სოჭის შეხვედრაზე წამოაყენა პუტინმა. ამ წინადადებებზე ორმხრივი ჯგუფი მუშაობს და შეთანხმდებიან თუ არა, ჯერ არავინ იცის. სოჭის შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხები ადრეც იყო ცნობილი ოპოზიციისთვის, მაგრამ ახლა, ქუჩის აქციების წინ სჭირდებოდათ რაიმე ისეთი, რაც დეტონატორის როლს შეასრულებდა. აფხაზეთთან დაკავშირებით ასეთ პროვოკაციებს არც ადრე ერიდებოდნენ და არც ახლა... ■

თბილისს ცოფის ეპიდემიის აფეთქების საფრთხე ემუქრება?

— თქვენი განცხადება, რომ თბილისს ცოფის ეპიდემიის აფეთქება ემუქრება, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია. რა კეთდება საიმისოდ, რომ ეპიდემიის აფეთქების საფრთხე თავიდან ავიცილოთ?

ძეთევან წიკლაური, *თბილისის მთავარი ეპიზოოტოლოგი:*

— მთელი სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ცოფის ეპიდემიის აფეთქების საფრთხე დიდია, რადგან დედაქალაქში შექმნილია აუტანელი მდგომარეობა. მკვეთრად გაიზარდა მაწანწალა ცხოველების რიცხვი. ამ ცხოველების დაჭერა კი, პრაქტიკულად არ ხდება. ქალაქში ცოფის გავრცელების ძირითად წყაროს კი, სწორედ ის მაწანწალა ძაღლები და კატები წარმოადგენენ, რომელთა მასობრივი ვაქცინაცია შეუძლებელია. ცოფთან ბრძოლის ორთვიური 1 აპრილს დაიწყო და ივნისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება, რათა მაქსიმალურად აიცრას ყველა პატრონიანი და მიკედლებული ცხოველი. სადღეისოდ, 11 ათასზე მეტი ძაღლი და კატაა აცრილი. ■

„მოქკავშირე“ და ე.წ. ოპოზიცია კვლავ შეხმატკბილებულად გაიყოფენ ხელისუფლებას...“

— თქვენ განაცხადეთ, რომ თუ არჩევნები დარღვევებით ჩატარდება, იმავე საღამოს — ე.ი. 2 ნოემბერს, მთელ მოსახლეობას ქუჩაში გამოიყვანთ. ახლა რატომ არ დგახართ ოპოზიციის გვერდით და რატომ არ იყვნენ თქვენი მხარდამჭერები მათ მიერ მოწყობილ მიტინგზე?

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:*

— ჩემი დიდი აღშფოთება გამოიწვია საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შესაძლო მოდელმა. ამ მოდელის მიხედვით, კომისიაში ორი წევრი ეყოლება ყველა იმ პარტიას, რომელმაც წინა არჩევნებში 7%-იანი ბარიერი გადალახა; წარმომადგენლები ეყოლებათ საპარლამენტო ფრაქციებსაც, რომელთა უმრავლესობა, სწორედ ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება. მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის უფრო დიდი გაყალბება იგეგმება, ვიდრე ეს 1999 წელს მოხდა, მაშინ კი, ჩვენი მონაცემებით, 100000 ხმა გაყალბდა. შევარდნაძეს და მის დამქაშებს სურთ, რომ საარჩევნო კომისიებში უმრავლესობა ახლაც მათი წარმომადგენელი იყოს. ამ გზით ისინი საპარლამენტო უმრავლესობაშიც მოახერხებენ მოსვლას, რაც საქართველოში შევარდნაძიზმის გახანგრძლივებას გამოიწვევს. არჩევნებში ჩვენი უპირატესობა რომ გამოიკვეთება, ხელისუფლების დაკვეთითა და საკაშვილის თაოსნობით, „ნაციონალები“ მაშინვე სასამართლოში გაიქცევიან, შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით. ეცდებიან, რომ ისევ პარლამენტს მიღმა დაგვტოვონ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულტაციებზე მაინც არ წავალთ. როგორ შეიძლება, მგელს უთხრა, ცხვარი არ შეჭამოს?! ამ ხელისუფლებას სირცხვილის გრძნობა დაკარგული აქვს. დიდი და პატარა შევარდნაძეები კვლავ ეცდებიან, თავიანთ მიზნებს ფულის და ოქროს ზოდების საშუალებით მიაღწიონ. არც აპირებენ, იმ მოდელზე დაიწყონ მუშაობა, რომელსაც 200 ათასი ამომრჩეველი აწერს ხელს. ჩვენ პარლამენტის გარეთ დაგვტოვებენ, „მოქკავშირე“ და ე.წ. ოპოზიცია კი კვლავ შეხმატკბილებულად გაიყოფენ ხელისუფლებას. ამიტომაც, ამ პროცესებისადმი პროტესტის ნიშნად, 2 ნოემბრის საღამოს 10 საათიდან, მთელ მოსახლეობას ქუჩაში გამოვიყვანთ. ■

„საბაჟოზე ისეთმა ტვირთმა დაიწყო განბაჟება, რომელიც პრაქტიკაში არასდროს განბაჟებულა...“

— ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა მუშაობა ძალზე გაამკაცრა და ისე გააქტიურდა, რომ კონტრაბანდამ საგრძნობლად იკლო და თბილისის ბაზრობებიც კი დაცარიელდა. შეეფერება თუ არა ეს სინამდვილეს და თუ ასეა, მაინც რა ხერხებით ებრძვით კონტრაბანდული ტვირთის შემოტანას ქვეყანაში?

ნუგზარ კანდიაური, *საგანგებო ლეგიონის უფროსი:*

— სულ რაღაც ორი თვეა, რაც საგანგებო ლეგიონში მოვედი. თავიდან, საგანგებო ლეგიონის უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი. მოსვლის დღიდან ვცდილობ, ეს სამსახური იმ ფუნქციებს ასრულებდეს, რაც ევალება.

ეს არის ოპერატიული სამსახური, რომლის მოვალეობაშიც შედის საბაჟო და საგადასახადო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში დანაშაულის გამოვლენა. ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა. უფრო მომთხოვნები გავხდით თანამშრომლების მიმართ, ავამუშავეთ დასჯის და წახალისების მექანიზმები და ყველაზე სასიკეთო ის არის, რომ დღესდღეობით, საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს.

კონტრაბანდული გზით შემოსული, დიდი ოდენობით ტვირთის არაერთგზის დაკავების შემდეგ, მისი მეპატრონეები იძულებულები გახდნენ, რომ შესულიყვნენ საბაჟოზე და განბაჟებინათ იგი; ამის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში უფრო დიდი თანხის მობილიზება მოხდა. ვალდებულები ვართ, რომ ჩვენ მიერ დაკავებული ტვირთი წარვადგინოთ ტერმინალში, სადაც ექსპერტები მის შეფასებასა და დაბეგვრას მოახდენენ. ამგვარად გაირკვევა, თუ კანონის რომელი მუხლი მიუდგება ამ დანაშაულს და რამდენი პროცენტით იქნება დაჯარიმებული მესაკუთრე. იყო პერიოდი, როცა გავაქტიურეთ მუშაობა ქუჩაში და ძალზედ დიდი ოდენობით ტვირთი მოხვდა ტერმინალში. საერთო ჯამში, ჩვენს მუშაობას ალბათ მაშინ ექნება შედეგი, როდესაც ტერმინალში ტვირთი აღარ მოხვდება — ე.ი. ყველა კონტრაბანდისტი იმ დასკვნამდე მივა, რომ კანონიერად განაბაჟოს იმპორტირებული საქონელი და თვითონაც მშვიდად იქნება... რაც შეეხება მონაცემებს — შემიძლია გითხრათ, რომ ლეგიონის მიერ ბიუჯეტში შარშან მობილიზებული თანხა დაახლოებით მილიონ ორასი ათას ლარს შეადგენდა. ზუსტ ციფრს ჯერ ვერ დაგისახელებთ, მაგრამ დაახლოებით შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით, ალბათ უკვე 5 მილიონზე მეტია ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული. ეს საკმაოდ სერიოზული შედეგია, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ საბაჟოზე ისეთი ტვირთი გამოჩნდა, რომელიც ადრე, პრაქტიკულად, არასდროს განბაჟებულა. მაგალითისთვის გეტყვით: თუ იანვარში, სულ 1-1,2 ათასი ტონა დიზელის განბაჟება დაფიქსირდა, ახლა ეს ციფრი 7-8 ათას ტონას აღწევს. ეს მიახლოებითი ციფრებია; ამით იმის თქმა მინდა, რომ განბაჟებამ 7-ჯერ მოიმატა.

■

"ძარცული პოლიტიკის თეატრი" და მისი მიღწევები

ავთო მარგველაშვილი

თეატრალური წარმოდგენების ტრადიცია საქართველოში საუკუნეების წინ იღებს სათავეს — „სახიობა“ ხომ ძველი ქართული სიტყვაა, ბერიკების სადღესასწაულო წარმოდგენებიც ხომ ტრადიცია იყო და იყო. მას შემდეგ ცხოვრებაც განვითარდა და თეატრალური მოღვაწეობაც ისე გაფართოვდა, რომ პოლიტიკაშიც გაიდგა ფესვი. ასე რომ, ოპერისა და ბალეტის, დრამატულის თუ აკადემიურის, ესტრადის, ნიღბების, ჩრდილების, აბსურდის, სატირისა და იუმორის თეატრების გვერდით, დღეს „პოლიტიკის თეატრიც“ არსებობს და ახალ-ახალი „პრემიერებით“ ამდიდრებს თავის რეპერტუარს. მაყურებელიც ყველა სხვა თეატრზე მეტი ჰყავს.

რაც შეეხება ჟანრს, ამით პოლიტიკის თეატრი სატირისა და იუმორის თეატრს უფრო უახლოვდება, რადგან კომედიები აქ რომ იდგმება, ისეთი უნდა. ვის არ ახსოვს „პოლიტიკის თეატრში“ „დადგმული სპექტაკლების“ თანამედროვე ვარიანტები: „სმა-ჭამა დიდად შესარგი“, „ყვარყვარე“, „გარიგება“, „პროვოკაცია“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა.

მართალია, თეატრის წარმატება რეჟისორზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ დასმაც ხელი არ შეუწყო, არაფერი გამოვა. შემსრულებლები და არტისტები კი, მართლაც შესანიშნავი გვყავს — რეპეტიციაც არ სჭირდებათ, იქვე — სამთავრობო სხდომებსა და საპარლამენტო სესიებზე „დგამენ“ იმპროვიზებულ სცენებს და აღფრთოვანებაში მოჰყავთ ელექტორატი. ამას კი, დამეთანხმებით, მართლაც დიდი ნიჭი სჭირდება...

რამდენად თეატრალიზებულია დღევანდელი პოლიტიკა, რა „სპექტაკლზე“ მიმდინარეობს მუშაობა ამჟამად და რა აზრისანი არიან „პოლიტთეატრზე“ ჩვენი ცნობილი ადამიანები?..

მაია ნადირაძე, *პარლამენტის წევრი:*

— რა თქმა უნდა, „პოლიტიკის თეატრი“ არსებობს ჩვენთან, მაგრამ — მდარე ხარისხის, აბსოლუტურად მოუმზადებელი მსახიობებით, უნიჭო და ბანალური სცენარებითა და პიესებით, უსახური სანახაობაა ხალხისათვის და სასიხარულო — მტრისათვის. რაც შეეხება რეჟისურას — ამ თეატრსაც ჰყავს რეჟისორი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სამყაროს ჭიპია და საერთოდ, რეჟისურის ხელოვნება მან შვა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი სადარბაზოს ორი სართულის ავტორიტეტია...

— ამბობენ — არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები. „პოლიტთეატრის“ ყველა მსახიობი კი, მთავარი როლისთვის იბრძვის. არადა, მთავარი როლი ერთია ან ორი, ეპიზოდური კი — მრავალი, მაგრამ იგი არავის აკმაყოფილებს. როგორ უნდა მოხდეს როლების განაწილება?

— თეატრს ყოველთვის ჰყავს პრიმადონა — მთავარი სიტყვის მთქმელი ძალა. ჰყავს კონკურენტიც. ჩვენს „პოლიტთეატრში“ პრიმადონა იმდენად დაბერდა, რომ აღარ ძალუძს მთავარი როლის თამაში. არც მისი კონკურენტია დიდი ბედენა, მაგრამ განსხვავება მაინც არის — ანუ მასზე უარესს სჯობია.

— თქვენი აზრით, რომელი ჟანრის „სპექტაკლებზეა“ ორიენტირებული ჩვენი „თეატრი“?

— ეს არის აბსურდის თეატრი *(იცინის)*. ნამდვილი აბსურდის თეატრის დრამატურგია ბევრის მთქმელია, საინტერესოა, ჭკუა-გონების დაძაბვას მოითხოვს, რომ მაყურებელი სათქმელს მიხვდეს. აბსურდის თეატრის ხიბლი არის ის, რომ უსახურობაში ამოიცნო ძირითადი ძარღვი და ამასთანავე, შეიცავს ტრაგიკომედიის ელემენტებს. ჩვენი „აბსურდის თეატრი“ კი, იმდენად აბსურდულია, რომ რაც არ უნდა დაძაბო გონება, მასში ვერავითარ აზრს ვერ ამოიკითხავ: არ არსებობს ეს აზრი და იმიტომ...

— რას დაარქმევდით „სპექტაკლს,“ რომელზეც ჩვენი პოლიტიკოსები „მუშაობენ“ ამჟამად?

— პროცესს რომ ვაკვირდები, კუროსავას ფილმი მახსენდება, მგონი, „უსიერ ტყეში“ ჰქვია: შვიდი გმირი ჰყვება ერთსა და იმავე ამბავს, ერთიმეორისაგან აბსოლუტურად განსხვავებულად. ზუსტად ასე ხდება ჩვენთანაც.

— რამდენად კმაყოფილდება ამით „მაყურებელი“ და გაქვთ თუ არა მისი იმედი?

— ოვაციის უაზროდ მომწყობი მაყურებლის იმედი არა მაქვს, მაგრამ უმრავლესობა აანალიზებს სანახაობას, კრიტიკოსის თვალით უყურებს. ასეთი მაყურებლის იმედი ნამდვილად მაქვს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ამ ხალხს არ შეაფასებინებენ „სპექტაკლის“ ავკარგიანობას და ისევ უნიჭო და უგემოვნო რეჟისორ-მსახიობები ილაპარაკებენ „სპექტაკლის“ ყალბ წარმატებაზე...

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— არის პოლიტიკაში თეატრალური ხელოვნება, აბა რა?!.

— ვინ მიგაჩნიათ ქართულ პოლიტიკაში თეატრის დიდოსტატად?

— ქართულ პოლიტიკაში შევარდნაძე იყო დიდი ხელოვანი, მაგრამ ასაკი პოლიტიკაში უფრო საშიშია — დამღუპველიც კი, — ვიდრე თეატრში და ისიც ემსგავსება მსახიობს, რომელმაც დაკარგა პროფესიონალიზმი, მსახიობის ინტუიცია, მაგრამ ვერა და ვერ იჯერებს ამას...

— რა უფრო მომგებიანია დღეს — პოლიტიკოსობა თუ მსახიობობა?

— მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსობა უფრო მომგებიანია პრაგმატული თვალსაზრისით და მას მეტი „მაყურებელი“ ჰყავს, ეს არ არის კარგი გამარჯვე-

ბა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსები დადებითი მუხტის გამცემები არიან. ეს არის პოპულარობა, მინუს ნიშნით. არ შეიძლება, დღევანდელი პოლიტიკა შევადაროთ თეატრალურ ხელოვნებას. ჩვენდა საამაყოდ, გვყავს შესანიშნავი თაობა ძველი რეჟისორებისა, მსახიობებისა, მხატვრებისა, მუსიკოსებისა, რომლებსაც ბევრი ძვირფასი რამ შეუქმნიათ და სამწუხაროა, რომ დღეს ვერ ამჟღავნებენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს — საშუალება არა აქვთ. დღევანდელი პოლიტიკოსების საკრებულოს შევადარებდი ესტრადის მომღერალთა ახალ თაობას. ორივე ანგარებიანია და პროვინციული, ორივე „გადაჭედილია“ „ვარსკვლავებით“, მაგრამ მაინც არაეფექტურია.

— ბატონო რომან, თქვენ როგორ გიწევთ მსახიობობა „პოლიტიკის თეატრში“?

— მე პოლიტიკაში მოვედი, როგორც ეკონომისტი და ვცდილობ, წინ პროფესიული მხარე დავაყენო, უკან — პოლიტიკა — ანუ: რაიმე ნაბიჯი პოლიტიკურად წამგებიანიც რომ იყოს, მაინც პროფესიონალურ შედეგს ვანიჭებ უპირატესობას. „ეკონომიკური სიმართლე“ კი, ხშირად, მწარეა, პოლიტიკური ტყუილი — ტკბილი. მეც მიწევს ხოლმე ამ სიმართლის პოლიტიკურად შეკაზმვა, თუ ამას მსახიობობა ჰქვია.

— რას დაარქმევდით მორიგ „პოლიტიკურ სპექტაკლს“, რომელიც ხელისუფლებაში იდგმება? შეგიძლიათ, რომელიმე ცნობილი კინოფილმის სახელწოდებაც მიუსადაგოთ...

— „არ იდარდო“ — ასეა დღეს...

ᲘᲛᲔᲓᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ, *მსახიობი:*

— კინოსა და თეატრთან ზიარების საშუალება ბევრს არა აქვს, ამიტომ პოლიტიკა იქცა გართობის ერთადერთ საშუალებად. რამდენად აპოლიტიკურიც არ უნდა იყო, ძალაუნებურად მაინც ჩაფლული ხარ მასში. ჩემი აზრით, არ არის სწორი, პარლამენტის სხდომებს რომ უჩვენებენ პირდაპირ ეთერში — ტელეშოუ გახდა. მაგრამ ალბათ ესეც ერთგვარი პოლიტიკაა: ხალხს საჭმელი და ტანსაცმელი არა აქვს და თავს ამით ირთობს, გულს აყოლებს... არ არის საჭირო, ყველამ ილაპარაკოს პოლიტიკაზე და არც ის მიმაჩნია სწორად, მეც რომ ვლაპარაკობ ახლა. მე ჩემი საქმე უნდა ვაკეთო, პოლიტიკოსმა — თავისი.



— პოლიტიკა შოუდ იქცაო, — ბრძანეთ, ბატონო იმედა. რამდენად თეატრალიზებულია ეს „პოლიტშოუ“ და როგორი „ჟანრის სპექტაკლებს“ უჩვენებს?

— თეატრის და პოლიტიკის შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ ისე, ძირითადად, სასაცილო და კომედიურია მათი „სპექტაკლები“, შედეგი კი — ტრაგიკული. არც ერთი დიდი მსახიობი არ იტყვის უარს პატარა როლზე. უსიტყვო როლებიც მინახავს ისეთი, დიდ როლებს რომ სჯობდა, მაგრამ პოლიტიკაში ყველას მთავარი როლი უნდა, ყველა მზადაა, გახდეს პრეზიდენტი: — იქნები?.. — ვიქნები... შეძლებს თუ არა, ამაზე არ ფიქრობს. მახსოვს, ერთხელ, ჯანსუღ ჩარკვიანმა ჰკითხა ერთ კაცს, ვერ დაგისახელებთ იმ პიროვნებას.. — დავუშვათ, აგირჩიეს, მერე რას იზამ?.. მართალია — ქართველებს გენში გვაქვს პირველობის ჟინი, მეორე კაცობა არავის უნდა. ამიტომაცაა, რომ ვერ თანხმდებიან... ამას უყურებს მოსახლეობა და იმ უბრალო კაცსაც მოუნდა პოლიტიკოსობა და პარტიის შექმნა. ვერ ვართ ჯერ ჩამოყალიბებულები. მაგრამ ალბათ მოვა დრო და ყველაფერს თავისი სახელი და ფასი დაედება. დღეს კი, არეულ-დარეულია პოლიტიკა.

— მერე რას დაარქმევდით ამ არეულ-დარეულობას?

— „შერეკილებია“ ზედგამოჭრილი *(იცინის)*! და თანაც, რატომ იცით? ის შერეკილები არ იყვნენ ბოროტები — უბრალოდ, ფანტაზიორობდნენ და სჯეროდათ ქრისტეფორესაც და ერთაოზსაც, რომ მართლა გაფრინდებოდნენ. ასე არიან ესენიც...

— მერე, ხომ გაფრინდნენ?..

— ჰოდა, ღმერთმა ქნას, ასე აუხდეთ ჩვენს პოლიტიკოსებსაც და მაშინ მე ვიქნები, ბატონო, შერეკილი...

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ, *პარლამენტის წევრი:*

— პოლიტიკაში საჭიროა თეატრალური ხელოვნება, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორითაც ახლაა. აქ მიდის „პატრიოტობანას“ და „კაიკაცობანას“ თამაში. ნამდვილ თეატრალურ ხელოვნებას კი უჭირს. მას სჭირდება ნოყიერი ნიადაგი — ფული, აქ კი მოსახლეობის 90%-ს პურის ფული უჭირს.

— სად უფრო ადვილია წარმატების მიღწევა — „პოლიტთეატრში“ თუ ნამდვილ თეატრში?

— საერთოდ, ხელოვანობა დიდი ნიჭია. თუ ხელოვანს საშუალო ნიჭი აქვს, იგი დიდი შემოქმედი ვერასოდეს გახდება. პოლიტიკაში კი, შეიძლება გახდე დიდი კაცი — ფულით, საქმის ჩაწყობით, ნაცნობ-პროტექტორებითა და ა.შ. თუმცა, ვინც ამ გზით მოვიდა, ახლაც მუნჯივით ზის დარბაზში სხდომების დროს ან საერთოდ არ ზის. საქმეს, როგორიც არ უნდა იყოს ის, აკეთებს სიყვარული და პროფესიონალიზმი. ჩვენი თეატრის მოღვაწენი შეუძლებელსაც აკეთებენ იმიტომ, რომ პროფესიონალები არიან და უყვართ სცენა. პარლამენტში კი ზამთარში, როცა გათბობა არ იყო ჩართული, მუშაობაც პარალიზებული იყო. ამ დროს, ოპერისა და ბალეტის თეატრში „მაკბეტი“ დაიდგა. ხელოვნებაში რომ გაჭირვებაა, ისეთი რომ იყოს პოლიტიკაში, ვერაფერს შევძლებდით და იმდენი პროფესიონალი რომ გვყავდეს ქართულ პოლიტიკაში, რამდენიც თეატრში და საერთოდ, ხელოვნებაში, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ახლა „უძაღლო ქვეყანაში კატები ყეფენ“...

— ბატონო ჰამლეტ, მოსახლეობის, ხალხის ბედი პოლიტიკოსთა ხელშია, გული კი — ხელოვანთა ხელში. რატომ?

— ხელოვნებასთან — თეატრთან, მუსიკასთან შეხებით ადამიანი იღებს სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს აღწევს, პოლიტიკასა და პოლიტიკოსებთან ურთიერთობა კი — სულს უფორიაქებს და ანერვიულებს, იმიტომ, რომ ყალბი სპექტაკლი და შემოქმედება არავის უნდა. ნამდვილ თეატრალურ ხელოვნებას ხალხი ეთაყვანება — ის გულწრფელია და იმიტომ...

■

ავთანდილ ვარსიმაშვილი: ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია

საქართველოში ერთადერთი პოლიტიკური თეატრი ისე ახლოს განთავსებულა სახელმწიფო კანცელარიასთან, რომ როგორც იტყვიან, ერთს მეორისაგან მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს. სურვილისამებრ ნებისმიერ პოლიტიკურ „მამასა“ თუ „დედას“, შეუძლია დაესწროს სპექტაკლს და დიდ ჯადოსნურ სარკეში ჩაიხედოს, სადაც არც დაფარული კუდები, არც შენიღბული ჩლიქები და რქები იმალება. ასეთ სანახაობას ვერც ერთი ლეგალური თუ იატაკქვეშა დაწესებულება ვერ შემოგთავაზებთ, მხოლოდ აქ გეძლევათ შესაძლებლობა, იხილოთ ნამდვილი პოლიტიკური სტრიპტიზი. დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას რა ვუთხარი, თორემ ამ პაწაწინა, თავისუფლების მღაღადებელ თეატრს აქამდე, წყლის ამღვრევაშიც დაადანაშაულებდნენ მისი მეზობლები და დიდი ხნის წინ, უკვე გადასანსლავდნენ კიდეც. მაგრამ ახლა იძულებულები არიან, კეთილმეზობლური ურთიერთობა შეინარჩუნონ და თავადაც სპექტაკლებზე დადიან და შესაძლოა, კრიჭაშეკრულნი, მაგრამ გარეგნულად მშვიდი იერით ადევნებენ თვალყურს სპექტაკლის მსვლელობას.

„თავისუფალ თეატრში“ ჩვენი მისვლის მიზეზი, მისი ხელმძღვანელის ახალი ჩანაფიქრის შეტყობა იყო. ავთანდილ ვარსიმაშვილი ახალ სპექტაკლზე მუშაობს, რომელშიც თურმე, ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება იხილოს... საკუთარი ოჯახი, თავისი ყოველდღიურობით, ყოფითი პრობლემებით, ტკივილებით. მთავარ როლებს ნიკო გომელაური და ნინო ბურდული შეასრულებენ.

ემა გელოვანი

ავთანდილ ვარსიმაშვილი:

— ამ ეტაპზე მინდა საკმაოდ სერიოზული სინთეზის გაკეთება — სუპერნატურალიზმისა და ძალიან პირობითი თეატრისა. სპექტაკლში პერსონაჟები პირდაპირ სცენაზე ამზადებენ საჭმელს, წვავენ თევზს, ასხამენ ღვინოს და მირთმევენ კიდეც. ვიყენებ სუნს, მინდა სპექტაკლის მსვლელობისას სხვადასხვა არომატი ტრიალებდეს. სპექტაკლს ერქმევა „ტელეისტერია“, სადაც მინდა ვისაუბრო მასმედიის როლზე საზოგადოების ზომბირების საქმეში. საკუთარ თავსაც მასმედიის წარმომადგენლად მივიჩნევ, ვინაიდან მიწევს ტელევიზიაში მუშაობა და ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას დაფიქრება გვმართებს. კარგია, როდესაც ხარ ოპერატიული, აწვდი სკანდალურ, სენსაციურ მასალას მაყურებელს, მაგრამ აქაც უნდა არსებობდეს გარკვეული ზღვარი. ჩემი დაკვირვებით მასმედია ხშირ შემთხვევაში, ძალიან ცუდ როლს თამაშობს საზოგადოების საერთო ზომბირების საქმეში.

— რა როლს თამაშობს ნატურალიზმი თქვენს სპექტაკლებში?

— რაღაც სპექტაკლებში თამაშობს, რაღაც სპექტაკლებში — არა. შეგნებულად ვცდილობ, რომ ყველა სპექტაკლში იცვლებოდეს ესთეტიკა, ამიტომ ძალზედ ხშირად, ჩემი სპექტაკლები რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. არ მინდა, რომ ვინმე ცნობდეს ჩემს ხელწერას. არ მინდა დავასახელო, მაგრამ არიან რეჟისორები, რომელთა ნებისმიერი სპექტაკლის ნახვის შემდეგ მიხვდები, რომ მისია. ჩემს შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ასე არ არის.

— თქვენი თეატრის წყობიდან გამომდინარე, მაყურებელი იმდენად ახლოს იმყოფება სცენასთან, რომ მყარდება მჭიდრო კონტაქტი მსახიობსა და მაყურებელს შორის. ალბათ არც ესაა შემთხვევითი...

...ეს არ არის თავხედური განცხადება

— ეს ჩვენი თეატრის პრინციპია,მყარდება ძალიან უშუალო კონტაქტი მაყურებელთან. ეს ხდება არა მხოლოდ „პროვოკაციის“ დროს, სადაც პირდაპირი კონტაქტია მაყურებელთან, არამედ „კომედიანტებზე“, სადაც ეს არ ხდება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ველაპარაკოთ მაყურებელს იმაზე, რაც მას აწუხებს. ჩვენთან არ იდგმება სპექტაკლები, რომელიც მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება ან უბრალოდ, კლასიკური პიესის ინტერპრეტაციაა. ჩვენ ვსაუბრობთ, ყოველდღიურ სატკივარზე, ამიტომ ჩვენი თეატრი დღიდან დაარსებისა არის პოლიტიკური.

— თქვენი თეატრის პოპულარობა პოლიტიზირებამ განაპირობა?

— არა, მხოლოდ ეს არ არის განმსაზღვრელი. ძალიან ბევრი გაზეთი წერს პოლიტიკაზე, მაგრამ ყველა გაზეთი არ არის პოპულარული და საყვარელი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პოპულარობის განმსაზღვრელი არის ის, რომ ჩვენთან თეატრში შეიკრიბა ძალიან საინტერესო, ნიჭიერი ხალხი. პირველ რიგში, ვგულისხმობ მსახიობებს და შემდგომ, რეჟისორებს. აღმოჩნდა, რომ ყველა ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა მოიყარა ამ თეატრში თავი. ეს ეხება დავით დოიაშვილს, გოჩა კაპანაძეს, დათო საყვარელიძეს, ანდრო ენუქიძეს. პოპულარობას განსაზღვრავს აგრეთვე ჩვენი დევიზი: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს ჰპირდება მაყურებელს!“

— კი, მაგრამ სიმართლე ხშირ შემთხვევაში, ძალიან მკაცრად ისჯება... თქვენ ჯერ არავის დაუსჯიხართ?

— ერთადერთი, რასაც ჩვენმა საზოგადოებამ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მიაღწია, სიტყვის თავისუფლებაა. სხვა პერიოდში, ჩვენ დაგვხურავდნენ, აგვკრძალავდნენ, უფრო ადრე, დაგვხვრეტდნენ კიდეც ასეთი სპექტაკლებისათვის. მაგრამ დღეს, ხელისუფლება იძულებულია, რომ რაღაცაზე თვალი დახუჭოს, მათ შორის ასეთ თეატრებზეც.

— კანცელარიასთან ტერიტორიული სიახლოვე ხომ არ გიშლით ხელს?

— ამ შემთხვევაში ისინი ძალიან ჭკვიანურად იქცევიან: თუნდაც იმიტომ, რომ

ჩვენს თეატრში მაყურებელი უკვე მიეჩვია, რომ ჩვენი სპექტაკლები გარკვეულ შოკს იწვევს

მათ, ჩვენი სახით, თვალსაჩინო დადასტურება აქვთ იმისა, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა. ჩემთვის კომპლიმენტი იყო, როდესაც „ბი-ბი-სი-"ს კორესპონდენტმა „ჯინსების თაობის" ნახვის შემდეგ გვითხრა: „მე დავრწმუნდი, რომ თქვენს ქვეყანაში არის დემოკრატია".

— ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ესწრებიან ხოლმე თქვენს სპექტაკლებს?

— პოლიტიკოსები საერთოდ ძალიან უკულტურო ხალხია და თეატრისათვის ვერ იცლიან. ჩვენი ერთგული მეგობარი და სტუმარი არის ნიკო ლეკიშვილი, რომელიც არ აცდენს არც ერთ ახალ სპექტაკლს. ისე, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული კანცელარიის რიგითი მუშაკით, ყველა ესწრება ჩვენს სპექტაკლებს... ირინა სარიშვილია აგრეთვე ჩვენი ხშირი სტუმარი; სესილი გოგიბერიძე, რომელიც ალბათ ვალდებულიცაა, აქ იაროს; ლადო პაპავა, რომელიც შეყვარებულია ჩვენს თეატრზე; ავთო იოსელიანი, რომელსაც უყვარს ჩვენი თეატრი და სულ გვგონია, რომ დაგვიჭერს, როცა იქნება, მაგრამ გვპირდება, რომ ეს არ მოხდება, ვინაიდან ძალიან მოვწონვართ...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ „თავისუფალმა თეატრმა" ამ ეტაპზე, პოპულარობით უკან ჩამოიტოვა ბევრი სხვა ცნობილი თეატრი?

— კი, ვფიქრობ და ყოველგვარი ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყვი — მიხარია, რომ ჩამოიტოვა არა მხოლოდ დასწრების, არამედ სიყვარულის თვალსაზრისით. ამის ძალიან კარგი მაგალითია ჩვენი გასტროლი ფოთში: მხოლოდ ერთი აფიშის გაკვრა მოვახერხეთ, ვერ მოვასწარით სარეკლამო კამპანიის ჩატარება, მაგრამ დარბაზი მაინც გადაჭედილი იყო და მივხვდი, რომ ჩვენი თეატრის პოპულარობა თბილისს გასცდა.

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენი თეატრი საკმაოდ ახალგაზრდაა, ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობის მოზიდვა მოახერხეთ.

— ეს ძალიან მარტივად მოხდა. მე 13 წელი ვმუშაობდი რუსთაველის თეატრში, შემდეგ კინოში, მოგვიანებით „თეატრალური სარდაფი" დავაარსე. უბრალოდ, ეს ის ხალხია, ვისთანაც მთელი ეს წლები ვმუშაობდი და შემდეგ ამ თეატრში გადმომყვნენ.

— რამდენად მისაღები აღმოჩნდა მაყურებლისათვის ადამიანების სიშიშვლე ქართული თეატრის სცენაზე?

— ჩვენს თეატრში მაყურებელი უკვე მიეჩვია, რომ ჩვენი სპექტაკლები გარკვეულ შოკს იწვევს. ამიტომ, როდესაც „პროვოკაციაში" გამოჩნდა შიშველი სხეული, ვფიქრობ, ძალიან ნორმალურად მიიღეს. სტრიპტიზის სცენა ძალიან ზუსტად ეწერება სპექტაკლის კონტექსტში. ჩვენი ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია... ამიტომ მაყურებლები აღიქვამენ, როგორც მეტაფორას და არა როგორც ეროტიკას.

— შესაძლებელია, მომავალში, ეროტიკული სცენებიც გამოიტანოთ სპექტაკლში?

— არაფერი არ არის გამორიცხული. ყველაფერი შეიძლება იყოს სცენაზე, თუ ეს ესთეტიკური და კონცეპტუალური თვალსაზრისით გამართლებულია.

— ბევრს კარგად ახსოვს თქვენი ტელესერიალი — „სახლი ძველ უბანში". თუ არ ვცდები, ეს თქვენი პირველი ფილმი იყო...

— მანამდე მქონდა გადაღებული მხატვრული ფილმი „თვინიერი", დოსტოევსკის მიხედვით, რომელიც იტალიის ტელევიზიის დაკვეთით გადავიღე. საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა ამ ფილმს წილად იტალიისა და ევროპის ეკრანებზე. საქართველოში ის არ გასულა იმის გამო, რომ იტალიის საკუთრებაა და მის საჩვენებლად ფული უნდა გადაგვეხადა, არალეგალურად ამ ფილმის გაშვების სურვილი კი, მე არ მქონია... შემდეგ იყო „სახლი ძველ უბანში", ჩაფიქრებული იყო ისეთი კომერციული პროექტი, რომლის ყურების დროსაც მაყურებელი სხვა არხზე ტელევიზორის გადართვას არ მოისურვებდა. ეს იყო ამ ფილმის მთავარი იდეოლოგიური კონცეფცია.

— არადა შთაბეჭდილება სხვანაირი იქმნება...

— პოლიტიკას გულისხმობთ?

— თუნდაც პოლიტიკას.

— ჩემამდეც მოსულა ეს ხმები, თითქოს ის შევარდნაძეა, ის კი ზვიადი... მსგავსი რამ ჩვენ ამ ფილმში არ ჩაგვიდვია და არც გვიფიქრია. ეს მაყურებლის ფანტაზიაა.

— მიუხედავად ამისა, სერიების გარკვეული ნაწილი არ იყო ნაჩვენები და საერთოდ, ფილმი გარკვეული წლების მანძილზე თაროზე იყო შემოდებული.

— გარკვეულწილად, ეს ჩემი სურვილიც იყო. იმ არეულ პერიოდში, განსაკუთრებით კი ფილმის მეორე ნაწილის გაშვების დროს, საქართველოს ტელევიზია ვერ ადგენდა ბადეს, ამიტომ სერიები არეულად გავიდა. ამის გამო, ძალიან მომეშალა ნერვები და ფილმი უკან გამოვითხოვე. წლების შემდეგ, როდესაც შედარებით სტაბილური იყო მდგომარეობა, მთხოვდნენ ამ ფილმს, მაგრამ არ ვაძლევდი ერთი მარტივი მიზეზის გამო. ტელეარხებმა დაიწყეს მექსიკური და ბრაზილიური სერიალების შემოტანა. როდესაც გავიგე, რამდენი უჯდებოდათ მათ ამ ფილმების შესყიდვა, თარგმნა და გახმოვანება, შევთავაზე, ჩემთვის ამ თანხის ნახევარი ან თუნდაც მეოთხედი გადაეხადათ და გაეშვათ ჩემი ფილმი. შემდგომ, ხალხმა და პრესამ გამოიყვანა ისე, თითქოს ფილმი აკრძალული იყო.

— ახალი ტელესერიალის გადაღების სურვილი თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, მაქვს და მაქვს ორი სცენარი, სამაყურებლო თვალსაზრისით ძალიან საინტერესო და კომერციული, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე, ხან ვუბრუნდები და ხან გული მიცივდება. ტელეკომპანიები, რომლებიც მთავაზობენ ამ ფილმის გადაღებას, რიგი მიზეზების გამო ზოგჯერ ვერ ახერხებენ ჩემთან მუშაობას. როდესაც მათ სცალიათ, მე ვერ ვახერხებ. მაგრამ შემიძლია, ნაძლევი დავდო ნებისმიერ სპონსორთან, რომ 50% საქართველოს მოსახლეობისა ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ არ გადართავს ტელევიზორს სხვა არხზე. ეს არ არის თავხედური განცხადება, მე უბრალოდ კარგად ვიცნობ დღევანდელ საზოგადოებას და შემიძლია გავაკეთო ასეთი სერიალი. ■

მე ხან მელა ვარ, ხან ლომი; მმართველობის საიდუმლო მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად იცოდე, თუ როდის რომლის ტყავი უნდა მოირგო.

ფრაზები გენიალური

ნაპოლეონ ბონაპარტე

ბიჭრბი ისაკაძეს თანასკოლელი ეხმიანება

დათო ხუჯაძე ჟურნალისტი თვალი ეთხოვნება ვიმეცალ

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომერში პირველად წარმოდგენილ რუბრიკას — „სასიძო“, საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სასიძოს ამპლუაში პირველად, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, გიორგი ისაკაძე წარმოგიდგინეთ. საკმაოდ ბევრი გოგონა აღმოჩნდა მისი გაცნობის მსურველი. ცდა ბედის მონახევრეაო, — უმრავლესობა ამ პრინციპით მიუდგა ამ საკითხს და თავისი ფოტოსურათიც გამოგვიგზავნა, თუმცა მათი გამოქვეყნებისგან ყველამ თავი შეიკავა; მხოლოდ იმის უფლება მოგვცეს, სურათები თავად გიორგისთვის გვეჩვენებინა. შემდგომ მოვლენებს, ასე ვთქვათ, „ფარდის მიღმა“ დავტოვებთ და მხოლოდ რამდენიმე მათგანთან საუბრის შინაარსს გაგაცნობთ.

თამუნა კოკაია, 27 წლის. ის დედასთან ერთად რედაქციაში გვესტუმრა, არც სახელი და გვარი დაუმალავს და ისიც გაგვიმხილა, რომ გიორგი ისაკაძის პარალელურ კლასში სწავლობდა და მის მიმართ სიმპათიები ბავშვობიდანვე ჰქონდა.

— დედისერთა ვარ, ვცხოვრობ ვერაზე, გიორგისგან არცთუ ისე მოშორებით...

— საიდან იცით, გიორგი სად ცხოვრობს?

— ჩვენ პარალელურ კლასებში ვსწავლობდით, ოღონდ, მე — ბიოლოგიური განხრით, ის კი — ტექნიკურით. გიორგი ბავშვობიდანვე მომწონს. ჭკვიანი ბიჭი იყო. კარგად სწავლობდა. ახლაც მოხიბლული ვარ მისი გონებრივი შესაძლებლობებით. ასეთმა ახალგაზრდა მამაკაცმა რომ ამდენს მიაღწია, ეს ცოტაა?

— მის პიროვნულ თვისებებს ჩვენი ჟურნალიდან, უკვე გაეცანი. როგორ ფიქრობ — მისთვის შესაფერი იქნებოდი?

— მგონი, კი. ის ჩემი იდეალია. როდესაც დედაჩემმა ეს სტატია წაიკითხა, მომიბრუნდა და მითხრა: მთელი ცხოვრება გიორგიზე ოცნებობ და აგერ, მშვენიერი შანსი გაქვს მასთან დაკავშირების; მოსინჯე, იქნებ შენი ბედიაო... მეც გადავწყვიტე, შეგხმიანებოდით. ასეთ ნაბიჯს პირველად ვდგამ, მაგრამ მივხვდი, რომ ბედნიერებისთვის თუ არ იბრძოლე, კარზე თავად არ მოგიკაკუნებს.

— რით შეგიძლია, გიორგის თავი მოაწონო?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ შევეცდები, მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ. ბუნებით მშვიდი ვარ, უკონფლიქტო, თბილი და მოსიყვარულე. მის დედას საკუთარივით შევიყვარებ და ისევე ვიმეგობრებ, როგორც დედაჩემთან...

— გიორგი რომ მაღალი რანგის მოხელე კი არა, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყოს, მაინც დაინტერესდებოდი მისით?

— დიახ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელი სავარძელი უკავია მას. მე მისი პიროვნული ღირსებები მომწონს...

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლამაზი გოგონა ხარ. რატომ ხარ გაუთხოვარი?

— უამრავი მთხოვნელი მყავს, მაგრამ არც ერთი არ მომწონს. უფრო მეტი პრეტენზიები მაქვს და ვთვლი, რომ ცუდად გათხოვებას, ჯობს გაუთხოვარი ვიყო. გიორგიც მშვენიერი, სიმპათიური მამაკაცია. რატომ არ მოიყვანა ცოლი? როგორც ჩანს, მასაც არ შეხვდა მისი შესაფერისი გოგონა. ასე რომ, იქნებ, ბედია და სწორედ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი?!.

გოგონების უმრავლესობა დაახლოებით ასევე ცდილობდა, წარმოეჩინა თავისი ღირსებები. თუმცა, მათ შორის სიმაღლის, ფერისა თუ გარეგნობის თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი სხვაობაა, პროფესიებიც განსხვავებული აქვთ და მათ საერთო ინტერესს მხოლოდ გიორგი ისაკაძე წარმოადგენს. ერთ-ერთი „სარძლოს“ მამაც დაგვიკავშირდა და შვილის სურათი მოგვიტანა. თან მთხოვა: ოღონდ, სხვა არავინ გააცნო გიორგის, სხვა გოგონების სურათები არ უჩვენო და „სამაჯანკლო“ საჩუქარი ჩემზე იყოსო... მინდა გითხრათ, რომ გოგონების „უფლებები“ არავითარ შემთხვევაში არ დაირღვევა და ყველა ჩვენამდე მოსული ინფორმაცია და ფოტოსურათი უკლებლივ იქნება წარდგენილი „სასიძოს“ წინაშე. შემდეგ? შემდეგ იღბალი „ჩაერთვება“ საქმეში და ვის გაუმართლებს, მხოლოდ ბედისწერა გადაწყვეტს...

დღევანდელი „სასიძო“ კი, პოპულარული მომღერალი და საქართველოში „ყველაზე სექსუალური მამაკაცის“ „ტიტულის“ მფლობელი, **დათო ხუჯაძეა**. *ჩვენი საუბარი მისი შემოქმედებითი სიახლეებით დავიწყეთ.*

ხშირად ამბობენ-ხოლმე, მთავარი — ხასიათი, ბუნება, ინტელექტიაო, — მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, თვალი ჭამს და თვალი სვამს



არავითარ შემთხვევაში არ იქნება ცნობილი და პოპულარული. ჩემს არჩევანს ჩვეულებრივ, უბრალო გოგონაზე შევაჩერებ

— ამჟამად, რამდენიმე ახალ სიმღერაზე ვმუშაობ. ერთ-ერთ მათგანზე ვიღებთ კლიპს, რომელიც ორ კვირაში უკვე მზად იქნება. კლიპი რომ ლამაზი გამოსულიყო, ესთეტიკური დატვირთვისთვის კრისტი ყიფშიძე მოვიწვიეთ. კლიპის რეჟისორია კიკალა *(დავით კიკალიშვილი. — ავტ.).*

— დათო, შენ გაღიარეს „ყველაზე სექსუალურ მამაკაცად“. როგორ ფიქრობ — რატომ?

— არ ვიცი, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ იყო. ჩემმა თაყვანისმცემლებმა გადაწყვიტეს ასე...

— რატომ არის „ყველაზე სექსუალური მამაკაცი“ უცოლო?

— დაოჯახების სურვილი მაქვს, მაგრამ დრო — ნაკლებად. ჯერ უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მოსაგვარებელი. ცოლი მარტო იმისთვის არ მჭირდება, რომ ის შინ დავსვა, მე კიდევ აქეთ-იქით ვიარო. ცოლს დროც სჭირდება და ყურადღებაც...

— შენ კიდევ — შთამომავლობა და გვარის გაგრძელება...

— მართალია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ 26 წლის ვარ. არ არის დაგვიანებული ჩემი დაოჯახება. თუ სიყვარული მეწვევა, ოჯახის შექმნის სურვილიც თავისთავად მოვა. ამჟამად მეგობარი გოგონას ყოლაც, ვფიქრობ, საკმარისია უცოლო მამაკაცისთვის...

— როგორი უნდა იყოს გოგონა, დათო ხუჯაძის ყურადღება რომ მიიპყროს?

— უნდა იყოს კარგი. სიმაღლეს, თმის ფერსა და ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, კარგი გარეგნობა ჰქონდეს. ხშირად ამბობენ-ხოლმე, მთავარი — ხასიათი, ბუნება, ინტელექტიაო, — მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, თვალი ჭამს და თვალი სვამს. როდესაც გოგონა გარეგნულად კარგია და დანარჩენი თვისებებიც აქვს, ვფიქრობ, რომ იდეალური ვარიანტია...

— მეუღლის მიმართ მომთხოვნი იქნები?

— რა თქმა უნდა! მე ოჯახს ძალიან სერიოზულად ვუდგები. ქალმა თავისი საქმე უნდა იცოდეს — ხაჭაპურის გამოცხობაც და სარეცხის რეცხვაც. თუ არ ეცოდინება, ჩემოდნებში ჩავულაგებ ტანისამოსს და სადარბაზოში გავდგამ, მასაც გარეთ დავაყენებ და კარს ზურგს უკან მივუკეტავ...

— საინტერესოა, ყავა ლოგინში უნდა მოგართვას მეუღლემ?

— არა, ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ თუ სურვილი გამიჩნდება, რატომაც არა?

— „ტუსოვკებზე“ თუ გაუშვებ?

— არავითარ შემთხვევაში!... არც მარტოს გავუშვებ და არც ჩემთან ერთად წავიყვან. სიმართლე რომ გითხრათ, მეც იშვიათად დავდივარ „ტუსოვკებზე“.

— რატომ ხარ ასეთი კატეგორიული?

— იმიტომ, რომ კარგად ვიცი, რა სიტუაცია არის ხოლმე ასეთ თავყრილობებზე, ჩემი თვალით მინახავს, რაც ხდება, ამიტომ არავითარ შემთხვევაში, არანაირი ხვეწნა-მუდარა არ გაჭრის, რომ იქ წაყვანაზე დამითანხმოს. ის კი არა, არც ინტერვიუებს მივაცემინებ, მისი ფოტოების ჟურნალებში დაბეჭდვაზე რომ არაფერი ვთქვა. ყველანაირად ვეცდები, რომ საზოგადოებისთვის დაფარული იყოს მისი ვინაობა. ასევე ვიქცევი ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებაშიც. ჟურნალისტებს ყოველთვის უარს ვეუბნები ჩემს მშობლებთან და დასთან ინტერვიუს ჩაწერაზე.

— შენი მომავალი მეუღლე აუცილებლად მუსიკოსი, ან ხელოვანი უნდა იყოს?

— პირიქით, არავითარ შემთხვევაში არ იქნება ცნობილი და პოპულარული. ჩემს არჩევანს ჩვეულებრივ, უბრალო გოგონაზე შევაჩერებ.

— ეჭვიანი ხარ?

— ძალიან, ძალიან ეჭვიანი ვარ. როგორც იტყვიან ხოლმე — Когда есть сомнения, значит, всё без сомнения. თუ ეჭვი გამიჩნდა, იქ უკვე ყველაფერზე საუბარი დამთავრებულია და ყველანაირ ურთიერთობას წერტილი აქვს დასმული.

— მისაღებია თუ არა შენთვის ქალისგან წამოსული ინიციატივა?

— რატომაც არა? მაგრამ გადაჭარბებული არაფერი მიყვარს. ინიციატივა მისაღებია, მაგრამ ხშირად, თავის მობეზრება იციან. თუ გოგონა მომეწონება, შემდგომ ურთიერთობებს თავად დავარეგულირებ.

P.S. მაშ ასე... გინდათ გახდეთ დათოს რჩეული? თუ თანახმა ხართ, გაუძლოთ მის მკაცრ მოთხოვნებს და თავს შესაფერის კანდიდატად მიიჩნევთ, შეგვეხმიანეთ, გამოგვიგზავნეთ ფოტო და ბარათი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთის მეშვეობით, მოგვწერეთ თქვენი პიროვნული ღირსებების შესახებ ან დამიკავშირდით ტელეფონით: 8(77) 45.68.61. თქვენ შესახებ დათო აუცილებლად შეიტყობს. დანარჩენი კი, ბედს მივანდოთ... ■

ადამიანის შეცდომაში შეყვანის ყველაზე უტყუარი ხერხი ხშირად, მისთვის სრული სიმართლის თქმაა.

მარკ ტვენი

ფრაზეებ

გენიალური

რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა

განსასჯელი პელაგია ბეჟაშვილი

„ჩემს შვილს ეუბნებოდნენ, დედაშენი მკვლელობას შენ გაბრალებსო“

48 წლის ქალი, თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მცხოვრები პელაგია (გალინა) ბეჟაშვილი განზრახ მკვლელობისათვის გაასამართლეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პროკურატურისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მტკიცებით, მან თავისი დედამთილი გამოასალმა სიცოცხლეს. ბრალდების თანახმად, ქალმა დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა — მოხუცი დედამთილი ჯერ ჩანგლით აწამა, შემდეგ კი თავში ჩაქუჩი ჩაარტყა და ასე ჩაკლა უმწეო ავადმყოფი ლოგინში.

პელაგია ბეჟაშვილი, რომელსაც ქმარი ადრე გარდაეცვალა და ერთადერთი ვაჟი – 14 წლის გიორგი ქუჩაში, უპატრონოდ დარჩა, თავს დამნაშავედ არ ცნობს. იგი მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ მისი 82 წლის დედამთილი – ელიზავეტა ბეჟაშვილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. *„ვანაჩენი არასწორია და არ ვეთანხმები. თავს ვგრძნობ სრულიად უდანაშაულოდ. მე მკვლელობა არ ჩამიდენია. გამოვთქვამ სრულ პროტესტს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ“*, – წერს მსჯავრდებული ერთ-ერთ განცხადებაში.

საქმის მასალებიდან კი ჩანს, რომ სამართალდამცავების გარდა, ამ მძიმე ცოდვაში მას მეზობლებიც ამხელენ. როგორც გაირკვა, სწორედ მათ შეატყობინეს პოლიციას მომხდარის შესახებ. თუმცა, ეს ელიზავეტა ბეჟაშვილის სიკვდილიდან მეორე დღეს მოხდა. მეზობლები ამბობენ, რომ მხოლოდ მაშინ შენიშნეს გარდაცვლილის სხეულზე საეჭვო დაზიანებები. ზეწარი, რომელიც სისხლით იყო დასვრილი, რძალს მანამდე გამოუცვლია, სანამ დედამთილის გარდაცვალების შესახებ ხალხს შეატყობინებდა.

ეს ამბავი 2000 წლის 15 დეკემბერს მოხდა. რძალ-დედამთილი წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ერთ ბინაში, მაგრამ თითქმის ყოველდღე ჩხუბობდნენ. თავდაპირველად, ამის მიზეზი, სხვადასხვა წვრილმანით გამოწვეული უკმაყოფილება იყო, ბოლო წელს კი ალკოჰოლური სასმელი გახდა. დედამთილი მეზობლებთან ხშირად ჩიოდა, რომ რძალი სასმელს დაეჩვია, ამის ატანა კი მას არ შეეძლო. პელაგია ბეჟაშვილი ეწინააღმდეგებოდა მას. კამათს თითქმის ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა – რძალი დედამთილს გამეტებით სცემდა. ამის მომსწრე და მსხვერპლი, გიორგი იყო: იგი გააფთრებულ დედას ვერ ეღობებოდა წინ, ბებია კი ძალიან უყვარდა და ებრალებოდა; ვერაფერს რომ ვერ ახერხებდა, შინიდან გარბოდა და ღამეებს ქუჩაში ათევდა.

15 დეკემბერსაც იგივე გამეორდა. ნასვამმა რძალმა ლოგინში მწოლიარე დედამთილს ჩხუბი დაუწყო, შემდეგ კი, ცემაზეც გადავიდა. უმწეო მოხუცი მხოლოდ სიტყვებით უწევდა წინააღმდეგობას პელაგიას, მან კი, ჯერ ჩანგლით აწამა ავადმყოფი ქალი, მთელი სხეული დაუჩხვლიტა, შემდეგ მაკრატელს სწვდა და დედამთილს 19 დაზიანება მიაყენა – სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით. ბოლოს, მისი მოკვლაც განიზრახა: აიღო ჩაქუჩი და ის მოხუცს ჯერ ცხვირის არეში ჩაარტყა, შემდეგ – თავში. ელიზავეტა ბეჟაშვილი მაშინვე გარდაიცვალა.

მეორე დღეს, პელაგია ბეჟაშვილი პოლიციამ დააკავა. იმ დღეებში შვილი მას არ უნახავს. წინასწარი გამოძიების დროს საკუთარი ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებასა და ეჭვმიტანილად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაშიც მან დაადასტურა, რომ ხშირად სვამდა ალკოჰოლურ სასმელებს და ამის გამო დედამთილთან უსიამოვნება ჰქონდა.

მისივე თქმით, 2000 წლის 15 დეკემბერსაც ნასვამი იყო და შინ შვილთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. დედამთილი ლოგინში იწვა. ამ უკანასკნელმა ჩხუბი დაუწყო, რის გამოც რძალმა რამდენჯერმე ჩაარტყა ხელში რაღაც, თუ რა ნივთი – არ ახსოვს. დედამთილს სისხლი წამოუვიდა, თავად კი, ნავთლუღის ბაზარში წავიდა და იქ 1 ლიტრი სპირტი იყიდა. შინ რომ დაბრუნდა, ნახა, რომ დედამთილი მკვდარი იყო, ლოგინი კი – სისხლიანი. გამოუცვალა დასისხლიანებული ზეწარი, ხოლო მეზობლებს უთხრა – ელიზავეტა მოკვდაო, – მაგრამ რისგან, არ უთქვამს. როცა მისმა შვილმა – გიორგიმ ბებია გარდაცვლილი ნახა, სახლიდან წავიდა და მას შემდეგ, დედას ის აღარ უნახავს.

იმავე დღეს, ბრალდებულის სახით დაკითხვისას, პელაგია ბეჟაშვილმა ნაწილობრივ შეცვალა ჩვენება და თქვა, რომ მართალია, დედამთილთან ხშირად ჩხუბობდა, მაგრამ არასდროს უცემია იგი. *„...სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, საწოლიდან გადმოვარდა და იდაყვი დაარტყა სკამს. 15 დეკემბერს, აივანზე ვიყავი გასული. როცა სახლში შევბრუნდი, ვნახე, რომ ელიზავეტა მკვდარი იყო“*, – ამჯერად ასე განაცხადა ბრალდებულმა ქალმა, გარდაცვლილის გვამზე დაფიქსირებული იარები კი, კანის დაავადებით ახსნა: *„ჩემს დედამთილს კანის დაავადება – სტაფილოდერმია ჰქონდა. ექავებოდა, ამ დროს სისხლიც სდიოდა და ალბათ ამით მიიღო დაზიანებები სხეულზე...“*

გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტებმა გარდაცვალების მიზეზად, რაღაც ბლაგვი, მკვრივი საგნის ზემოქმედების შედეგად განვითარებული, თავის ტვინის შეშუპება დაასახელეს. მათივე თქმით, ეს საგანი შესაძლებელია, ჩაქუჩი ყოფილიყო. სხეულზე დაფიქსირებული სხვა დაზიანებე-

ბის შესახებ კი აღნიშნეს, რომ ისინი რაღაც მჩხვლეტავი საგნითაა მიყენებული. *„მსგავსი ინტენსიურობით სისხლდენა შეუძლებელია, სტაფილოდერმიით იყოს გამოწვეული“*, — განაცხადეს ექსპერტებმა.

პელაგია ბეჟაშვილი ექსპერტიზის დასკვნასაც არ იზიარებს. მსჯავრდებულის თქმით, პროკურატურამ, ექსპერტიზის ცენტრმა და სასამართლომ მის წინააღმდეგ პირი შეკრეს, ყალბი მტკიცებულებები შეთითხნეს, ყოველივე ამისკენ კი მათ ბეჟაშვილების კარის მეზობელმა, ვინმე ჯაბა ასათიანმა უბიძგა.

„...ყველაფერი კარის მეზობელმა — ჯაბა ასათიანმა მომიწყო. მას დიდი სურვილი აქვს, ხელში ჩაიგდოს ჩემი საცხოვრებელი ფართი. სწორედ ამ მიზნით მოახერხა ცრუსამხილების შექმნა და მეც და ჩემი შვილიც დასაღუპად გაგვიმეტა...

ამ უსამართლობისგან თავის დაღწევას ვერ ვახერხებ, უპატრონობისა და უსახსრობის გამო. ჩემი არასრულწლოვანი შვილი კი, უკანონობის მსხვერპლი გახდა. იგი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში იმყოფება და შევიტყვე, რომ პროტესტის ნიშნად, არც იქ ჩერდება და ხშირად გარბის. ჩემი შვილი ისტერიკამდე მიიყვანეს...“ — წერს მსჯავრდებული სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს და რაიონული სასამართლოს ზემდგომ ინსტანციებში მისთვის დახმარების გაწევას სთხოვს.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, მსჯავრდებულის შვილი — გიორგი ბეჟაშვილი მართლაც მიაბარეს ქუჩის ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში — „ბელურებში“. გიორგი სასამართლოზეც დაიკითხა. თქვა, რომ მკვლელობის შესახებ მას მეზობელმა ბავშვებმა უთხრეს.

გიორგი ბეჟაშვილის ჩვენებიდან:

„...მე და დედა ტელევიზორს ვუყურებდით, როცა ბებიამ დამიძახა — ცუდად ვარო. მე დედაჩემს ვუთხარი. დედა მივიდა, მაჯა გაუსინჯა და თქვა — ცუდად არისო. შემდეგ აივანზე გავიდა, მეზობლებისთვის უნდოდა დაეძახა. ბებიას ხშირად ეხვეოდა თავბრუ. იმ დღეს, დილიდან იწვა ლოგინში. მოწყალების სახლში დადიოდა და ერთხელ იქ ცუდად რომ გახდა. კიბეზე დაეცა...

ბებია კარგი ქალი იყო, სულ მეფერებოდა. იმ დღეს, ძალიან ცუდად რომ გახდა, მე გარეთ გავედი. ეზოში ბავშვებმა მითხრეს, გარდაიცვალაო. სახლში აღარ მივბრუნებულვარ, რადგან მკვდრის მეშინია...

მეორე დღეს, ბავშვებმა მითხრეს: დედაშენი დაიჭირესო. — რატომ-მეთქი? — რაღაც დააშავაო. შემდეგ, მეც პოლიციაში წამიყვანეს და დამკითხეს...“ რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ დასახელებულ, ჯაბა ასათიანს — მან, ისევე, როგორც დანარჩენმა მეზობლებმა, დედამთილთან პელაგიას სისტემატური ჩხუბის ფაქტი დაადასტურეს: *„...მოხუცს ნებისმიერი საგნით სცემდა. ელიზავეტას ჩვენთვის არაერთხელ უთქვამს: მოულოდნელად თუ მოვკვდი, ამის მიზეზი ჩემი რძალი იქნება, ე.ი. მან მომკლაო“.*

ჯაბა ასათიანმა და მისმა მეუღლემ განაცხადეს, რომ ბინის ფართობი საკმარისი აქვთ და არანაირი გაფართოება არ ესაჭიროებათ. *„გარდა ამისა, ბინაში პელაგიას შვილი — გიორგია ჩაწერილი და დედამისის პატიმრობაში ყოფნით, ბინის გამოთავისუფლების საკითხი არც დადგება“.*

საქმის მასალების შესწავლისა და ჩვენებების მოსმენის შემდეგ, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პელაგია ბეჟაშვილს დედამთილის განზრახ მოკვლა არაფერში სჭირდებოდა და აღნიშნული დანაშაული არც ჩაუდენია. მოსამართლეთა აზრით, რძალმა დედამთილი, როგორც ყოველთვის, სცემა და ამით სხეულის განზრახ დაზიანება მიაყენა, რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა. შესაბამისად, მუხლი გადაკვალიფიცირდა, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელი კი, ხუთი წლით შემცირდა.

პელაგია ბეჟაშვილი არც ამ განაჩენით დარჩა კმაყოფილი. ამჯერად, უზენაეს სასამართლოს მიმართა და გამართლება მოითხოვა. პროტესტის ნიშნად, მან მშრალი შიმშილობაც კი გამოაცხადა.

„პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ. მთელი ცხოვრება წიგნების კითხვაში გავატარე და ყოველთვის ვცდილობდი, რაიმე შეცდომა არ დამეშვა და სწორი გზიდან არ გადამეხვია. 34 წლის ვიყავი, როცა დედა გავხდი. ქმარის გარდაცვალების შემდეგ, ბავშვზე ზრუნვა მხოლოდ მე უნდა მეტვირთა. საჭმელი და ელემენტარული ტანსაცმელი რომ ჰქონოდა, მთელი დღეები ბაზრობაზე ვიდექი და ვვაჭრობდი. გიორგიც გვერდით მედგა. შინ საღამოს ვბრუნდებოდით. ბოლო ხანს, როცა დედამთილმა ავადმყოფობა დაიწყო, მეზობლებისგან ვიტყობდით, რომ ცუდად ხდებოდა და ხშირად ეცემოდა ხოლმე. საოლქო სასამართლოში მათ ეს დაადასტურეს კიდეც, თუმცა მოსამართლეებმა მათ სიტყვებს ყურადღებაც არ მიაქციეს“, — დასძინა საკასაციო პალატის სხდომაზე პელაგია ბეჟაშვილმა.

არჩილ სიკიაშვილი, პროკურორი:

„მსჯავრდებული ცდილობს, თავი კარგ ქალად და დედად წარმოგვიდგინოს, თუმცა მოპოვებული მტკიცებულებები საწინააღმდეგოზე მეტყველებს. პროცესზე დაკითხულმა, არასრულწლოვანმა გიორგიმ აღნიშნა, რომ მთელი დღეები ბაზრობაზე კი არა, ქუჩაში იდგა, ხშირად მათხოვრობდა და ახალი წლის ღამეც კი გარეთ გაატარა“.

მსჯავრდებული ირწმუნება, რომ სამართალდამცავებმა მის შვილზე ზეწოლა მოახდინეს. *„იმასაც კი ეუბნებოდნენ, დედაშენი მკვლელობას შენ გაბრალებსო“*, — აცხადებს მსჯავრდებული. მიუხედავად მისი სიტყვებისა, საოლქო სასამართლოს პოზიცია უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა. პალატის მოსამართლეებმაც მიიჩნიეს, რომ მას დედამთილი წინასწარი განზრახვით არ მოუკლავს, მაგრამ სიკვდილამდე კი სცემა. ბეჟაშვილის მიმართ გათვალისწინებული სასჯელი — 5 წელი უცვლელი დარჩა. ■

პალატის მოსამართლეებმაც მიიჩნიეს, რომ მას დედამთილი წინასწარი განზრახვით არ მოუკლავს, მაგრამ სიკვდილამდე კი სცემა

დანაშავეს პოლიციის მანქანას ხელყუმბარა ესროლა



განსასჯელი
დიმიტრი კოპალიანი

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოხუმელი დიმიტრი კოპალიანი, სამართალდამცავთა ცნობით, განსაკუთრებით საშიში კრიმინალია. პროკურატურა მას ყაჩაღურ თავდასხმასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებასთან ერთად, დამამძიმებელ გარემოებაში, განზრახ მკვლელობის მცდელობაშიც ადანაშაულებს. გამოძიების ინფორმაციით, მან პოლიციელთა სიცოცხლეს შეუქმნა საფრთხე — მათ, აფეთქების მიზნით, ხელყუმბარა ესროლა. დანაშაულების დამტკიცების შემთხვევაში, კოპალიანს საკმაოდ მძიმე სასჯელი ემუქრება.

წარდგენილი ბრალდებებიდან დიმიტრი კოპალიანი მხოლოდ ყაჩაღობას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებას აღიარებს. გამოძიების მასალების თანახმად კი, 2002 წლის 6 აგვისტოს, თანამზრახველებთან ერთად, მან ზედიზედ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა.

აღნიშნულ დღეს, თბილისში, ვაკის დახურულ აუზთან, დიმიტრი კოპალიანს თავისი ნაცნობი — ფირუზ ჩხეკიანი და ვინმე ავთო (მისი ვინაობა დაუდგენელია) შეხვდნენ. ჩხეკიანმა მას თბილისი-წყნეთის გზაზე მოძრავი სამარშრუტო ტაქსის დაყაჩაღება შესთავაზა. კოპალიანიც დათანხმდა. როლები წინასწარ გაინაწილეს და დაახლოებით, საღამოს 7 საათისთვის, ერთმანეთს დათქმულ ადგილას შეხვდნენ. სამივენი, თბილისი-წყნეთის მარშრუტის, „მერსედეს-ბენცის“ მარკის მიკროავტობუსში ავიდნენ. რაკი თავისუფალი ადგილი არ იყო, ფეხზე დადგნენ. კოპალიანი მძღოლთან ახლოს იდგა და ცოტა ხანში, როცა ტყეს მიუახლოვდნენ, უბრძანა მას: გზიდან გადაუხვიეო. დასაშინებლად, ცეცხლსასროლი იარაღიც მოიმარჯვა და მუქარით, მიზანს მიაღწია კიდეც. მძღოლმა გზიდან გადაუხვია, თუმცა მოულოდნელად, ავტომანქანა თხრილში ჩავარდა და მან ტყეში შესვლა ვეღარ შეძლო. კოპალიანმა და მისმა თანამზრახველებმა დრო აღარ დაკარგეს, მაშინვე მგზავრების ძარცვას შეუდგნენ და მათ 4.200 ლარის ღირებულების ძვირფასი ნივთები და ფული წაართვეს. ამის შემდეგ, იქაურობა დატოვეს და მიიმალნენ.

შემთხვევის ადგილიდან ისინი ჯიქიას ქუჩაზე წავიდნენ. იქ კი, მორიგი დანაშაულის ჩადენა განიზრახეს — გადაწყვიტეს, ავტომანქანა გაეტაცათ. ამჯერად, მათი მსხვერპლი, მოქალაქე რამაზ თოფურია აღმოჩნდა. ამ უკანასკნელს დამნაშავეებმა, საკუთარი ავტომანქანა „ვაზ-2106“ წაართვეს. საჭეს ავთო მიუჯდა, მანქანაში დანარჩენებიც ჩასხდნენ და ქავთარაძის ქუჩის მიმართულებით წავიდნენ.

ჯიქიას ქუჩიდან მათ პოლიციის თანამშრომელი — ვაკის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების უფროსი — ზურაბ ბერიშვილი დაედევნა. როცა დაეწია, ანიშნა — პოლიციიდან ვარ და დამნებდითო. პასუხად კოპალიანმა შეაგინა და ავთოს უთხრა — სიჩქარეს მოუმატეო. გზაში მათ პოლიციელთა სხვა ჯგუფიც დაედევნა. ბოროტმოქმედები ისევ ჯიქიას ქუჩისკენ მიბრუნდნენ, იქ კი, პოლიციელთა პიკეტი დახვდათ. სწორედ ამ დროს, დიმიტრი კოპალიანმა ხელყუმბარა აიღო და იგი პოლიციის მანქანის მიმართულებით ისროლა. პოლიციელები გადარჩნენ, თუმცა, აფეთქების შედეგად, ორმა, სრულიად უდანაშაულო მოქალაქემ მიიღო დაზიანება. სამაგიეროდ, ბოროტმოქმედებმა ცოტა ხნით, პოლიციელთა ჩამოშორება მოახერხეს.

რესტორან „ჩარგალთან“ ავთომ საჭე ვერ დაიმორჩილა, დიდი სიჩქარით მოძრავი მანქანა ამოტრიალდა და რესტორნის ეზოში შევარდა. ჩხეკიანი და ავთო მანქანიდან ამოძვრნენ და გაიქცნენ. რაც შეეხება კოპალიანს, ავტომანქანის ამობრუნებისას მან გონება დაკარგა და სალონში ჩარჩა. რამდენიმე წუთში, მას პოლიციის თანამშრომლები წაადგნენ თავზე.

დიმიტრი კოპალიანი დააკავეს, ჩხეკიანისა და ავთოს აყვანა კი სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს. კოპალიანმა, რომელიც ამ დღეებში სასამართლოს წინაშე წარდგა, თავი მხოლოდ ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ. ჩვენებას ის მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მისცემს. განაჩენს სასამართლო მომავალ კვირას გამოაცხადებს.

■

17 წლის ახალგაზრდა ხანში შესულ ქალებს აუპატიურებდა

რამდენიმე დღის წინ, 2 ივნისს, ხონის რაიონში საშინელი დანაშაული დაფიქსირდა: 17 წლის ახალგაზრდამ — ამირან კილაძემ ღრმად მოხუცებული, 83 წლის ქალი გააუპატიურა. როგორც გაირკვა, მოხუცი ამირანის მეზობლად, სოფელ სატინიკეძოეში ცხოვრობდა. მომხდარის შესახებ პოლიციას სოფლის მოსახლეობამ შეატყობინა. სამართალდამცავებმა კილაძე მალე დააკავეს, თუმცა ცოტა ხანში ისიც გაარკვიეს, რომ ჩადენილი დანაშაული მისთვის პირველი არ ყოფილა. როგორც აღმოჩნდა, ამ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, კილაძემ 63 წლის ქალი გააუპატიურა.

ამირან კილაძე ამჟამად დაპატიმრებულია და ქუთაისის №2 საპყრობილეში იმყოფება. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გაუპატიურების მუხლითაა აღძრული. თუმცა, სოფლის მოსახლეობას მისი ციხეში ყოფნა საკმარისად არ მიაჩნია და ხონის რაიონიდან კილაძეების მთელი ოჯახის გასახლებას მოითხოვს.

■

22 წლის ახალგაზრდის მკვლელის ვინაობა დაადგინეს

სამართალდამცავებმა 22 წლის ვეფხია დვალიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინეს. იგი აფხაზეთიდან დევნილი, ვინმე — გოჩა კარტოზია აღმოჩნდა.

აღნიშნული მკვლელობის საქმეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა იძიებს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ვეფხია დვალიძე 2003 წლის 22 მაისს მეუღლის თანდასწრებით მოკლეს. ვეფხია და მისი ცოლი გლდანის მიმართულებით მიმავალ მიკროავტობუსში ჩასხდნენ, იქ კი უცნობ პიროვნებასთან ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ. მგზავრები გლდანში, სავაჭრო ცენტრ „მარიამთან“ ჩამოვიდნენ. სწორედ მაშინ, სრულიად მოულოდნელად, უცნობმა „პსმ“-ის სისტემის პისტოლეტიდან ოთხჯერ გაისროლა. ტყვიამ ვეფხია დვალიძე და იქვე მდგომი, მზესუმზირის გამყიდველი — 57 წლის ლენა მოლდოვინა იმსხვერპლა. მკვლელი შემთხვევის ადგილიდან ვინმე ზაზა კვარაცხელიას კუთვნილი „ბე-ემ-ვე“-თი მიიმალა.

■

რუსთაველი კრიმინალი შეურაცხადად ცნეს

დანაშაულის ჩადენისას მან პოლიციის შეფს ბორკილები დაადო

რამდენიმე დღის წინ, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 21 წლის, რუსთაველი დავით პაპაშვილი შეურაცხადად ცნეს. სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ რუსთავში მომხდარი გახმაურებული ფაქტის გამო აღიძრა. ცეცხლსასროლი იარაღით, ხელყუმბარებითა და დანით შეიარაღებულმა პაპაშვილმა, სამართალდამცავებისგან თავის დაღწევის მიზნით, 5 მოქალაქე და 4 თანამდებობის პირი აიყვანა მძევლად, რუსთავის პოლიციის შეფს კი ბორკილებიც დაადო. გამოძიების მასალების თანახმად, მძევალთა შორის, ორი წლის ბავშვიც იყო.

როგორც სამართალდამცავები ამბობენ, დავით პაპაშვილი, როგორც საეჭვო პიროვნება, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევამდე კარგა ხნით ადრე იმყოფებოდა პოლიციელთა მეთვალყურეობის ქვეშ. გამოძიებით დაუდგენელ დროს, მან ცეცხლსასროლი იარაღი – „ნაგანის“ ტიპის პისტოლეტი, 7 საბრძოლო ვაზნა და „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, პაპაშვილი არც სწავლობდა და არც მუშაობდა.

დაახლოებით რამდენიმე დღეში, თავის „არსენალს“ მან სანადირო დანაც მიუმატა და ამგვარად შეიარაღებული, რუსთავის მე-20 მიკრორაიონის №16 საცხოვრებელ კორპუსთან მივიდა. რა განზრახვა ჰქონდა მაშინ პაპაშვილს, დღესაც უცნობია, რადგან აღნიშნულ კორპუსთან ის, ოპერატიულ შემოვლაზე მყოფმა პოლიციელებმა შენიშნეს. როგორც თავად აღნიშნეს, პაპაშვილი რაღაც უცნაურად, საეჭვოდ იქცეოდა და ამიტომაც, მისი შემოწმება გადაწყვიტეს. მას მანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვეს. პაპაშვილი მათ ჯერ უხმოდ დაემორჩილა, ხოლო მობრაობისას, როცა სასტუმრო „რუსთავს“ მიუახლოვდნენ, ავტომანქანაში მსხდომ პოლიციელებს დაუყვირა: გააჩერეთ მანქანა, თორემ ყველას დაგხოცავთო! პოლიციელებმაც, ხელყუმბარა რომ დაინახეს, შეეშინდათ და გაჩერდნენ, შემდეგ კი, მანქანიდანაც გადავიდნენ.

ამის შემდეგ, პაპაშვილი ერთ-ერთ გამვლელს, მარინა მდივანს მივარდა და ხელი, რომელშიც ხელყუმბარა ეჭირა, კისერზე მოხვია. მდივანი, რომელიც იმ დროს თურმე სამსახურში მიდიოდა, პაპაშვილმა აიძულა, იქვე, ახლოს მდგარ „გაზ-24“-ში ჩამჯდარიყო და მას გაჰყოლოდა. მანქანას ვინმე გიორგი ტალახაძე მართავდა. იარაღით დაშინებულმა მძღოლმა, მოძალადე მის მიერ დასახელებულ მისამართზე წაიყვანა.

პაპაშვილმა მარინა მდივანი მანქანიდან გადაიყვანა და მე-9 სართულზე აიყვანა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ქალის კისრიდან მას ხელყუმბარიანი ხელი არ მოუშორებია. კორპუსში ასვლის შემდეგ, ფანჯრიდან რომ გადაიხედა, ეზოში თავმოყრილი პოლიციელები დაინახა და მათი მიმართულებით „ნაგანის“ პისტოლეტიდან ოთხჯერ გაისროლა. ტყვიები, საბედნიეროდ, არავის მოხვედრია.

მძევალ ქალთან ერთად პაპაშვილი იმავე სადარბაზოს №18 ბინაში შეიჭრა. იქ მყოფებს – მანანა ლონდარიძეს, თეა ბიძინაშვილსა და ორი წლის ნინო ბიძინაშვილს – იარაღით დაემუქრა და უბრძანა, რასაც მოსთხოვდა, ყველაფერი შეესრულებინათ. ერთ-ერთი მეზობელი, თემურ მჭედლიშვილი კი, „ნაგანიდან“ გასროლილი ტყვიით ფეხში დაჭრა.

რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე რუსთავის შს სამმართველოს უფროსი – ჯაფარიძე, კრიმინალური პოლიციის უფროსი – მჭედლიშვილი, I განყოფილების უფროსი – ასანიშვილი მივიდნენ.

მოლაპარაკებების დროს, მათ პაპაშვილს, მძევალთა გათავისუფლება და სანაცვლოდ, საკუთარი თავის მძევლებად აყვანა შესთავაზეს.

ამ წინადადებას პაპაშვილი დათანხმდა. ქალები და ბავშვი გაათავისუფლა, მაგრამ პოლიციის შეფებს ხელბორკილები დაადო, თან, თითოეულ მათგანს ტაბელური იარაღი ჩამოართვა. ეზოში ჩასვლისას, სამივე ჩინოსანი პოლიციელი კრიმინალური პოლიციის უფროსის კუთვნილ „მერსედეს-320“-ში ჩასვა და ქალაქგარეთ წააყვანინა.

ეზოდან გასვლისას, მან ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი – ალექსანდრე ბუკია შენიშნა. ისიც აიძულა, ჩამჯდარიყო მანქანაში. ქალაქს რომ გაშორდნენ, პაპაშვილმა პოლიციელებს 5.000 ამერიკული დოლარი და საკუთარი ხელშეუხებლობის გარანტია მოსთხოვა. აღნიშნული თანხა, როგორც მაშინვე ახსნა, მას ქვეყნიდან გასაქცევად სჭირდებოდა.

პოლიციელებმა პაპაშვილს ყველა მოთხოვნის შესრულება აღუთქვეს. გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე, კუმისის ტბას რომ მიუახლოვდნენ, პაპაშვილმა ჯაფარიძე, მჭედლიშვილი და ასანიშვილი გაათავისუფლა, ბუკია კი საჭესთან დასვა და გზის გაგრძელება უბრძანა. სწორედ გზაში, ბუკიამ დანებებაზე მისი დაყოლიება შეძლო – ურჩია, პოლიციას ჩაჰბარებოდა – და პაპაშვილიც, სრულიად მოულოდნელად, დათანხმდა.

საქმის სასამართლო გამოძიების მსვლელობისას, თავად პროკურატურამ მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით, პაპაშვილს დაენიშნა ამბულატორიული ექსპერტიზა ფსიქიატრიული მდგომარეობის დასადგენად. მოგვიანებით, საჭირო გახდა სტაციონარული ექსპერტიზაც. აღმოჩნდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს, დავით პაპაშვილს უკვე სერიოზული ფსიქიკური მოშლილობა ჰქონდა. ამის მიზეზი კი, მისი სიმსივნური დაავადება ყოფილა. როგორც გაირკვა, სიმსივნე, რომელიც პაპაშვილს სასქესო ორგანოებზე ჰქონია, იმ დროისთვის, უკვე განვითარების მეოთხე სტადიაში იყო შესული. განსასჯელისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობის დანიშვნის თაობაზე განჩინებას სასამართლო ამ დღეებში გამოაცხადებს.

■

რაკიდანაც მუსარია სტუდენტობისას შექმნილი ოჯახი

ოჯახის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ნაბიჯია ადამიანის ცხოვრებაში. ამ ნაბიჯს ზოგი მოწიფულობისას დგამს, ზოგი კი — მეტისმეტად ადრეულ ასაკში. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრისას, — ამ შემთხვევაშიც უნივერსალური რეცეპტები არ არსებობს. თუმცა, ადრეული ქორწინება მუდამ, საზოგადოების მსჯელობის საგანი იყო, დღეს კი, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. რამდენად სასიკეთოა, სტუდენტობისას დაოჯახება? — ამ კითხვით თვით სტუდენტებს მივმართეთ.

ნათია გუმბერიძე

რეზო ალადაშვილი, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორეკურსელი:*

— საკამათო საკითხია, რადგან ზოგ სტუდენტს არ უნდა სწავლა და მშობლების ხარჯზე სურს ოჯახის შექმნა. მხედველობაში მყავს ბიჭები. მართლაც — თუ მატერიალურად არ უჭირს ოჯახს და მშობლებიც მხარში უდგანან სტუდენტ ვაჟს, რატომაც არ უნდა დაოჯახდეს იგი ადრეულ ასაკში? ზოგიც პირიქით ფიქრობს: რომ არ გადადგამს ამ ნაბიჯს მანამდე, სანამ არ ექნება საკუთარი შემოსავალი და არ დაიმკვიდრებს ადგილს ცხოვრებაში. თუმცა, გამოუვალ სიტუაციაში შეიძლება, რომ პარალელურად — სწავლასთან ერთად იმუშაო. ისე, სტუდენტობის დროსაც ოჯახი ხელს არ შეგიშლის: თუ სწავლა გინდა, მაინც ისწავლი...

თიკო გაჩეჩილაძე, *თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი:*

— არ არის აუცილებელი, რომ ოჯახი სტუდენტობის პერიოდში შეიქმნას. ამ დროს გგონია — სიყვარულისთვის ყველაფერს დათმობ, მაგრამ ბოლოს ირკვევა ხოლმე, რომ თურმე ჯერ მზად არ ყოფილხარ ოჯახის ტვირთისთვის. ამავე დროს, ძალიან დიდი ბედნიერებაა დედობა, შვილზე მზუნველობა, მაგრამ თავის მხრივ, ეს ყოველივე თავისუფლებას გართმევს. სტუდენტმა სტუდენტობა უნდა იგრძნოს...

— მიუხედავად ამისა, რატომ ფიქრობენ ხოლმე სტუდენტები დაოჯახებაზე?

გიორგი უგარაშვილი

თიკო გაჩეჩილაძე

— ალბათ ასაკიდან გამომდინარე. ისე კი, ზედმეტი პრობლემაა, სტუდენტობის პერიოდში დაოჯახება.

ეკა ელბაქიძე, *დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეექვსეკურსელი:*

— საკმაოდ რთული შეკითხვაა, ზუსტად არ შემიძლია გიპასუხოთ. ერთი მხრივ, ოჯახი ხელისშემშლელია სწავლაში, განსაკუთრებით გოგონებისთვისაა ძნელი ამ პერიოდში ოჯახის ტვირთის ზიდვა. მაგრამ მოდით, გავითვალისწინოთ ჩემი პროფესიის სპეციფიკა: იმისათვის, რომ მივიღო სრულფასოვანი განათლება, ექვწლიანი სწავლის შემდეგ, აუცილებელია რეზიდენტურის გავლა, ეი. მინიმუმ 9 წელიწადი მჭირდება იმისთვის, რომ დავხელოვნდე ჩემს სპეციალობაში. აქედან გამომდინარე, დაოჯახებისთვის ვერაფრით მოვიცლი და წლებიც გამიფრინდება...

— შენი აზრით, რომელი ასაკია იდეალური ოჯახის შესაქმნელად — გოგონებისთვის და ბიჭებისთვის?

— გოგონებისთვის — 22-23 წელი, ბიჭებისთვის — 28-29, რადგან ეს ის ასაკია, როცა ბიჭს უკვე თავისი ადგილი ნაპოვნი უნდა ჰქონდეს, რათა შეძლოს ოჯახის რჩე-

ნა. თუმცა, ეს ჩემი სუბიექტური შეხედულებაა.

გიორგი უტარაშვილი, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პირველკურსელი:*

— რატომაც არა?! ჩემი აზრით, შეიძლება სტუდენტობის პერიოდში დაოჯახება. თუმცა, ამ შემთხვევაში, უმთავრესი ფაქტორი მატერიალური მდგომარეობაა. თუ სტუდენტს აქვს ოჯახის რჩენის საშუალება, მაშინ შეიძლება, იფიქროს მეუღლესა და შვილებზე. რაც შეეხება სწავლას — ამისთვის საკმარის დროს ყოველთვის გამონახავ. თანაკურსელი მყავს, 27 წლის ბიჭია, უკვე ორი შვილი ჰყავს და მიუხედავად ამისა, მშვენივრად სწავლობს. მე ვფიქრობ, რომ ოჯახი სწავლაში ხელს არ შეგიშლის. განა ცოტა დროს ვხარჯავთ მეგობრებთან გართობაში?! თუ დროს კარგად გავანაწილებთ, მაშინ ოჯახისთვისაც მოვიცლით, სწავლისთვისაც და თავისუფალი დროც დაგვრჩება.

— თქვენი აზრით, 18 წლის სტუდენტმა როგორ უნდა არჩინოს ოჯახი?

— უამრავი სამუშაო არსებობს. სათაკილო არაფერია. თუ მე გადავწყვეტ დაქორწინებას, მაშინ ვიმუშავებ კიდეც. მაგალითად, გაზეთების დამტარებლად, ავტოდარაჯად, მაღაზიის მომმარაგებლად და ვეცდები, როგორმე შევინახო ჩემი ოჯახი.

თეონა თათეიშვილი, *ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი:*

— რასაკვირველია, არ უნდა შეიქმნას ოჯახი ამ პერიოდში. თუ ახალგაზრდა მიზანდასახულია, უნდა, რაღაცას მიაღწიოს კონკრეტულ სფეროში და კარგად დაეუფლოს თავის სპეციალობას, ამ შემთხვევაში, ოჯახი ხელისშემშლელია, განსაკუთრებით — ქალისთვის. მოდით, გავითვალისწინოთ ქართველი მამაკაცების შეხედულებებიც და დავინახავთ, რომ ქალმა უნდა დათმოს თავისი ცხოვრება, თავისუფლება და ყველაფერი ოჯახს შესწიროს. სუფთა ქართული ოჯახი ხომ გამორიცხავს იმას, რაც თან ახლავს სტუდენტურ ცხოვრებას. ამას ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვამბობ: პირველ კურსზე გავთხოვდი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემ მიერ არჩეულ პროფესიაზე — ვერანაირად ვერ ვუთავსებდი სწავლას და საოჯახო საქმეებს ერთმანეთს და იძულებული გავხდი, სპეციალობა გამომეცვალა.

თეონა თათეიშვილი (მარცხნივ) მეგობართან ერთად

— რა არის იმის მიზეზი, რომ სტუდენტობისას შექმნილი ოჯახების უმრავლესობა ინგრევა?

— ამას ვერანაირად ვერ დავაბრალებ სწავლას. მთავარი ალბათ ისევ და ისევ ასაკია. 18-23 წელი ადამიანის ცხოვრებაში გარდამავალი ასაკია. ამ დროს, ცნობიერების დონეზე, ახალგაზრდა არ არის მომზადებული ოჯახისთვის. ამ ასაკში რადიკალური, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება არ შეიძლება... ■

ჯეონეთი საინფორმაციო ტექნოლოგიები
GEONET
10/20 ლარი
8 00 50 50; 771 772
47 21 25
10/20 ლარი
0.43 ლარი
www.geonet.ge

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელი ცნობილი პიროვნების მშობლიური ქალაქია ვენეცია?

ა) კაზანოვასი;
ბ) პაგანინის;
გ) მიქელანჯელოსი.

2. რისგან ამზადებენ კოქტეილს „სისხლიანი მერი“?

ა) არყისა და ტომატისგან;
ბ) ტომატისა და ვისკისგან;
გ) ჭარხლის წვენისა და არყისგან.

3. როდის მოხდა ატომური იარაღის პირველი გამოცდა?

ა) 1945 წელს;
ბ) 1948 წელს;
გ) 1953 წელს.

4. იპოლიტე ხვიჩია ამბობდა: „სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ იმის კი მეშინია, სასაფლაოდან ყველა რომ წამოვა და მე კი იძ დავრჩებიო“. ვინ გაუთენა დასაფლავების შემდეგ პირველი ღამე სასაფლაოზე იპოლიტეს?

ა) ეროსი მანჯგალაძემ;
ბ) თენგიზ ჩანტლაძემ;
გ) კარლო საკანდელიძემ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მართვის მოწმობის ნაცვლად, მომლერალი პოლიციელებს ავტოგრაფებითა და აუდიოკასეტებით ასაჩუქრებს

ქეთი მერკვილაძის კლიპებში მანქანები, ავტორბოლა და პროფესიონალი ავტომრბოლელები იშვიათობას არ წარმოადგენს. ეს ქეთის სურვილით ხდება, რადგან მას მანქანები და სიჩქარე ძალიან უყვარს. თუმცა მის დაუოკებელ ლტოლვას სისწრაფისკენ, მამამისი აკონტროლებს. ის ქეთის უფლებას არ აძლევს, რომ „იგონკაოს“. ქეთი მანქანების შესახებ დიდი სიამოვნებით საუბრობს.

ლელა ჭანკოტაძე

— ახლა მყავს „ფიატი უნო“, ასფალტისფერი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ოჯახის მანქანაა, ხან მე ვატარებ, ხანაც — მამაჩემი. ჩვიდმეტი წლის ვიყავი, პირველად რომ მივუჯექი საჭეს. მანქანის მართვა მამაჩემმა მასწავლა. ქუთაისში, წყალტუბოს გზებზე დავდიოდი. მაშინ მამას „ჟიგული-08“ ჰყავდა. ის მანქანა ახლახან გავყიდეთ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ გული ძალიან დამწყდა.

— მართვის მოწმობა შენით აიღე?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ არც არასდროს დამჭირვებია. არასდროს არ მქონია შემთხვევა, რომ გამომეყენებინოს. ძალიან იშვიათად მაჩერებენ, თუ გამაჩერეს, მცნობენ და „პრავის“ მაგივრად, ავტოგრაფს მთხოვენ, უფრო ხშირად კი — კასეტას ჩემი სიმღერებით.

— დამოუკიდებლად როდის მიუჯექი საჭეს? მამამ როდის დაგრთო ნება, მისი მეთვალყურეობის გარეშე გევლო?

— შიშის გრძნობა არასდროს მქონია, ამიტომ სულაც არ გამჭირვებია დამოუკიდებლად საჭესთან ჯდომა. თუმცა ქუთაისში მარტოს არ მივლია, თბილისში შედგა ჩემი, როგორც მძღოლის დებიუტი. მანქანა ძალიან მიყვარს. საჭესთან თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ამიტომაც ამბობენ მამაჩემი და მისი მეგობრები, რომ მანქანას მამაკაცივით ვმართავ. არასდროს მქონია თუნდაც უმნიშვნელო პრობლემა მანქანასთან დაკავშირებით.

— დიდი მანძილი თუ გაგივლია დამოუკიდებლად?

— თბილისიდან ქუთაისამდე და პირიქით, ჩვეულებრივად დავდივარ. თუ უფრო შორს მივდივართ, მე და მამა ვენაცვლებით ხოლმე ერთმანეთს.

— არანაირი ხიფათი არ შეგმთხვევია?

— ერთხელ, „ლაგუნა-ვერესთან“, მოსახვევში ნამდვილად მომივიდა მარცხი. ფეხი „გაზზე“ მქონდა მიჭერილი და უცბად ქუსლი ჩამეჭედა პედლის ღარში. ვერაფრით შევძელი პედლიდან ფეხის აღება. არადა, მამაჩემი განწირული ყვიროდა: დაამუხრუჭე, დაამუხრუჭეო!.. ერთი სიტყვით, ისეთი მანევრი ჩავატარე, იმდენ მანქანას ავაცილე და იმდენ მანქანას შორის გავძვერი, რომ დღემდე ვერ ვივიწყებ. არ ვიცი, როგორ გადავრჩი. ჩემი ფეხსაცმლის გამო შეიძლებოდა, მინიმუმ ათი მანქანა დამემტვრია, პოლიციელი რომ მოვიდა, ისეთი შეწუხებული და შეშინებული ვიყავი, რომ აქეთ დამიწყო დამშვიდება. თუმცა, სახეზე ფერი თვითონაც არ ედო.

— ავარიაში არასდროს მოყოლილხარ?

— ვაკეში, ფალიაშვილზე დაარღვია მოძრაობა ჯიპმა და ჩვენს მანქანას დაეჯახა. საჭესთან მამაჩემი იჯდა. ეს იყო ის პერიოდი, როცა ვამონტაჟებდით სიმღერას — „ქალს“. მონტაჟიდან „მეტეხში“ მივდიოდი კონცერტზე. რა თქმა უნდა, ვეღარ წავედი — ტვინის შერყევა მივიღე. მანქანა ძალიან დაიმტვრა, მე და მამა კი, საავადმყოფოში წაგვიყვანეს. თავი გატეხილი მქონდა.

— შენს კლიპებში უამრავი მანქანაა, ერთ კლიპში ავტორალიც კია გადაღებული. ეს შენი არჩევანით ხდება ხოლმე?

— ჩემს სამ კლიპში ჩანს მანქანები. პირველად მანქანით გამოვჩნდი კლიპში — „სადა ხარ“, თეთრი ჯიპით გადამიღეს. ეს კლიპი გიგა აგლაძემ გადაიღო. სიმღერა რომ მოისმინა, მკითხა: რა ასოციაცია გაქვს, შენი აზრი მაინტერესებსო? მე ვუპასუხე: სიჩქარის ასოციაციას იწვევს ეს სიმღერა ჩემში, ამიტომ მინდა, რომ კლიპში ბევრი მანქანა იყოს-მეთქი. ასე გაჩნდა იდეა, ავტორალის კადრები ჩაგვერთო კლიპში. სპორტული მანქანის — „სუბარუს“ საჭესთან დაჯდომა თავად მინდოდა, მაგრამ არაფრით არ დამსვეს... შემდეგ, კლიპში — „მე და შენ“ — მოტოციკლეტით გამოვჩნდი. ბოლო კლიპში — „ვაუკაცო“, გადაწყვეტილი იყო, რომ საჭესთან ჩემი პარტნიორი მჯდარიყო, მაგრამ მე არ დავთმე და სცენარი შევაცვლევინე. ■

კონტრასტული ფერების, ოვალური ნივთების და ექსტერიერი ნივთების გემოვნებაში...

ამ თაროებზე ის უამრავი ნივთი აწყვია, რომელსაც რაღაც ღირებულება აქვს – მაგალითად...

მხატვარი ნიკუშა შენგელაია და მისი მეუღლე ეკა ჭიჭინაძე 9 წელია, რაც ერთად ცხოვრობენ, განცალკევებით ცხოვრება კი, მხოლოდ 6 თვის წინ დაიწყეს, როცა საკუთარ, ახალ ბინაში გადავიდნენ. მანამდე, ხან ნიკუშას მამასთან — გიორგი შენგელაიასთან ცხოვრობდნენ, ხან დედასთან — სოფიკო ჭიაურელთან...

მათ ახალ ბინაში ყოველდღე, უამრავი სტუმარი და მეგობარი იყრის თავს. ნიკუშასთვის მეგობრებს უთქვამთ: შენთან ყოფნა გვიყვარს იმიტომ, რომ ისეთი სახლია, ასე გვგონია, თბილისში არ ვართო... ცოლ-ქმარს ერთი შვილი — გიორგი შენგელაია-უმცროსი ჰყავს, რომელიც ძალიან ცელქია და როგორც ეკამ თქვა, უკვე აფუჭებს კიდეც სახლში რაღაცებს. გიო წელს სკოლაში შევა. მას უკვე შეუძლია თავისი სახელის წაკითხვა და ორმოცდაათამდე დათვლა.

ნათია თენიეშვილი

ეკა და ნიკუშა დაახლოებით ერთი თაობის წარმომადგენლები არიან. ერთსა და იმავე ნაწარმოებებს კითხულობდნენ, ერთსა და იმავე მუსიკას უსმენდნენ და ამიტომ მათი გემოვნებაც ერთმანეთისას ემთხვევა. ნიკუშას საყვარელი მხატვრები რემბრანდტი და ველასკესი არიან, ჰობი – ბუნებასთან ურთიერთობა და საქსოფონზე დაკვრა. ოთახშიც მეგობრის ნაჩუქარ ბას-საქსოფონს განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი. გაშლილი სივრცე, სადა და კონტრასტული ფერები, უცნაური განათება, უამრავი სანთელი და საინტერესო ნივთი და რაც მთავარია, ქართული წესით ნაგები ქვის კედელი – ეს ყველაფერი ნიკუშას გემოვნებით არის გაკეთებული და მოწყობილი.

იმ ადგილას, სადაც მას ყველაზე მეტად უყვარს ჯდომა, ერთი კედელი მთლიანად თაროებით არის დაფარული. ამ თაროებზე ის უამრავი ნივთი აწყვია, რომელსაც რაღაც ღირებულება აქვს – მაგალითად: მეგობრების ნაჩუქარი ჭიქები; პატარა გლობუსი – სიმბოლოდ იმისა, რომ დედამიწა ძალიან პატარაა და როცა ადამიანი შეხედავს, შეიძლება, თავისი დიდი ზრახვები და მიზნები დაუპატარავდეს; ჩინური იეროგლიფებიანი, გაშლილი მარაო თაროზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ნიკუშას მოსწონს იეროგლიფები, თორემ როგორც მარაოს, მას არ ვხმარობთო, – მითხრა. იქვე არის მეგობრის ნაჩუქარი, საუკუნის დასაწყისის დროინდელი მეხანძრეების „კასკა“ – ხანდახან ვიხურავთ მე და ეკა და ბავშვისგან ვიცავთ თავსო – ხუმრობს ნიკუშა. მოპირდაპირე მხარეს უცნაური, ჩინური მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელიც ძალიან ლამაზ ხმას გამოსცემს და როგორც მხატვარმა თქვა, მასზე მაშინ უკრავს ხოლმე, როცა სულელურ ხასიათზეა. ბინაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კიბის ფორმის ტრადიციულ ჩინურ კედელს, ბევრი უჯრითა და სათავსით. მისი სახლით აღფრთოვანებულ ადამიანებს ნიკუშასთვის დიზაინერობაც შეუთავაზებიათ, მაგრამ – არ ვაპირებ, ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემთვის გავაკეთეო, – ამბობს.

მეგობრის ნაჩუქარ ბას-საქსოფონს განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი

– ჩემთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ამიტომაც გავშალე სივრცე და ფაქტობრივად, სამი ოთახიდან გავაკეთე ერთი. არაგამაღიზიანებელი, სადა ფერები გამოვიყენე. არ მიყვარს სხვადასხვა სტილის არევა. მომწონს ხაზგასმით ფუნქციონალური სტილი. ისე „დავტეხე“ ოთახი და გამოვიყენე ხის მასალა, რომ ბევრი ავეჯი არ არის, მაგრამ ბევრი მოსახერხებელი ჩამოსაჯდომია. მატერიალურადაც ძალიან მომგებიანია ასეთი გადაწყვეტა.

— ეკა, თქვენ ყველაფერში ეთანხმებოდით ნიკუშას თუ უწევდით ხოლმე წინააღმდეგობას?

– ყველაფერში ვუწევდი წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ, ვპოულობდით ოქროს შუალედს და ვთანხმდებოდით. დღეს, არაფერი მაღიზიანებს და ყველაფერი მომწონს ჩემს სახლში. არ მიყვარს ძველი და არასაჭირო ნივთებით გადატვირთული ოთახები. ძირითადად, ის ნივთები მაქვს, რომელიც მჭირდება.

— სახლში უამრავი დეკორატიული სანთელია. თქვენ გიყვართ თუ ნიკუშას?

– ნიკუშა გიჟდება სანთლებზე, მას მოსწონს ასეთი შუქი. არ უყვარს ღია ფანჯრები და მზის სხივები ოთახში. როცა მუშაობს,

გიო წელს სკოლამი შევა. მას უკვე შეუძლია თავისი სახელის წაკითხვა და ორმოცდაათამდე დათვლა

მაშინაც ასეთ შუქზე ხატავს. უკვე მეც მივეჩვიე, რომ სახლში ასეთი „პოლუმრაკი“ უნდა იყოს. საღამოობით, სულ სტუმრები გვყავს და სანთლებს ვანთებთ ხოლმე. ძალიან ლამაზია.

— ხშირი სტუმრიანობა არ გღლით?

— პირიქით — მსიამოვნებს ბევრი ხალხი, თან შინაურები არიან და საკუთარ თავს თვითონ უვლიან ხოლმე. თითქმის მთელ დღეს სამზარეულოში ვატარებ, ვერ მოვთვლი, რამდენ ფინჯან ყავას ვადუღებ დღის განმავლობაში, ვეუბნებოდი ნიკუშას: სამზარეულო მაინც მოვაწყოთ ისე, როგორც მე მინდა-მეთქი, — მაგრამ ესეც თავისი გემოვნებით გააკეთა. თუმცა, ახლა ძალიან მომწონს. გემოვნება მართლა კარგი აქვს, მაგას ვერ წაართმევ. როცა რაღაცას ადგილი უნდა შევურჩიო, მე დიდხანს ვფიქრობ და ვწვალობ, ნიკუშა მივა და ზუსტად იქ დადებს, სადაც უნდა დადოს. საოცარი თვალი აქვს და მე ვფიქრობ, ეს ნიჭია. ყველაფერი მისი მოწყობილია — მე გამზადებულ სახლში შემოვედი.

— ნიკუშა, როგორ ფიქრობთ — გემოვნება ნიჭია და ადამიანს დაბადებიდან სდევს თან თუ მისი ჩამოყალიბება მერე ხდება?

— პირველი პირობა, რა თქმა უნდა, არის ნიჭი, რომელიც შეიძლება, მერე დახვეწო, შენამდე შექმნილ დიდ კულტურასთან ზიარებით. დროთა განმავლობაში, გარკვეულწილად იცვლება გემოვნება, მაგრამ მკვეთრად — არა.



— როცა თქვენს ადრინდელ ნამუშევრებს უყურებთ, ფიქრობთ, რომ დღეს უფრო კარგად გაკეთებდით იმავეს?

— ვფიქრობ, რომ ჩემი არც ერთი ადრინდელი ნამუშევარი არ არის სრულყოფილი. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ ნაკლები ინტერესი მაქვს. მე უფრო მაინტერესებს, რას ვაკეთებ ახლა და რას გავაკეთებ შემდგომში. მხატვარი სულ რაღაც ახლის ძიებაშია. მე ხატვის პროცესი უფრო მიყვარს, ვიდრე შედეგი.

— ხატვას დიდ დროს უთმობთ?

— ახლა ნაკლებად ვხატავ. ეს შინაგანი მდგომარეობით და ოჯახური სიტუაციით არის გამოწვეული. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტრადიციულად, მხატვრებს ოჯახები არა აქვთ. ხატვას ძალიან დიდი დრო უნდა დაუთმო. როცა ხატავ, ითიშები და რეალურ სამყაროსთან პირობითი ურთიერთობა გაქვს. აქამდე, გიო პატარა იყო, მოვლა და დიდი ყურადღება სჭირდებოდა. მატერიალური მდგომარეობაც დიდ როლს ასრულებს. მე ვფიქრობ, ძალიან ძნელია დღეს, მხატვრული ნაწარმოებით იარსებო. ამიტომ ვამჯობინებდი, სხვადასხვა პროექტი განმეხორციელებინა *(მაგალითად, აპანოთუბანში დადგმული ხოხბის ქანდაკება. — ავტ.)*. ახლა გიო წამოიზარდა, სკოლაში მიდის. ვფიქრობ, დადგა დრო და ნელ-ნელა დავუბრუნდები ხატვას.

— ერთი წლის წინ, ჩემთან საუბრისას თქვით, რომ აპირებდით საქველმოქმედო მიზნით შადრევნის აგებას უდედმამო ბავშვებისთვის. ეს გეგმა რატომ არ განხორციელდა?

თითქმის მთელ დღეს სამზარეულოში ვატარებ, ვერ მოვთვლი, რამდენ ფინჯან ყავას ვადუღებ დღის განმავლობაში

— საოცარი რამ მოხდა. როცა ამ შადრევნის იდეა მომივიდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გავაცანი. მომიწონა და დამლოცა. შეთანხმებული ვიყავი ვანო ზოდელავასთან და მინდოდა, ვაკეში აშენებული, ახალი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამეკეთებინა — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხმრავალი ადგილია და თან, ხალხი ეკლესიაში საქველმოქმედო განწყობით მიდის ხოლმე... უნდა ჩამოყალიბებულიყო კომისია, რომელიც შეარჩევდა უპატრონო ბავშვებს შორის ნიჭიერებს; შეწირულ ფულს მათ განათლებას მოვახმარდით — იმ განხრით, რისი ნიჭიც მათ ღმერთმა მისცა. ეს პროექტი და ჩემი აზრი გავუზიარე საპატრიარქოს კომისიას. მათ ისეთი კითხვები დაებადათ და ამის საწინააღმდეგოდ ისეთი არგუმენტები ჰქონდათ, რომ იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და წამოვსულიყავი: მითხრეს, რომ შადრევნის ირგვლივ შეკრებილი ხალხის და ბავშვების ჟრიამული ხელს შეუშლის მღვდელსა და მრევლს ლოცვაშიო. მე ეს არ მესმის. ვფიქრობ, საკითხი ეხება ბავშვებს და ვფიქრობ, რომ ერთი ადამიანის სულიერი გადარჩენა შეიძლება ტაძრის აშენებაზე მეტსაც ნიშნავს... ახლა სხვა ადგილია მოსაძებნი და სამწუხაროდ — არა ეკლესიასთან... კიდევ, „ოქროს ვერძის“ სკულპტურა მინდოდა დამედგა ფოთში. შეთანხმებაც მქონდა პრეზიდენტთან — დამპირდა, საკითხის გადაწყვეტა კონკრეტულ პირებს დაავალა, ნაწილობრივ დამაფინანსეს მიზერული თანხით და მერე, საქმე გაჩერდა. მთელი მსოფლიო იცნობს საქართველოს, როგორც „ოქროს ვერძის“ ქვეყანას და არ შეიძლება, ჩვენთან არ იდგეს ერთი სკულპტურა მაინც.

— როგორც ვიცი, ძალიან გიყვართ საქსოფონზე დაკვრა. ხშირად უკრავთ ხოლმე?

— სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში, მივანებე თავი, მაგრამ ახლა, მე და ირაკლი ჩარკვიანს გვაქვს ერთი იდეა. ირაკლიმ დაწერა ძალიან კარგი სიმღერა და გვინდა გავაკეთოთ კლიპი უპატრონო ბავშვებსა და უმწეო მოხუცებზე; მისი მეშვეობით პირდაპირ ვეტყვით ხალხს: „გაახილეთ, ხალხო, თვალები“, რათა დაინახონ ის, რაც გარშემო ხდება. შეუძლებელია, ადამიანი იყო ბედნიერი საზოგადოებაში, თუ ვერ აღიქვამ, რეალურად რა ხდება შენ გარშემო და არ ცდილობ, შეძლების-

მეგობრის ნაჩუქარი, საუკუნის დასაწყისის დროინდელი მეხანძრეების „კასკა“ – ხანდახან ვიხურავთ მე და ეკა და ბავშვისგან ვიცავთ თავს

დაგვარად, რაღაც შეცვალო უკეთესობისკენ. სირცხვილია, რომ ჩვენს ქალაქში მათხოვრობს ავადმყოფი ბავშვი ან 80 წლის მოხუცი ნაგავში იქექება. სანამ ამას არ მოევლება, მანამდე სულ ტყუილია ყველაფერზე ლაპარაკი... ახლა მუსიკასა და ტექსტზე კონკრეტული მუშაობა მიმდინარეობს. შემდეგ, ალბათ მოგვიწევს სპონსორის პოვნა. ვნახოთ, რა იქნება.

— ეკა, თქვენ და ნიკუშა 9 წელია ერთად ცხოვრობთ, მაგრამ მარტო ცხოვრება ახლახან დაგიწყიათ. რა შეიცვალა მას შემდეგ?

— უფრო დავმშვიდდით — ჩვენი რეჟიმი გვაქვს. მე მიმაჩნია, რომ ოჯახმა აუცილებლად ცალკე უნდა იცხოვროს, მაშინ იქნება ის სრულყოფილი. ჩვენ არავის იმედზე აღარ ვართ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და უკვე მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ამდენ ხანს, ამხელა ქალი პატარა გოგოდ ვგრძნობდი თავს. აღმოჩნდა, რომ მეც და ნიკუშასაც ძალიან კარგად შეგვიძლია, ტრადიციული, ნორმალური ოჯახი გვქონდეს და რასაც ადრე, ჩვენი მშობლები აკეთებდნენ, იგივე გავაკეთოთ ჩვენც.

— ქალბატონ სოფიკოს თუ მოეწონა თქვენი სახლი?

— ძალიან მოეწონა. ისეთია, რომ მე მგონი, ყველას უნდა მოეწონოს.

— გიო ძალიან ცელქია. ხომ არ აფუჭებს ხოლმე რაღაცებს?

— კი, რა თქმა უნდა, აფუჭებს, მაგრამ რა ვქნათ? ბებია-ბაბუასავით, ყველაფერს ვპატიობთ და ვუსრულებთ. ცოტა ხანი კიდევ ასე იქნება და მერე ვნახოთ — გაიზრდება და ალბათ დაჭკვიანდება.

— ნიკუშას ტანსაცმელს ვინ ურჩევს და თუ იცვამს ხოლმე კლასიკურ სტილში?

— მის ჩაცმულობაში არ ვერევი, ტანსაცმელს თვითონ ყიდულობს. კლასიკური ჩაცმულობა ძალიან უხდება და იცვამს, როცა საჭიროა. მე თვითონ მიყვარს კლასიკური სტილი, ყოველდღე არა, მაგრამ მიყვარს სადად და კლასიკურად ჩაცმა.

— თქვენს ჩაცმულობაში თუ ერევა ნიკუშა?

— ძირითადად, მე თვითონ ვყიდულობ ჩემთვის ტანსაცმელს, მაგრამ აუცილებლად ვაჩვენებ და ანგარიშს ვუწევ მის აზრს. პრინციპში,რასაც ვყიდულობ, პირველ რიგში მინდა, მას მოეწონოს და ჩემ გვერდით კარგად იგრძნოს თავი.

— საჩუქრების მორთმევა თუ უყვარს?

— მე მიყვარს ძალიან და ვაიძულებ ხოლმე, რამე მაჩუქოს. დავდგები, დავიწყებ ლაპარაკს: დღეს სიყვარულის დღეა — ან — ქალთა დღეა და ა.შ.

ნიკუშა:

— რა, მე შენთვის საჩუქარი არ გამიკეთებია?! ზედმეტი არ მიყვარს, თორემ, ისე, როგორ არ გჩუქნი?!.

ეკა:

— ყველაფერს შენ ყიდულობ; ცდილობ, მასიამოვნო და გამახარო, მაგრამ საჩუქრების მოძღვნა არ გიყვარს.

ნიკუშა:

— მე ისეთი საჩუქარი გავუკეთე, ამას — გიორგუნა, — რომ უფრო დიდი აღარ შეიძლება...

— ეკა, რთულია ნიკუშასთან ცხოვრება?

— საერთოდ, თვითონ რთულია — ისევე, როგორც ყველა ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ მე არ მიჭირს მასთან ურთიერთობა. რაც მასთან ერთად ვარ, მას შემდეგ დავისვენე და ვარ ისეთი, როგორიც რეალურად ვარ — ყველანაირი დაძაბულობისგან თავისუფალი... ისეთი ტიპია, რომ არ არსებობს, დაგძაბოს. კარგად ვგრძნობ მის გვერდით თავს. როცა ამ ასაკში გადაწყვეტ ადამიანთან ერთად ცხოვრებას, მასთან ძალიან კარგად უნდა გრძნობდე თავს. მე უფრო აფექტური ვარ და მოთმინებიდან გამოვდივარ ხოლმე, ის ძალიან მშვიდია. მაგიჟებს მისი სიმშვიდე, მაგრამ ზოგჯერ ერთ სიტყვას მეტყვის და ისეთს, რომ მთელ ჩემს წივილ-კივილს მისი ის ერთი ნათქვამი გადაფარავს...

ბავშვობაში ნიკუშა თურმე ძალიან ბევრს კითხულობდა. ახლა — ნაკლებად, რადგან თანამედროვე ლიტერატურაში ვერ პოულობს იმას, რაც მოსწონს და სჭირდება. ბოლო დროს, პოეზია უფრო მიზიდავსო, — ამბობს. როცა ვკითხე — რა მუსიკას უსმენთ-მეთქი? — მიპასუხა: ძალიან ცოტას ვუსმენ, მომწონს 70-იანი წლების წრფელი მუსიკოსები და ბლუზი, მაგრამ შეიძლია ისიც გითხრათ, რას ვერ ვუსმენო. ის, რასაც ნიკუშა ვერ უსმენს, თითქმის მთელი ქართული ესტრადა აღმოჩნდა, ირაკლი ჩარკვიანის, გიორგი გაჩეჩილაძის (უცნობის) და კიდევ ერთი-ორი მომღერლის გამოკლებით... ამბობს, რომ როცა მისი შვილი გაიზრდება, აუცილებლად ეცდება, გაულვივოს ინტერესი კარგი ლიტერატურისა და კარგი მუსიკისადმი და ოცნებობს იმ დროზე, როცა გიო გაიზრდება იმხელა, რომ მასთან ერთად, მთაში — იმ ადგილებში იმოგზაუროს, რომელიც წლების წინ, მეგობრებთან ერთად თავად მოიარა. ■

ის, რასაც ნიკუშა ვერ უსმენს, თითქმის მთელი ქართული ესტრადა აღმოჩნდა, ირაკლი ჩარკვიანის, გიორგი გაჩეჩილაძის (უცნობის) და კიდევ ერთი-ორი მომღერლის გამოკლებით...

ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV"

ელექტრონული ჭადრაკი "SABER IV" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა **state-of-the-art** საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს, როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი – თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ - სენსორული დაფა და თვითონ გადაადგილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადვილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს, აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ელექტრონული ჭადრაკი ანვითარებს ბავშვის კონცენტრაციას, სათამაშო სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს და რაც მთავარია, ეს ხდება მასწავლებლისა და პარტნიორის დაუხმარებლად, თუმცა შესაძლებელია ასევე სურვილისამებრ თამაში პარტნიორთან ერთად. ელექტრონული ჭადრაკი საუკეთესო პარტნიორია მათთვის, ვინც უკვე კარგად ერკვევა საჭადრაკო ხელოვნებაში. იგი საშუალებას გაძლევთ შეინახოთ თამაში შემდგომი გადათამაშებისთვის, გააანალიზოთ როგორც თქვენი, ისე ელექტრონული ჭადრაკის მიერ გაკეთებული სვლები და იხილოთ მისი შესაძლო ვარიანტები, ასევე უფრო იოლი ან რთული დონეები. ჭადრაკის ფიგურები ინახება სპეციალურ განყოფილებაში დაფის უკანა მხარეს.

ზომები: 210 x 188 x 22 მმ.
წონა: 410 გრ.
კვება: 3x"AAA"1,5 V

ფასი: 125 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით ☎(995 32) 53 74 60 ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - www.shopge.com-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში.
კურიერის მომსახურება უფასოა.

ნინო ჯავახიშვილი



ბოლო წლებში ძალზე გახშირდა გართულებული მშობიარობები, რაც ძირითადად სომატური პათოლოგიით (თირკმლის, ტვინის თანდაყოლილი პათოლოგიით) არის განპირობებული, ორსულთა 80% კი, აბსოლუტურად მოუმზადებელია დედობისთვის, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში გინეკოლოგმა **დავით კოგეშავიძემ.** *რატომ არ ემზადებიან ქალები დედობისთვის, რატომ გახშირდა საკეისრო კვეთა და უნდა დაესწროს თუ არა მამაკაცი მეუღლის მშობიარობის პროცესს? — სწორედ ამ და სხვა არაერთ საჭირბოროტო საკითხზე გვესაუბრება ბატონი დავითი.*

მშობიაროების დროს, ქალის ინტელექტის გამომჟღავნება ხდება

— გართულებული მშობიარობა მართლაც ძალიან გახშირდა. ხშირია ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია, ტოქსიკოზი ორსულობის მეორე ნახევარში, სისხლდენა, რასაც ემოციური გადატვირთვა იწვევს. იმატა საშვილოსნოს გარე ორსულობის შემთხვევებმაც, რასაც თავისი მიზეზები აქვს. საკვერცხეების ანთება (ხშირად ამგვარ ანთებას ქალები ყურადღებას არ აქცევენ) იწვევს მილის სანათურის შევიწროებას და განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ვეღარ გადადის სანათურში, მილს ემაგრება და ორსულობაც იქ ვითარდება. მერე მილი სკდება და პაციენტი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოჰყავთ ჩვენთან. როდის არის დაშვებული შეცდომა? — მაშინ, როდესაც გოგონას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში თეთრად შლა, ტკივილები და ანთებები ჰქონდა, რამაც შეუქცევადი პროცესები გამოიწვია. სამწუხაროდ, მშობლები თავის დროზე ყურადღებას არ აქცევენ გოგონებს და მხოლოდ ორსულობის პერიოდში აღმოვაჩენთ ხოლმე საშვილოსნოს ყელზე ეროზიას, წყლულს, რომელიც ითვლება საშვილოსნოს ყელის კიბოს წინარე დაავადებად. ეს არის ელემენტარული ჰიგიენური მოთხოვნების არცოდნა, რომელიც არცოდვად ნამდვილად არავის ჩაეთვლება. საქმე ხომ მომავალი დედისა და მისი ნაყოფის სიცოცხლეს ეხება? საერთოდ, კულტურული ერი კი ვართ, მაგრამ ჩვენში სექსუალური ცხოვრების კულტურა ცხოველური ინსტინქტების დონეზეა. ამის დასადასტურებლად ისიც

ბოლო წლებში, საკეისროთა ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, ეს რამ გამოიწვია?

კულტურული ერი კი ვართ, მაგრამ ჩვენში სექსუალური ცხოვრების კულტურა ცხოველური ინსტინქტების დონეზეა...

კმარა, რომ დღეს ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოში ქალების 90% კვლავ აბორტის უპირატესობას აღიარებს. როგორღა უნდა დაარწმუნოს ექიმმა ქალი იმაში, რომ აბორტი მის ორგანიზმს ანგრევს და საბოლოოდ მისი რეაბილიტაცია ვეღარ ხერხდება? როგორ უნდა დაარწმუნო ფეხმძიმე, რომ ორსულობის პერიოდში, აუცილებლად ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს? მიშვებული ორსულობის (ანუ ისეთი ორსულობის, რომელიც გამოუკვლევია) შედეგად, ახალშობილიც არ იქნება ჯანმრთელი.

— ფეხმძიმე ქალებს მშობიარობის ფანატიკური შიში აქვთ. ხშირად, ორსულის თანდასწრებით უთქვამს ჩემთვის დედამისს: მე როგორც ვიტანჯებოდი და რაც გამოვცადე, არ მინდა, იგივე ჩემმა შვილმაც იგემოს, ამიტომ საკეისრო გაუკეთეთო... ასეთი შიშის მიზეზი კი ადრეულ ასაკში დაშვებული შეცდომებია — მთელი ბავშვობა და ორსულობამდე პერიოდი მას ჩასჩიჩინებდნენ, რომ მშობიარობა საშინელებაა, გაუსაძლისია სამშობიარო ტკივილები და ა.შ. ბევრმა არ იცის, რომ სამშობიარო შეტევების თანდართული, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მამაკაცებიც არ ემზადებიან მამობისთვის, გამოდის, რომ ბიოლოგიური აქტის ჩატარებისთვის ყველა მზად არის, შედეგისთვის კი — არავინ!..

— ბოლო წლებში, საკეისროთა ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, ეს რამ გამოიწვია?

— ეს ერთ-ერთ მიზეზად ითვლება. ეს ალბათ, ბიოლოგიური ფაქტორებიც ერევა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბავშვი ბევრ ასაკში ბევრ ინფექციურ დაავადებას ავადდებოდა. ეს ინფექციები ბავშვობაში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. სკილეტი ბერძნულად გამხმარს ნიშნავს.
2. მზის დიამეტრი 864000 მილიონი მილია.
3. ლომვეშაპის ეშვების მასა სამ კილოგრამს აღწევს.
4. სიტყვა „პროტეჟე“ ფრანგულად მფარველობას ნიშნავს.
5. კაირო ყველაზე დიდი ქალაქია აფრიკის კონტინენტზე.
6. ჩრდილები ზაფხულში უფრო მოკლეა, ვიდრე ზამთარში.
7. მურმან ლებანიძე სამამულო ომში 1942-43 წლებში იბრძოდა.
8. სიტყვა „სატანა“ ძველებრაულ ენაზე „მოწინააღმდეგეს“ ნიშნავს.
9. ბოშათა პროფესიული თეატრი „რომენი“ მოსკოვში 1931 წელს დაარსდა.
10. „სახლს ვერ გაათბობ, თუ არ ჩააცივდი“, — ამტკიცებს კოტე ყუბანეიშვილი.
11. კარლსონის მეგობარი ბიჭუნას ძაღლი, სახელად ბიმბო, დაბალბეწვიანი ტაქსა იყო.
12. დირიჟორ რობერტო ბენცის აბსოლუტური სმენა ჰქონდა და ანბანზე ადრე, ნოტები შეისწავლა.
13. საქართველოს ტერიტორიის ოთხმოცი პროცენტი იოდდეფიციტურია. P.S. ჩიყვით მსოფლიოში 66 მილიონი ადამიანია დაავადებული.
14. პოლ სინიაკი ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსია, ევა სიმონიტიტე — ლიტველი მწერალი.
15. „ვის მიიჩნევთ ლიტერატურაში თქვენს მემკვიდრედ?“ — ჰკითხეს ერთხელ ჭაბუა ამირეჯიბს. — „ვინც ჩემზე უკეთ დაწერს,“ — მოკლედ უპასუხა ბატონმა ჭაბუამ.
16. ზვიგენები ერთ-ერთი უძველესი არსებათაგანნი არიან დედამიწაზე. მეცნიერების აზრით, მათ პრაქტიკულად არ განუცდიათ ევოლუცია. სახეობების მიხედვით მათი ზომები 20 სანტიმეტრიდან 20 მეტრამდე მერყეობს.



17. ალჟირში მდებარეობს ტბა, რომელშიც ორი პატარა მდინარე ჩადინება. ერთი მდიდარია რკინის მარილებით, მეორე კი წებოვანი ნივთიერებებით. ამის გამო შესაძლებელია ტბის წყლის, მელნის მაგვარად გამოყენება.
18. ყოველწლიურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მგზავრობის დროს ავტომობილებში დაახლოებით 300 ბავშვი იბადება. ამ ახალშობილებს დაბადების მოწმობაში დაბადების ადგილის გრაფაში მანქანის ნომერს უწერენ.
19. „მატადორების ვალსი“ — ასე ერქვა

წესების დაცვა. სამწუხაროდ, გოგონასთვის დედაა ეტალონი, რომლის თაობის ქალებსაც ჰგონიათ, რომ მენსტრუაციის დროს, წყალთან მიკარებაც კი დაუშვებელია. ეს სისულელეა! წყალთან სიშორე კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან ყველაზე ნოყიერი საკვები ვირუსისთვის და ბაქტერიებისთვის სწორედ სისხლია. ამ დროს ხომ სასქესო გზები ღიაა ინფექციისთვის? ინფექციამ კი, თუ შეაღწია, ეს თავს იჩენს ორსულობისას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „მიძინებული“ ინფექცია, რომელიც დროთა განმავლობაში გაღვივდება. ამ ფონზე კი ხშირია ნეფროპათიები, პრეეკლამსიები და ეკლაპსიები — ორსულობის მეორე ნახევარში მძიმე ფორმის ტოქსიკოზები, რაც ხშირ შემთხვევაში, საუბედუროდ, ტრაგიკულად მთავრდება. არ ექცევა ყურადღება გოგონას ანატომიურ თავისებურებებსაც. როგორ შეიძლება, ქალმა მშობიარობისას აღმოაჩინოს, რომ მას ვიწრო მენჯი აქვს, ან არ იცოდეს, რომელი ჯგუფის სისხლი აქვს?

— როგორ უნდა იკვებოს ორსული? იტყვიან ხოლმე — ფეხმძიმემ ზამთარში მარწყვი რომ მოისურვოს, უნდა აჭამოთ, თორემ ბავშვი ბრმა ეყოლებაო...

— ეს მცდარი შეხედულებაა და შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქართველთათვის არის დამახასიათებელი. ორსული უმეტესად ცომეულით იკვებება. ცომეულში კი მისთვის სასარგებლო არაფერია. ხშირად შევსწრებივარ, სუფრასთან ღამის პირველ, ორ საათამდე ფეხმძიმე ქალი რომ ზის და ნებისმიერ იქ მყოფ კაცზე მეტს მიირთმევს. ეს, რბილად რომ ვთქვა, ნაყოფის იგნორირებაა. რა უფლება მაქვს, სხვის ცოლს შენიშვნა მივცე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, პროტესტს იმით გამოვხატავ ხოლმე, რომ უსიტყვოდ ვდგები სუფრიდან და შინ მივდივარ! უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორსულთა 30% აქტიური მწეველია უშუალოდ ფეხმძიმობის დროს. არ ვიცი, იციან თუ არა მათ, რომ მწეველ ქალებში ადრეული მშობიარობის ხანის სისხლდენა უფრო ხშირია, ვიდრე არამწეველებში? ბოლო წლებში ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც დედები გვთხოვენ: ბავშვი ძუძუზე არ მომიყვანოთო. იმიტომ, რომ ფიგურას უფრთხილდებიან! ამის გამო ხშირად, კონფლიქტიც მომდის პაციენტებთან. იმ ბავშვს, რომელიც დედის ორგანიზმთან კონტაქტს წყვეტს, იმუნური სისტემა უსუსტდება. გარდა ამისა, ხელოვნური კვება იწვევს ზრდაში თუ გონებრივ განვითარებაში ბავშვის ჩამორჩენას.

დავით კობეშავიძე

— რაც შეეხება მშობიარობის პროცესს — უნდა დაესწროს თუ არა მას ქმარი და კიდევ, ბრძანეთ, რომ მაქსიმალურად ცდილობთ ხოლმე, ქალს მშობიარობასთან დაკავშირებული დისკომფორტი შეუმსუბუქოთ. რას გულისხმობთ?

— მშობიარის სურვილს ალბათ ყველა ჩემი კოლეგა ითვალისწინებს. გამონაკლისი არ აღმოვჩნდები, თუ კი ვიტყვი, რომ აუცილებელი არ არის, მშობიარე, გინეკოლოგიურ სკამზე მივაჯაჭვოთ. გნებავთ, კბილის ან თავის ტკივილის დროსაც ხომ მოვძებნით ხოლმე ისეთ პოზას, როდესაც ტკივილი თუ სულ არ გაგვივლის, თითქოს გვიმსუბუქდება?! ასე რომ, როდესაც ორსულს კარგი მდგომარეობა აქვს, ვაძლევთ იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად შეიმსუბუქოს ტკივილი. რაც შეეხება იმას, უნდა დაესწროს თუ არა მამაკაცი ცოლის მშობიარობის პროცესს — ამისთვის ქალიც მზად უნდა იყოს და მამაკაციც. არის კი დღესდღეობით ქართველი მამაკაცი მზად იმისთვის, რომ ცოლი მაქსიმალურად უხერხულ პოზაში დაინახოს? ამაზე ერთგვაროვანი პასუხი არ მაქვს, რადგან ეს ზოგიერთზე დადებით ეფექტს ახდენს, ზოგზე — უარყოფითს. ისე კი, ერთხელ მაინც რომ გამოსცადოს კაცმა საშობიარო ტკივილები, ან თუნდაც შეესწროს ამ პროცესს, ის ქალს ცუდად არასდროს მოექცევა, გულს არასდროს ატკენს, ყვირილსა და გინებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, რომ ორმხრივი შეთანხმების შემდეგ, ქმარი დაესწრო ცოლის მშობიარობას, მაგრამ ისე ცუდად შეიქნა, რომ მოსასულიერებელი გახდა და აღარ ვიცოდით, მშობიარესთვის მიგვეხედა თუ

მისთვის... თუ კაცს ამის სურვილი აქვს, ფსიქოლოგიურადაც უნდა მოემზადოს.

— **სასაუბროდ, ცოტა არ იყოს უხერხული თემაა, მაგრამ თქვით, რომ პირველი ღამის შემდეგ, თქვენთან ბევრჯერ მოუყვანიათ ქალები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, თავიდან „აგიწყვიათ“...**

— *(იცინის)* სასაუბროდ მართლაც უხერხული თემაა, მაგრამ გვერდის ავლაც არ შემიძლია. ყველა მამაკაცმა უნდა წარმოიდგინოს ქალის სულიერი მდგომარეობა პირველი სქესობრივი აქტის წინ. ზოგი ამას არაფრად დაგიდევთ იმიტომ, რომ მეორე დღეს ახლობლებს ახაროს, თუ როგორ „ივაჟკაცა“ პირველსავე ღამეს... ამან შეიძლება გამოიწვიოს ვაგინიზმი — ანუ შემდგომში, ქალს გაუჩნდეს შიში სქესობრივი კონტაქტის მიმართ. ხომ შეიძლება, ვინმემ აუხსნას მამაკაცს, რომ ეს არ არის მაინცდამაინც პირველ ღამეს მოსასწრები საქმე, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს სისხლდენა, რაც ტრავმის შედეგია. ესეც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში არ არსებობს სექსუალური ცხოვრების კულტურა. სკოლაში არ ისწავლება, როგორც საგანი და ამაზე საუბარს, რატომღაც სამარცხვინოდ მიიჩნევენ. სამარცხვინო ის არის, ამდენი მარტოხელა დედა რომ არსებობს მხოლოდ იმის გამო, რომ 10-დან 9 ქალმა არ იცის, როგორ დაიზღვიოს თავი არასასურველი ორსულობისგან.

— **ოდესმე თუ უთხოვიათ თქვენთვის ქალიშვილობის აღდგენა და როგორ მოქცეულხართ?**

— ტყუილზე აგებული ურთიერთობა ცუდად მთავრდება, ჯობს, მომავალ მეულლეს უთხრა სიმართლე. ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, — ხომ გაგიგონია? ის ექიმი კი, ვინც ამას აკეთებს, ბევრად უფრო ცოდვილია. ადრე უფრო ხშირად მოდიოდნენ ჩემთან ამგვარი თხოვნით, მაგრამ ყველა უარით გამისტუმრებია. გაქალიშვილების „ინსტიტუტი“ ალბათ ერთხელ და სამუდამოდ დასამარდება. ეს არის კრიმინალი! გამოდის, რომ ვიღაცას ხელს ვუწყობ ტყუილში, იმ ვიღაცამ კი, ჩემი დახმარებით, სხვა უნდა გააუბედუროს და მთელი სიცოცხლე ატყუოს...

— **კურიოზული სიტუაციებისგანაც არ იქნებით დაზღვეულები...**

— ხშირად აღმოვჩენილვართ სასაცილო მდგომარეობაში. ერთ სამშობიაროში მუშაობის დროს, ისეთი რამ მოხდა, მსგავსი ამბავი არც მანამდე მინახავს და არც — მას შემდეგ... ორსული საწოლიდან საწოლზე ხტებოდა. მთელი ბრიგადა კი უკან დასდევდა და ბოლოს, იძულებულები გავხდით, დაგვეჭირა და დაგვეძინებინა. ასე შიშისგან იქცეოდა, თორემ რეგულარული სამშობიარო მოქმედება ჯერ არც კი ჰქონდა დაწყებული. ეს შემთხვევა საკეისრო კვეთით დამთავრდა. ყველა ქალს უნდა ახსოვდეს — მშობიარობის დროს, მათი ინტელექტის გამჟღავნება ხდება. არაერთი, ვითომ ინტელექტუალი ქალბატონის არაინტელექტუალური ქცევის მოწმენი, სწორედ ექიმები ვხდებით და ეს ჩვენ გარდა, სხვამ არავინ იცის...

— **არაინტელექტუალურ ქცევაში რა იგულისხმება?**

— რა ვიცი, ფურთხება, კბენა, დარტყმა, ბილწსიტყვაობა... ზოგჯერ დედას ახალშობილს რომ ვაჩვენებთ, გვეუბნება ხოლმე: მომაშორეთ აქედან, მაგის თავი არა მაქვსო. ზოგი იწყევლება: ეს სასიკვდილე, ამდენი მაწვალა და სულ ეს არისო?.. მესმის, რომ ქალი ემოციებისგან გადაღლილია, მაგრამ დედამ პირველი ურთიერთობა შვილთან ასე არ უნდა დაიწყოს...

ერთხელ, მთელი ოჯახი ბიჭს ელოდებოდა და გოგო გაჩნდა. როცა გაიგეს, მთელი დღის განმავლობაში არ ივჯერებდნენ, ეგონათ, ვშაყირობდით. გოგონა რომ დავანახვეთ, მერეღა დარწმუნდნენ. ერთი ჩემი პაციენტი თბილისში ცნობილ ექოსკოპიის სპეციალისტთან გავაგზავნე. მომიტანეს დასკვნა. ქმარი ძალიან მოღუშული იყო. რა იყო-მეთქი? — ვკითხე. ბატონო დავით, კი გენდობით, მაგრამ ეგ არის თქვენი ნაქები ექოსკოპისტი? დასკვნაში მდედრობითი სქესი წერიაო. მაშინვე დავურეკე იმ ჩემს ნაცნობ ექოსკოპისტს და ეს ამბავი რომ მოვუყევი, გადაირია კაცი — მსგავსი არაფერი გამიგიაო... ასეთი კურიოზი ხშირად ხდება ხოლმე... ■

მწეველ ქალებში აღრეული მშობიარობის ხანის სისხლდენა უფრო ხშირია, ვიდრე არამწეველებში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

სპექტაკლს, სადაც ლუი დე ფიუნესს პირველად დაემართა ინფარქტი. რამდენიმე დღეში ინფარქტი კვლავ გაუმეორდა. ამ ამბის შემდეგ პროდიუსერები ერიდებოდნენ იმ ფილმის დაფინანსებას, სადაც მთავარ როლს ლუი დე ფიუნესი თამაშობდა. არავის სურდა, რისკი გაეწია და ხარჯი გაეღო ისეთი ფილმისათვის, სადაც მთავარი როლის შემსრულებლისათვის შეიძლება ნებისმიერ დროს გულს ეღალატა.

20. „გავარი მასკვა, რაზგავარივი რასსია! ეხ, იაბლოჩკო ტი მაიო სპელაე, ა ვოტ ბარიშნია იდიოტ, კოჟა ბელაია. კოჟა ბელაია და შუბა ცენნაია, ესლი დაშ ჩივო, ბუდეშ ცელაია. ეხ იაბლაჩკო და ს გალუბინკაიუ, პადხადი ბურჟუი, გლაზიკ ვიკალიუ! გლაზიკ ვიკალიუ, დრუგიო ასტანეტსა, შტობ ვიდალ, გავნო, კამუ კლანიტსა!“ — ბულგაკოვის ნაწარმოების „ძაღლის გულის“ მთავარი პერსონაჟი შარიკოვი ამ სიმღერას ბალალაიკაზე ასრულებდა.

21. საჰაერო ბურთით მსოფლიოს პირველად, პიკარდმა და ჯონსმა შემოუფრინეს და ფირმა „ბუდვაიზერის“ მიერ დაწესებული ჯილდო 750.000 დოლარი დაისაკუთრეს. ამ მოგზაურობას 19 დღე, 21 საათი და 15 წუთი დასჭირდა.

22. მთამსვლელი ნორგეი ტენცინგი ეროვნებით შერპა იყო. იგი ჰიმალაებში სხვადასხვა დროს მეგზურად, ტვირთმზიდავად და სირდარად (ტვირთმზიდავების ჯგუფის უფროსი) მუშაობდა. 1938 წელს ტვირთით 8290 მ-მდე ასვლისათვის ჰიმალაის ალპინისტურმა კლუბმა მას „ვეფხვის“ წოდება მიანიჭა. 1953 წლის 29 მაისს ტენცინგი ახალზელანდიელ ედვარდ ჰილარისთან ერთად პირველი ავიდა ჯომოლუნგმაზე. P.S. 1963 წელს ნორგეი ტენცინგმა საქართველოში იმოგზაურა და იალბუზზე ავიდა.

23. მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში თბილისში ჩამოყვანილი გერმანელი სამხედრო ტყვეები ხშირად იპარებოდნენ ბანაკიდან და ლუკმაპურის სათხოვნელად კარდაკარ დადიოდნენ ქალაქში. თავის გადარჩენის ამ მეთოდს ისინი სამღერლად წასვლას ეძახდნენ.

24. „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ ჰემინგუეის დაწერილია. რას იტყოდა დიდი ამერიკელი მწერალი, რომ გაეგო: უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, კლიმატის გლობალური დათბობის გამო იქ ყინული მთლიანად დადნა. ■

სიცილის დედოფლის ნაღვლიანი აღსარება

მზია კვირიკაშვილი სიცილის დედოფალია, მაგრამ პრობლემები მასაც საკმაოდ აქვს, ხშირად ცუდ გუნებაზეა და ზოგჯერ ტირის კიდეც. მრავალმხრივი ნიჭის მქონე ადამიანია — ხატავს, ლექსებს წერს. გადაღებულია სამ რუსულ ფილმში. სიამოვნებით შეექმნიდი ერთ სახასიათო სახეს ქართულ ფილმშიო, — გამიმხილა. ქალბატონმა მზიამ ავადმყოფობის გამო, მონაწილეობა ვერ მიიღო „იუმორინა—2003“-ში...

დიანა ჭანკოტაძე

— მიამბეთ როგორი ბავშვი იყავით? ვინ იყვნენ თქვენი მშობლები? სად გაატარეთ ბავშვობის წლები?

— ჩემი ცხოვრება კურიოზით დაიწყო. 27 იანვარს, ნინოობას დავიბადე, მაგრამ მზია დამარქვეს. ეს ხომ უკვე კურიოზია. ჩემი მშობლები ბევრს მოგზაურობდნენ. მამა სკოლის დირექტორი გახლდათ, დედა კი სტომატოლოგი, სადაც გააგზავნიდნენ სამუშაოდ, იქ იწყებდნენ ცხოვრებას. ბოლოს, დედა წყალტუბოში გააგზავნეს. იქ რომ ჩავედით, ხუთი წლის ვიყავი. ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები სწორედ წყალტუბოსთან არის დაკავშირებული. ბებია-ბაბუა ჭინკას მეძახდა. თუ ვინმე იკითხავდა: მზია სად არისო? — ისინი სახურავზე ან ხეებზე აიხედავდნენ ხოლმე, რადგან სულ ზემოთ მივიწევდი. მიწაზე ვერ მნახავდით. ბუნება ახლაც მიყვარს. სოფელში ისე არ ჩავალ, ხეზე რომ არ ავიდე, წიწილები რომ არ დავკოცნო... ერთი სიტყვით, ისეთი ცელქი და მხიარული

გახლდით, სადაც მე არ ვიყავი, იქ არც მხიარულება იყო. კარგადაც ვსწავლობდი. არავინ მემდურეოდა, მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე კლასამდე რუსულ სკოლაში დავდიოდი, შემდეგ კი მშობლებმა ქართულ სკოლაში გადამიყვანეს. წყალტუბოში დარჩა ჩემი პირველი სიყვარული. ქართულ სკოლას ჰყავდა უფროსკლასელებისგან შემდგარი ანსამბლი. მე ვგიჟდებოდი იმ ბიჭზე, რომელიც დასარტყმელ ინსტრუმენტებზე უკრავდა და მიშკა ერქვა. ძალიან სიმპათიური ყმაწვილი იყო. მეათე კლასს ამთავრებდა. ისიც გავიგე, შეყვარებული რომ ჰყოლია. სკოლა დაამთავრეს თუ არა, გაიპარნენ კიდეც, რაც ჩემს ცხოვრებაში პირველ ტრაგედიად იქცა.

— მიშკას სიყვარულში გამოუტყდით?

— არა. არც ვიცნობდი. რა უნდა ჰქონოდა საერთო მეათეკლასელ ბიჭს მეხუთეკლასელთან?! გადავწყვიტე, როგორმე მისი ყურადღება მიმეპყრო. ერთხელ დედაჩემის მეგობრის შვილმა მაჩუქა ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილი ჰქონდა „ჩუ-ჩუ“. ამ სიმღერაზე (ფილმიდან „მზიური ველის სერენადა“) გადავირიე. როგორც იქნა, გავიგე მიშკას ტელეფონი. დავურეკავდი და ჩავურთავდი ხოლმე „ჩუ-ჩუ“-ს. იმდენი ვურეკე, რომ გადაწყვიტა გაეგო, ვის ჰქონდა ეს ფირფიტა. წყალტუბოში ყველა ერთმანეთს იცნობდა და ერთმანეთის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა. უთხრეს: „ჩუ-ჩუ“ მზიას აქვსო. აღარ მახსოვს, მე როგორ გავიგე, მიშკამ რომ სიმართლე შეიტყო. მაგრამ იმწუთიდანვე შეეწყვიტე რეკვა.

— ეი. გამბედაობა არ გეყოთ?

— არ მეყო. თითქოს ცელქი და უკომპლექსო ვიყავი. რამდენი ბიჭი მოსულა და უთქვამს: იმან გამაბრაზაო, — და მე მკლავები დამიკაპიწებია. ბიჭზე საჩხუბრად გამიწევია, მაგრამ როგორც კი საქმე ჩემს გრძნობებს და განცდებს ეხება, იქ ვიჭრები.

— ესტრადაზე როგორ მოხვდით? როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები?

— დედამ მუსიკალური ტექნიკუმი ძალით დამამთავრებინა. არ შემეძლო, ხუთიექვსი საათი ფორტეპიანოსთან ვმჯდარიყავი და მემეცადინა. ნიჭი მშველოდა. კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ ისიც კი თქვა: დავბერდი კაცი და პირველად ვხედავ, რომ ადამიანი კლასიკას სმენით უკრავდესო. საერთოდ, ჩემი ყველაზე დიდი უარყოფითი თვისება უნებისყოფობაა. ოცდაათი წელი სიგარეტს ვეწეოდი. ძლივს ვსუნთქავდი, ხმა დავიბოხე, მაგრამ მოწევას თავი ვერაფრით დავანებე. ოთხი თვის წინ, ინფარქტმა დამარტყა და იძულებული გავხდი, მოწევაზე უარი მეთქვა. ამიტომ არ ვიყავი წელს „იუმორინაზე“ — ექიმებმა აქტიური ცხოვრება ამიკრძალეს. ასე წვალებით დავამთავრე საფორტეპიანო ტექნიკუმი, შემდეგ კი — საესტრადო სასწავლებელი. საერთოდ, ბავშვობიდან ესტრადაზე ვოცნებობდი. მახსოვს, ტაბურეტს გადავაბრუნებდი. ჩავიცვამდი დედის მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, გავიკეთებდი მის მძივებს, წავისვამდი პომადას, ჩავდგებოდი სკამში და ვიტყლარჭებოდი სარკის წინ. ასე გამოვხატავდი ჩემს პირველ ოცნებას. საესტრადო სასწავლებელში სწავლის დროს, ჩემი პედაგოგები სულ მეუბნებოდნენ: კარგი იუმორის გრძნობა გაქვსო. დირექტორი გაიოზ ქართველიშვილი მეუბნებოდა: შენგან მარია კალასი მაინც არ დადგება, პირველი ქართველი პაროდისტი ქალი კი გახდებიო... სტუდენტობის ბოლო წელს ჩამოყალიბდა ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სხივი“. პირველი კონცერტის შემდეგ, ვასო

ლეილა აბაშიძესთან და შვილთან ერთად

მამუკა ონაშვილთან ერთად

გოძიაშვილი შემოვიდა კულისებში. გულში ჩამიკრა და მითხრა: ჩემო გოგონი, ძალიან ნიჭიერი ხარ, დიდი მომავალი გელოდება, არ გაჩერდე და თავში არასდროს არაფერი აგივარდესო. „სხივიდან“ „ჯაზ-ქორალში“ გადავედი. იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე ირაკლი კაციაშვილი და ერთმანეთი შეგვიყვარდა. სულ რაღაც სამ თვეში, ხელიც მოვაწერეთ და ქორწილიც გადავიხადეთ. ათი წლის განმავლობაში, ჩემთვის მთავარი იყო ქმარი და ოჯახი. ჩემი ცხოვრების აზრი, სტიმული, მიზანი და ოცნება გახდა დიტო, ჩემი ერთადერთი შვილი. ათი წლის შემდეგ ოჯახი დამენგრა და დავიწყე მუშაობა. ბატონმა დორიან კიტიამ სულ მალე, მოსკოვში კონკურსზე გამიშვა.

— რა კონკურსი ტარდებოდა?

— მოლაპარაკე ჟანრის მსახიობთა კონკურსი იყო. ას სამოცდაათ კონკურსანტს შორის სამნი გავხდით ლაურეატები. როგორც კი საქართველოში დავბრუნდი, კულტურის სამინისტროში დამიბარეს. არ დავაკონკრეტებ, ვინ მესაუბრა. მითხრეს: დიდი მადლობა, რომ საქართველო ასახელეო, — და ხელფასი ერთი მანეთით გამიზარდეს.

— წლების მანძილზე ბათუმში ცხოვრობდით. რატომ?

— დიტომ სკოლა რომ დაამთავრა, თბილისში ავტომატებს ისროდნენ და ურთულესი პერიოდი იყო. ამიტომ წავიყვანე ჩემი შვილი და ბათუმში წავედი. სამწუხაროდ, მთავრობას ჩემს დასახმარებლად არც იქ გაუნძრევია თითი. ბათუმში ხუთი წელი ვიცხოვრე. თბილისიდან ჩამყავდა მსახიობები: ლია ელიავა, მედეა ჩახავა, ლეილა აბაშიძე და დაუვიწყარ საღამოებს ვმართავდი. ელენე ყიფშიძეს სამდღიანი იუბილე მოვუწყვე, ირმა სოხაძეს — სოლო კონცერტი. მოსწავლეებიც მყავდა. ბავშვებს სიმღერებს ვუწერდი. შემდეგ ისინი რუსეთსა და ბულგარეთში სხვადასხვა ფესტივალზე გამოდიოდნენ და იმარჯვებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს დაიწვა, როგორც ცირკის შენობა, ასევე საზაფხულო თეატრი. რაღა უნდა მეკეთებინა?! ერთადერთი, რაც მოვახერხე, საკუთარ ტექსტებზე სიმღერებს ვწერდი, რომელსაც საბავშვო სტუდიები ყიდულობდნენ. რომ მიჭირდა, ამას იმიტომ ვაკეთებდი, თორემ რომელი კომპოზიტორი მე ვარ?! ამასობაში დიტომ ინსტიტუტი დაამთავრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემი მისია ამოიწურა.

— იყო ისეთი შემთხვევა, როცა ცუდ ხასიათზე იყავით ან რაღაც პრობლემა გქონდათ, მაგრამ სცენაზე მაინც გაღიმებული გახვედით?

— უამრავი ასეთი დღე მახსოვს. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ კულისებში ცრემლი მომიწმენდია და სცენაზე გაცინებული გავსულვარ, მიმღერია და მიცეკვია კიდეც. ძნელია მაყურებელი გააცინო, მით უფრო, თუ გული ნაღველით გაქვს სავსე.

— სცენაზე ხიფათი გამორიცხულია?

— პირიქით. სპორტის სასახლეში ისე გადმოვვარდი სცენიდან და ისეთი ძალით დავეცი ძირს, რომ ყველას ეგონა, ხერხემალში გადატყდაო. ორჯერ დამემართა ასეთი რამ. სპორტის სასახლის დირექტორი მეხვეწებოდა: ოღონდ აღარ მოხვიდე და მე გადაგიხდი ჰონორარს, თანაც ორჯერ მეტსო. ერთხელ კახეთში დენმა დამარტყა. მიკროფონს ხელი მოვკიდე თუ არა, ბურთივით გადამაგდო დენმა. საშინელება იყო. სასწაულებრივად გადავრჩი. ვხედავდი, როგორ იკლაკნებოდა დენი ჩემს სხეულზე, მაგრამ მიკროფონს ხელს ვეღარ ვუშვებდი. ბოლოს ოპერატორმა მოიფიქრა და დენის წყაროდან „შნურები“ გამოგლიჯა. კონცერტი ღია ცის ქვეშ გვქონდა. რა თქმა უნდა, ჩაიშალა. ერთხელ, გასტროლებზე მივდიოდით სამეგრელოში. მძღოლს მანქანა ძალიან სწრაფად მიჰყავდა. პოლიციამ გაგვაჩერა. მძღოლმა თავი იმართლა: რა ვქნა, გვაგვიანდება, კონცერტზე მიმყავს სიცილის დედოფალიო. პოლიციელმა გაოცებულმა შემომხედა და იკითხა: როგორ ცოცხალიო?! ■

შვილიშვილთან ერთად

ლელა ჭანკოტაძე

ჯაჯასუბის მიერ შეჭმული ჯეიმს კუკის შთამომავალი თბილისელი ქალბატონი



მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა მოგზაურმა ჯეიმს კუკმა ჯერ გემით — „ინდევორით", შემდეგ კი „რეზოლუშენით" ორჯერ მოიარა მსოფლიოს ხუთი კონტინენტი. მან ერთ-ერთმა პირველმა აღმოაჩინა ავსტრალია. მის მიერ აღმოჩენილ კუნძულებს, სრუტეებსა და ყურეებს დღემდე მისი სახელი ეწოდება. ლეგენდარული ჯეიმს კუკის შვილიშვილის (მეოთხე თაობა) — ჰერტრუდა კუკისა და გრემის თავადის ტიტო ჯორჯაძის სიყვარულის ამბავი ერთ ლამაზ თბილისურ ოჯახში მოვისმინე. ოჯახის დიასახლისი ქალბატონი დოდო ჯორჯაძე ჯეიმს კუკის ქართველი შთამომავალია. სწორედ მან მოიძია ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ცნობა, რომელშიც წერია:

„ყვარელის რაიონის სოფელ გრემის 1892 წლის საეკლესიო მეტრიკული წიგნით დასტურდება, რომ დიმიტრი სოლომონის-ძე ჯორჯაძემ ჯვარი დაიწერა ჰერტრუდა დჟეინ რობერტის-ასულ კუკზე 1892 წლის 3 თებერვალს".

ყველაფერი პატარა საპორტო ქალაქ დუვრში 1867 წელს დაიწყო, სადაც კუკების ოჯახს ახალი წევრი, პატარა ჰერტრუდა შეემატა, რომელიც ძალიან მალე დაობლდა. ბავშვის აღზრდა უშვილო დეიდებმა იკისრეს.

დოდო ჯორჯაძე:

— ჰერტრუდა ლაიფციგის (გერმანია) ქალთა კოლეჯში სწავლობდა, სადაც ყველაფერს ასწავლიდნენ, რაც ქალმა უნდა იცოდეს — დაწყებული ოჯახის მოვლიდან, დამთავრებული მშობიარობით. სწორედ ამ პერიოდში ჰერტრუდა თავის ბიძაშვილს თუ მამიდაშვილს შეუყვარდა, რაც ჰერტრუდას არ მოეწონა. მას ძმა არ ჰყავდა, ამიტომ თავისი ბიძაშვილი ძმად მიაჩნდა. დეიდები ამ ქორწინების წინააღმდეგნი არ იყვნენ. დუვრის რამდენიმე წლით მიტოვება ნათესავების იერიშისგან თავის დაღწევის კარგი საშუალება იქნებოდა. თანაც გული სამოგზაუროდ მიუწევდა. ერთ დღეს შემთხვევით გაიგო, რომ დგებოდა ტურისტული ჯგუფი — ეგზოტიკურ საქართველოში გასამგზავრებლად; ჰერტრუდამ საჭირო საბუთები შეაგროვა, 1887 წელს, 20 წლის ქალიშვილი საქართველოში გამოემგზავრა. ჯგუფი სასტუმრო „თბილისში" გაჩერდა. ჰერტრუდამ სწორედ სასტუმროს კედელზე აღმოაჩინა განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ სოფელ საბუეს თავადი ზაქარია ჯორჯაძე შვილების აღსაზრდელად „გუვერნანტკად" ეძებს უცხო ენების მცოდნე პიროვნებას. ჰერტრუდამ მაშინვე ამოიწერა მისამართი, თუმცა მისი წრის ქალიშვილისთვის შეუფერებელი იყო ასეთი ნაბიჯი.

ყვარელში, სოფელ გრემსა და საბუეს შორის, პატარა მდინარე ინწობა ჩამოდის. მდინარის ერთ მხარეს გრემის თავადი ტიტო ჯორჯაძე ცხოვრობდა, მეორე მხარეს კი — ზაქარია ჯორჯაძე. ზაქარია ჯორჯაძე თავადაც განათლებული კაცი გახლდათ. მას სამი ქალიშვილი ჰყავდა. როგორც კი დაინახა ინგლისელი „გუვერნანტკა", მიხვდა, რომ ჰერტრუდასაგან მისი შვილები არა მარტო გერმანულ, ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, არამედ კარგ მანერებსაც ისწავლიდნენ. ზაქარია ჯორჯაძე კარგი მეურნეც იყო. იგი საქართველოში საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინის მწარმოებლად ითვლებოდა. სახლის პირველ სართულზე მარანი ჰქონდა მოწყობილი, სადაც საუკეთესო ხარისხის ღვინოსა და კონიაკს ამზადებდა. მან პირველმა გაიტანა ქართული კონიაკი პარიზში საერთაშორისო დეგუსტაციაზე და იქიდან დიდი ოქროს მედლით დაბრუნდა. ეს ოქროს მედალი ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ინახებოდა. ახლა კი მხოლოდ ქაღალდზე აღბეჭდილი მედლის ასლიღა დევს. მედალი წლების წინ გაქრა.

ზაქარია ჯორჯაძეს ჰქონდა სალონი, სადაც ყოველ პარასკევს თავს იყრიდნენ თავადები — ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯორჯაძეები, ჭავჭავაძეები და ა.შ. თუ ვინმეს შეაგვიანდებოდა, ზაქარია ქალებს თეთრ ცხენს აახლებდა, ხოლო მამაკაცებს წაბლა ბედაურს უგზავნიდა.

ერთ დღეს, ზაქარიას ეწვია ბიძაშვილი, გრემელი თავადი დიმიტრი (ტიტო) ჯორჯაძე, რომელსაც უამრავი ქართველი თუ რუსი ქალი ეტრფოდა. მას მეტსახელიც ჰქონდა — Красавец Тито. ტიტო ძალიან ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა. შავგვრემან კაცს დიდი ცისფერი თვალები ჰქონია. უამრავი ქალი ეტრფოდა თურმე. მან კი თხელი, ტანწერწეტა, ცისფერთვალება „გუვერნანტკა" შეიყვარა. ერთმანეთი ერთი ნახვით შეიყვარეს. ეს სიყვარული სამუდამო აღმოჩნდა.

ქორწილი გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში გაიმართა. ხუცესი უარზე დამდგარა ქალის ანგლიკანური სარწმუნოების გამო. უთქვამს: ჯვარს ვერ დავწერო. მაგრამ თავადები მაშინვე მისცვენიან მას და ძალით დაუთანხმებიათ. მეხის გავარდნას ჰგავდა ამბავი ტიტოსა და ჰერტრუდას დაოჯახების შესახებ. კახეთის ყველაზე სასურველი სასიძოს, გრემის თავადის ტიტო ჯორჯაძის გული მხოლოდ წყნარმა, სიტყვაძუნწმა და უწყინარმა უცხოელმა მოინადირა. გრემის თავადი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანად ითვლებოდა. ვორონეჟის კადეტთა კორპუსში სწავლისას „ბუნტავშჩიკობა" დასწამეს და გარიცხეს. გრემში მას სიმართლისმოყვარე კაცის სახელი ჰქონდა, რის 'გამოც უამრავ უსიამოვნებაში ამოყოფდა ხოლმე თავს. ერთხელ, ენისელის ბოქაულიც კი სცემა, რომელმაც გლეხებს სარწყავი წყალი გადაუკეტა. ამის გამო, ტიტო დროებით ციხეში გამო-

ამწყვდიეს. 900-იან წლებში, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით გრემში დაწყებითი სკოლა გაიხსნა, ტიტომ თავისი სახლის ქვედა სართულზე ორი ოთახი უსასყიდლოდ დაუთმო მას.

— რა იცით ტიტოსა და ჰერტრუდას სიყვარულის შესახებ?

— რა თქმა უნდა, ასეთი სიყვარული იშვიათია. ჰერტრუდას ხომ შეეძლო, ტიტო ინგლისში წაეყვანა, ის კი პირიქით მოიქცა. ერთხელაც არ უხსენებია სამშობლოში დაბრუნება. მათ ცხრა შვილი შეეძინათ, მაგრამ ხუთზე მეტი ვერ გაზარდეს. მამაჩემი ნოშრევანი სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, ზაქარია ფალიაშვილი სიმღერას მასწავლიდაო, — ამბობდა ხოლმე. მისი უფროსი ძმა — შაქრო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი იყო, ბებია იტყოდა ხოლმე: როგორც კი შაქრო დაიკარგებოდა, მაშინვე მივხვდებოდით, რომ ყვარელში ქაქუცა იყო ჩამოსულიო. ისინი ერთად აპირებდნენ გაქცევას, მაგრამ შაქრო გაცივებულა, ფილტვების ანთება დამართვია, ამიტომ ვერ გაჰყოლია ქაქუცას. მეორე ბიძა, არჩილი ვორონეჟში სწავლობდა. ის აგრონომი გახლდათ. მყავს კიდევ ორი მამიდა — მერი და თამარი. ერთი თბილისშია გათხოვილი, მეორე — გრემში.

— თქვენ როგორი დაგამახსოვრდათ ბებია?

— ბებია სოფელს არ მოსცილებია. თავისი სახლ-კარი უზომოდ უყვარდა. თბილისში დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ბაბუის გარდაცვალების შემდეგაც არ მოსცილებია გრემს. ისეთი ზვიადი ქალი იყო, თანასოფლელები სიკვდილამდე კნეინას ეძახდნენ. მე მეათე კლასში ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა. როცა ვთხოვდი, რამე გაიხსენე შენი ბავშვობიდან-მეთქი, სევდიანად გამიღიმებდა და მეტყოდა: აბა, რა გავიხსენო, რაც კარგი მახსოვს, ეს საქართველოში გატარებული პერიოდიაო. ძალიან წყნარი, უემოციო ქალი იყო. ხშირად ციეიც გვეგონა. მისგან ბევრი რამ შემეძლო გამეგო. სამწუხაროდ, როცა ცნობისმოყვარეობამ შემაწუხა, ის უკვე გარდაცვლილი გახლდათ. ის კი მახსოვს, მეუბნებოდა ხოლმე: პატარაობაში ზღაპრებს კი არ გვიკითხავდნენ, არამედ ჯეიმს კუკის, დიდი პაპის საოცარ თავგადასავლებს გვიამბობდნენო.

— თავის ნათესავებთან მიმოწერა არ ჰქონდა?

— დეიდებმა რამდენჯერმე შემოუთვალეს — ან შენ ჩამოდი, ან რომელიმე შვილი გამოგზავნე, რომ მემკვიდრეობა დავუტოვოთო. მაგრამ ჰერტრუდამ ვერც ერთი შვილი ვერ გაიმეტა უცხოეთში გადასაკარგავად. ამის შემდეგ ამანათი გამოუგზავნეს. მცირე ზომის სკივრში ძვირფასი საგვარეულო ნივთები ელაგა. ამანათი ხაზინაში მოვიდა. ნივთების დახსნა იმდენად გაუჭირდათ, რომ ბოლოს, ჰერტრუდამ ხელიც კი ჩაიქნია. მაშინ საქართველოს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე გახლდათ. ჰერტრუდას დედამთილი, ე.ი. ტიტოს დედა — მაიკო ჭავჭავაძე კი, ილიას ალალი ბიძაშვილი იყო. სწორედ მაიკო ბებია მივიდა ილიასთან და ამანათი დაიხსნა, მაგრამ გასაბჭოების პერიოდში ნივთები დაიკარგა. მხოლოდ ერთი ბეჭედიღა დაგვრჩა. გვაქვს ბებიის და ბაბუის ოჯახიდან დარჩენილი სამი სურათი და მათი დიდი სიყვარულის ამბავი, რომელიც ჩვენთვის განძზე ძვირფასია. როგორც გითხარით, მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. ვაჟები ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, არ დაოჯახებულან. მე და-ძმანი მყავდა. დამეღუპნენ. გრემში ჩემს მამიდას მერი ჯორჯაძეს დარჩა სამი შვილი. ე.ი. გრემელი მამაგულაშვილებიც ჯეიმს კუკის შთამომავლები არიან. მეორე მამიდა ჯიღაურზე გათხოვდა. მისი შვილებიდან ერთიღაა ცოცხალი.

— დიდ ბებიაზე, მაიკო ჭავჭავაძეზე სხვა არაფერი იცით?

— მხოლოდ ის ვიცი, რომ ჰყვარებია სტუმრად წასვლა. სადაც წავიდოდა, ყველგან ხილს ათვალიერებდა და განსხვავებული ჯიშები მოჰქონდა. გრემში ჩინებული ბაღი გააშენა. ვაშლის ხე დგას, რომელიც იმხელა ვაშლებს ისხამს, თითო 900 გრამს, ზოგჯერ 1 კგ-საც იწონის. ეზოს ერთ მხარეს ჯონჯოლის მესერი ჰქონდა, რომელიც ყვითელი შინდით გრძელდებოდა. ყვითელი შინდი სხვაგან არც მინახავს. ვცდილობ, გრემიდან წამოღებული შინდის ნერგები ჩემს ეზოშიც გავახარო. ამ მშვენიერ ბაღს ჰერტრუდა სიკვდილამდე არ მოსცილებია. გული მწყდება, მის სანათესავოს რომ არ ვიცნობთ. ინგლისში ორჯერ გავგზავნე წერილი. მინდოდა, ჩემი ინგლისელი ნათესავები მეპოვა. პირველი დუვრის მერს გავუგზავნე, მეორე — ნოტარიუსს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ცხადია, ერთი საუკუნის წინ მომხდარი ამბის გაგება ახლა გაჭირდება.

— ე.ი. მემკვიდრეობა არ მიგიღიათ?

— არა. ვნანობ, ბევრი რამ რომ არ ვიცი ბებიის შესახებ. მისგან ჩაის სიყვარული გამომყვა. მამაჩემი ყველაზე მეტად ჰგავდა ჰერტრუდას. ინგლისელივით ყოველთვის მოწესრიგებული იყო. გარეგნობით ხუთივე შვილი ჰერტრუდას ჰგავდა. მასავით „თეთრგვრემნები“ იყვნენ.

— ქართული იცოდა?

— ქართული ენა ძალიან იოლად უსწავლია. მხოლოდ ხორხისმიერი ბგერების წარმოთქმა უჭირდა. მაგალითად: „ქორს“ ვერ ამბობდა. თავისი შვილის სახელს „არჩილსაც“ ვერ გამოთქვამდა. ეზოში როცა ვთამაშობდით, ქორი თუ გამოჩნდებოდა, ბებია აყვირდებოდა: აჩილ, ჰორი, ჰორიო... მხოლოდ მაშინ თუ შეატყობდით, უცხოელი რომ იყო. მშვიდად და ტკბილად იცხოვრა. თითქოს გრემში დაბადებული და გაზრდილი იყო. მისი თხოვნით, გრემის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში, ჩვენს საგვარეულო სასაფლაოზე დავკრძალეთ თავისი დიდი სიყვარულის — ტიტო ჯორჯაძის გვერდით. ■

მათი დიდი სიყვარულის ამბავი, ჩვენთვის განძზე ძვირფასია. როგორც გითხარით, მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. ვაჟები ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, არ დაოჯახებულან. ჰერტრუდა კუკი (მარჯვნივ) ქმარ-შვილთან და დედამთილთან ერთად

თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

რა არის გლუკოზამინი? თუ თქვენ გაწუხებთ სახსრები, აუცილებლად გაგონილი გექნებათ მის შესახებ, ზოგიერთი საკუთარ თავზეც გამოცდიდა მის ეფექტს. გლუკოზამინი ნატურალური საკვები დანამატია, რომელიც ხელს უწყობს სახსარშიდა სითხისა და მყესების რეგენერაციის პროცესს, ამცირებს შეშუპებას, რომელიც გარდაუვალია ანთებითი პროცესის დროს, ამცირებს ტკივილებს. მისი მაღალეფექტურობა კლინიკურად აპრობირებულია.



რა პრივილეგია აქვს გლუკოზამინის ახალ ფორმულას?

გლუკოზამინის ახალი ფორმულა კომბინირებულია მეთილ სულფონილ მეთილთან, რითაც მისი ეფექტურობა ორმაგდება. გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს! ეს პრობლემა ნაცნობია მათთვის, ვინც დაავადებულია სახსრების ანთებით. ამ დაავადების დროს პირველი რიგის პრეპარატია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები, უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება სტეროიდების დანიშვნაც, ისინი კი იწვევენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის ძლიერ გაღიზიანებას. სახსრის ტკივილებს ემატება გულძმარვა, სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, დიარეა.

რატომ არ აღიზიანებს გლუკოზამინი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს?

პასუხი შემდეგში მდგომარეობს: გლუკოზამინის ახალი ფორმულის შემადგენლობაშია ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს, რაც აფერხებს ტაბლეტის უშუალო კონტაქტს ლორწოვანთან. გამომდინარე აქედან, ამ პრეპარატის მიღება შეიძლება დღის ნებისმიერ დროს, კვებისგან დამოუკიდებლად. მისი ხანგრძლივი მიღებაც კი სრულებით უსაფრთხოა.

როგორია გლუკოზამინის შემადგენლობა?

მის პირველად ინგრედიენტებს წარმოადგენს:

გლუკოზამინის სულფატი — 750 მგ
მეთილ სულფონილ მეთანი — 750 მგ

სხვა ინგრედიენტები:

ცელულოზა
გლიცერინი
მალტროდექსტრინი
მოდიფიცირებული მცენარეული წებოვანა
სტეარინის მჟავა

ვინ და როგორ უნდა მიიღოს გლუკოზამინი?

პრეპარატი შვებას მოუტანს მათ, ვინც დაავადებული ართრიტით, ართროზით, ოსტეოქონდროზით, სახსრებში შეზღუდული მოძრაობით და ტკივილებით. ეფექტურია სპორტსმენებისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მიღებული აქვთ ტრავმები. დაბოლოს, სასარგებლოა ყველა ჩვენგანისათვის, ის ხომ ორგანიზმზე ზოგადგამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს.

მიიღეთ დღეში ორჯერ 2-2 ტაბლეტი წყალთან ერთად.

გააჩნია თუ არა გლუკოზამინს გვერდითი, არასასურველი მოქმედებები?

არა, მას არანაირი გვერდითი ეფექტები არ გააჩნია. მისი მიღება შესაძლებელია დღის ნებისმიერ დროს, კვებისაგან დამოუკიდებლად.

რამდენი ხანი მივიღოთ გლუკოზამინი?

აღასანიშნავია, რომ მისი ეფექტი იზრდება დროთა განმავლობაში. ამიტომ სასურველია მისი მიღება მინიმუმ 2 თვის მანძილზე, შემდეგ მისი მიღების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

შეიძლება თუ არა ამ პრეპარატის მიღება ჰიპერტონიკებისათვის?

პასუხი დადებითია. მისი მიღება სრულიად უსაფრთხოა მათთვის, ვისაც აწუხებს მაღალი წნევა, რადგან პრეპარატი არ შეიცავს ნატრიუმს. ნატრიუმის იონი ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის შეკავებას. გლუკოზამინის შემადგენლობაშია კალიუმის ქლორიდი (და არა ნატრიუმის) , ამიტომ ორგანიზმი დაცულია ჭარბი სითხის შეკავებისაგან, რაც ესოდენ უარყოფით გავლენას ახდენს მაღალწნევიან პაციენტებზე.

სად შევიძინოთ გლუკოზამინის ახალი ფორმულა?

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი-კონსულტანტები.

აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ინოლტრა უკვე საჩუქართან ერთად.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“,
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე 10.30 – 18.00,
კვირას 10.30 – 14.00
www.shopge.com
®

ასეა თუ ისე, შოუბიზნესი თანდათან ფეხს იკიდებს საქართველოში. დღითი დღე ახალ-ახალი „ვარსკვლავები“ „ჩნდებიან და ქრებიან“. მოდის ბიზნესიც უფრო მომგებიანი და მრავალფეროვანი ხდება. თითოეულ დიზაინერს საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული გემოვნება აქვს, ამიტომ ძალიან ხშირად, ახალ-ახალი დიზაინერის სახელი გვესმის. ერთ-ერთი მათგანი ილია ბასილაშვილია.



გია სურამელაშვილი

ვარიზაული შეხრიხებით აუბუქლილი,

70-იანი წლების მოდა

ნათია ქივიძე

ილია ბასილაშვილი

— როდის და როგორ დაიწყეთ დიზაინერობა?

— უკვე დიდი ხანია, ამ საქმეს ვემსახურები. ბავშვობიდან ვხატავ. მაშინ პიონერთა სასახლე ძალიან მოდაში იყო და ხატვაზე იქ დავდიოდი. მერე მოსკოვში წავედი სასწავლებლად, სადაც უკვე მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა სადღესასწაულო ჩვენებაში. შემდეგ თბილისში დავბრუნდი და დიზაინერობის საფუძვლიანად შესწავლაში ქალბატონი ლიდა ავალიანი დამეხმარა.

— ეი. თქვენ პროფესიონალი დიზაინერი ხართ?

— ფაქტობრივად, ასეა. ქალბატონმა ლიდამ შემასწავლა ის, რასაც მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში სწავლა არ ეყოფა.

— თუ გახსოვთ თქვენ მიერ შექმნილი პირველი მოდელი?

— რა თქმა უნდა. ეს იყო საღამოს კაბა, რომლის შეკერვა მეგობრის ოჯახმა მთხოვა.

— ძირითადად, რა აქსესუარებზე მუშაობთ?

— ვკერავ შარფებს, ქუდებს, ჩანთებს... რაც შეეხება ტანსაცმელს, ვმუშაობ როგორც ქალის, ასევე მამაკაცის საღამოს კოსტიუმებსა და სპორტულ სტილზე.

— ვიცი, რომ საეკლესიო ჯვრებსაც ამზადებთ...

— დიახ, ოღონდ, ჯვრების გასაკეთებლად საპატრიარქოდან კურთხევა მაქვს მიღებული. ჯვრებზე არც შეკვეთებს ვიღებ და არც ვყიდი, რადგან მიმაჩნია, რომ უფლისგან ბოძებული არ იყიდება.

— რომელი ცნობილი ადამიანისთვის შეგიკერავთ ტანსაცმელი?

— ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელს სიურპრიზად ვაჩუქე ჩემ მიერ შექმნილი მოსაცმელი, რომელზეც ორასზე მეტი იის თაიგული იყო ამოქარგული. მოგვიანებით გავიგე, ამ მოსაცმელს ერთ-ერთ წვეულებაზე ფურორი მოუხდენია. ვმუშაობდი გია სურამელაშვილის კოსტიუმზე. ახლა ერთ-ერთ ცნობილ პიროვნებას საქორწინო კაბას ვუკერავ. თუმცა, ჯობს, მისი ვინაობა ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ დარჩეს.

— თქვენი კოლექციის ჩვენება თუ გქონიათ?

— არა, რადგან მიმაჩნია, რომ მხოლოდ ჩვენება და ამგვარად ვალის მოხდა არ არის მთავარი. რასაც ახლა აკეთებენ, არის კოსტიუმების გამოსვენება, რადგან მოდელი, კოსტიუმი, მუსიკა აბსოლუტურად არ ეხამება ერთმანეთს. ჩვენება თეატრალიზებული უნდა იყოს. ვიდრე ამ დონემდე არ მივალ... ჩემ მიერ შექმნილ თითოეულ კოსტიუმს უნდა ჰქონდეს თავისი აქსესუარი, ფეხსაცმელი, რომ დიზაინი მთლიან კომპლექტში იყოს ნაჩვენები და არა ზერელედ.

— როგორც აღნიშნეთ, ერთ-ერთი ცნობილი პიროვნების საქორწინო კაბაზე მუშაობთ. საერთოდ, თუ კერავთ საქორწინო კაბებს?

— რა თქმა უნდა, საქორწინო კაბებზე სიამოვნებით ვმუშაობ.

— თავად თუ იმოსებით თქვენ მიერ შეკერილი ტანსაცმლით?

— ვიმოსები მხოლოდ საღამოებსა და ჩვენებებზე, რადგან ასეთ ადგილებში მირჩევნია, ჩემი კოსტიუმებთ გამოვიჩინო თავი, ვიდრე სხვა დიზაინერების სამოსს გავუკეთო აფიშირება.

— ყოველდღიურად თქვენს სამოსს არ იცვამთ?

— არა. ყოველდღიურად, უმეტესად, სპორტულ სტილს ვამჯობინებ. თუმცა, ჩემს ჩაცმულობაში მაშინაც შეიმჩნევა რაღაც ჩემეული, რადგან განსხვავებულად ვიცვამ.

— როგორ ფიქრობთ — ამ გაზაფხულსა და ზაფხულში რა ფერისა და სტილის ტანსაცმელი იქნება მოდაში?

— მოდაში იქნება ყველა ის ფერი, რომელიც თითოეულ ადამიანს უყვარს და ის სტილი, რომელიც უხდება. ჩემი აზრით, მთავარია, ჩაიცვა ის, რაც გიხდება და მოგწონს. თუ ტანსაცმელში თავს უხერხულად იგრძნობ, ეს მოდა აღარ არის. შეიძლება, მოდაში იყოს, ვთქვათ, ყავისფერი, მაგრამ მე არ მიყვარდეს — მაშინ რატომ ჩავიცვამ?!

— თქვენ თავად რა ფერს ანიჭებთ უპირატესობას? რა ფერი ჭარბობს თქვენს კოლექციაში?

— ჩემი კოლექცია უმეტესად, შემოდგომის ფერებისგან შედგება. მიყვარს კლასიკური ფერები: თეთრი, შავი, წითელი. ყველა თბილი ფერი მიყვარს.

— ძირითადად, რა სტილის სამოსს კერავთ?

— მიყვარს კლასიკურ სტილში მუშაობა. ჩემს კოლექციაში 70-იანი წლების მოდა იგრძნობა, მასში პარიზული შტრიხებია.

— როგორ ფიქრობთ, ქართველ პოპულარულ ადამიანებს შორის ვინ არის ყველაზე გემოვნებიანი და უგემოვნო?

— ძალიან მომწონს თემურ თათარაშვილის ჩაცმულობა, ხოლო უგემოვნო პიროვნების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— თქვენ თავად რომელი დიზაინერი მოგწონთ?

— ძალიან მომწონს ივ სენ-ლორანი, კრისტიან დიორი.

— საკუთარი მაღაზია არ გაქვთ?

— ჯერ-ჯერობით, არა. არ მინდა, რომ მომხმარებელს ცარიელ მაღაზიაში შემოსვლა მოუწიოს. ვამზადებ კოლექციას. სამომავლოდ ვგეგმავ, რომ არა მხოლოდ აქსესუარებს, არამედ სუნამოებსაც შევუხამებ თითოეულ კოსტიუმს.

— არც მაღაზია გაქვთ, არც ჩვენება გქონიათ... როგორ მოდის თქვენთან მომხმარებელი?

— რა ვიცი, მოდიან. შემდეგ ვარჩევთ იმის მიხედვით, თუ როგორი სტილი უყვარს: დეკოლტე, ჩახსნილი კაბა თუ სპორტული კოსტიუმი. ერთად ვაძლევთ ფეხსაცმლის შეკვეთასაც, ხოლო თუ საქორწინო კაბას ვუკერავ, ვარცხნილობის შერჩევაზეც ერთად ვზრუნავთ. ეს ყველაფერი ერთმანეთს უნდა ავსებდეს. ■

ᲣᲥᲛᲜᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲣᲠ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ?

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲠᲚᲘ?

საკმარისია, როგორღაც განმარტოვდეთ ქმართან ერთად, რომ მაშინვე გაიგონებთ თქვენი დაუცხრომელი შვილის მომთხოვნ ძახილს. მას სურს, სასწრაფოდ მიუტანოთ წყალი, ნათურა აუნთოთ, გაუსწოროთ ლოგინი და ა.შ. ან, დავუშვათ, მეგობრებმა შემოგთავაზეს ქალაქგარეთ გასეირნება, მაგრამ უკვე მერამდენედ გიწევთ უარის თქმა. თქვენ ხომ ბავშვი გყავთ — მასაც ხომ არ აიკიდებთ. ასე და ამგვარად, გეწყებათ გაღიზიანება საკუთარ თავზე, სიტუაციაზე, შემდეგ კი ბავშვზე... და დედობრივი ბედნიერების განცდის ნაცვლად, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური ბორკილების სიმძიმეს გრძნობთ.

როგორ ართმევენ თავს ასეთ სიტუაციებს სხვები

ცოლი და ქმარი, რომლებიც მშობლის ჭაპანს სწევენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოისუნთქავენ ხოლმე თავისუფლად, როცა ახერხებენ, ბავშვების ბებიასთან დატოვებას ან საზაფხულო ბანაკში გაშვებას. ამასობაში კი დრო გადის... ეს ერთი ბეწოები თანდათანობით, დიდი ჩანთითა და თაიგულებით ხელში, მგრძნობიარე პირველკლასელები ხდებიან, მერე, ჭირვეული მოზარდები, შემდეგ კი დამოუკიდებელი, თავიანთი ცხოვრებით მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანები. თითქოსდა ახლა მაინც დადგა დრო, რომ ჩვენმა წყვილმა გაიხაროს და ისიამტკბილოს ერთად ყოფნით, მაგრამ რატომღაც ხანში შესული მეუღლეები სულ უფრო ძლიერი ნოსტალგიით იხსენებენ იმ წლებს, როცა შვილები ხმაურიანები და მოუსვენარი ბავშვები იყვნენ. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ როგორც წესი, ასაკში ყველა წყვილი ნატრობს თავისი ახალგაზრდობისა და შვილების ბავშვობის ხანას — ეს ორი გაგება განუყოფელია ერთმანეთისგან. ასე რომ, მოდით, ყველაზე საინტერესო და სასურველ ქმედებებს ნუ გადავდებთ, იმ დროისთვის, როცა ჩვენი შვილები გაზრდილები იქნებიან. ისინი, რა თქმა უნდა, გაიზრდებიან, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობაც ჩაივლის. მართლაც, ძალიან ძნელია პაწაწასთან ერთად თეატრსა თუ კინოში სიარული, მაგრამ თუ თქვენ, მაგალითად, გიყვართ ტურიზმი, გორგოლაჭებით სრიალი ან ველოსიპედით გასეირნება გიტაცებთ, პატარას შეუძლია, შესანიშნავი კომპანიონობა გაგიწიოთ. ჩვენს დროში, საბედნიეროდ, მრავალი საშუალება არსებობს, რომლის გამოყენებისას შესაძლებელია მოხერხდეს მშობლებისა და შვილების ერთად დასვენება: მსუბუქი და მოხერხებული საბავშვო ეტლები, ბავშვის საგანგებო დასაჯდომ-დასამაგრებლები ველოსიპედისა და ავტომანქანებისთვის, ჩანთა „კენგურუები“ და სპეციალური ზურგჩანთები, რომლებითაც ბავშვი კომფორტულად იმგზავრებს და გარემოსაც მშვიდად დაათვალიერებს, თქვენთან ერთად. ჩვენ მისაბაძად მშვენიერი მაგალითი გვაქვს ახალგაზრდა დასავლელი მშობლებისა. მათთვის ბავშვი ტვირთს არ წარმოადგენს და ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ სიკეთეზე უარს სულაც არ აცხადებენ მხოლოდ იმიტომ, რომ პატარების პატრონები არიან.

უცხო პირთა შემოსვლა აკრძალულია!

ბუნებრივია, ბავშვისთვის ცხოვრების ზოგიერთი მხარე რაღაც ეტაპამდე დაფარული უნდა იყოს — კერძოდ, ყველაფერი ის, რაც უკავშირდება მშობლების ინტიმურ ცხოვრებას. აუცილებელია შვილს ჩაუნერგოთ, რომ უფროსების ოთახში შესვლა ყოველთვის აკრძალულია, როცა კარი დაკეტილია. ამ ჭეშმარიტების ათვისება სამი წლის პატარასაც კი შეუძლია. დედის შეწუხება ასეთ დროს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება — მაგალითად, თუ ბავშვი წაიქცა, თეფში გატეხა, ძალიან შეშინდა და ა.შ.

მახრჩობელა გველი	ქალის თავწასაკრავი ქსოვილი	რომელი მდინარე მიედინება ევფრატის პარალელურად	რას ვუწოდებთ პატარა ზომის კიტრის მწნილს	პატარა სიგარა

პოეტი ... კალანდაძე	თოფის ხის ნაწილი	გამის ნობი	ბოროტმოქმედი	ვირუსული დაავადება	სცენის გვერდით მოფარებული ადგილი	ძალი შინ არ ვარგოდაო ...-ვარე დარბოდაო	რომ გვი

რჩევები დაბნეულ ქალებს

როგორ შევათავსოთ საინტერესო სამსახური და საოჯახო სიმყუდროვე

ქალს კარგად აეწყო კარიერა, სამსახურში აფასებენ, სულ უფრო პასუხსაგებ დავალებებს აკისრებენ, რჩევას ეკითხებიან. დატვირთული სამუშაო რეჟიმი ქმარ-შვილის უკმაყოფილებას იწვევს. მათ სწყინთ, რომ დედამ და მეუღლემ ყურადღება მოაკლო. როგორ მოვახერხოთ ის, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური?

ფსიქოლოგების .რჩევით, თქვენ თვითონ როგორმე უნდა მოძებნოთ ოქროს შუალედი. ცხადია, გული დაგწყდებათ, თქვენთვის საინტერესო სამსახურს რომ დაანებოთ თავი. ამავე დროს, თუ არაფერს იღონებთ, უბრალო უკმაყოფილებამ მალე, დიდი პრობლემები შეიძლება შეგიქმნათ ქმარ-შვილთან ურთიერთობაში. შეხედეთ საკუთარ თავს გარეშე თვალით: მართლაც ზედმეტი ხომ არ მოგივიდათ? იქნებ, ზოგჯერ, სულაც არ არის აუცილებელი, გადაუდებლად შეასრულოთ ესა თუ ის დავალება, ან ეგებ, რაღაც საქმე, შინიდან გაუსვლელად მოაგვაროთ? თუ სამუშაოს სპეციფიკა ამის საშუალებას იძლევა, საქმესაც კვლავ კარგად გაართმევთ თავს და ოჯახის წევრებსაც არ მოაკლებთ ყურადღებას. მთავარია, სწორად გაანაწილოთ დრო და თუ კვირის განმავლობაში ეს მაინც ვერ ხერხდება, უქმეები მაინც აუცილებლად(!) გაატარეთ ქმარ-შვილთან ერთად. თუ ამ ურთიერთობისას, მხოლოდ შინ ჯდომით არ შემოიფარგლებით და კინოში, კაფეში, ბუნების წიაღში ან უბრალოდ, ქალაქში სასეირნოდ გასვლას მოახერხებთ — მით უკეთესი.

როცა დედას სარძლო არ მოსწონს...

თქვენი ვაჟიშვილი თვალსა და ხელს შუა გაიზარდა და აი, უკვე მეგობარი გოგონა გაუჩნდა. ნებისმიერ მშობელს თავისი შვილი საუკეთესოდ ეჩვენება და არავისთვის ემეტება. არც თქვენ აღმოჩნდით გამონაკლისი და საოცრად არ მოგწონთ ეს გოგონა. რაღაც უცნაურად — პანკურად აცვია, ჭიპი უჩანს, მოკლე, მოუხეშავ პასუხებს კბილებში ცრის — ამაზე მეტი უზრდელობა რა გინდათ?!.

არადა, იქნებ ეს უზრდელობის კი არა — ხათრიანობის ნიშანია? თქვენ ალბათ გინდათ, უფრო ახლოს გაიცნოთ იგი და ამიტომ, მასთან გასაუბრება გსურთ. როგორც ასაკით უფროსმა, თავად გამოიჩინეთ ინიციატივა. ამ დროს, აუცილებლად „დაინახეთ“ საკუთარი სახე — როგორია იგი, როცა თქვენი შვილის მეგობარ გოგონას ელაპარაკებით? მეტისმეტად მკაცრი გამოხედვა ხომ არ გაქვთ? ეცადეთ, უშუალო, ძალდაუტანებელი კონტაქტი დაამყაროთ მასთან. თუ თქვენი პირველი შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდა, ის აუცილებლად გაიხსნება და დაგანახვებთ საკუთარ თავს ისეთად, როგორიც არის... ხშირად ხდება, რომ სინამდვილეში, პრობლემა ჩვენშია და არა მოზარდებში: ისინი ჩვენგან განსხვავებულები არიან და მიუღებლად გვეჩვენებიან, მაგრამ რაც მთავარია — დედის გული მუდამ ეჭვის თვალით უყურებს შვილის რჩეულს, უბრალოდ, რომ ვთქვათ — ეჭვიანობს. თუ ამ ბარიერს დაძლევთ, უფრო მშვიდად შეხედავთ იმას, რაც ახლა ხდება და იმასაც, რაც მალე მოხდება — მხედველობაში გვაქვს თქვენი ვაჟის დაქორწინება, რომელსაც, ადრე თუ გვიან, სიხარულით უნდა შეხვდეთ. ■

მოიქეცით თანამიმდევრულად, თუ ბავშვი მაინც შეეცდება საძინებლის კარის შემოღებას, პროვოკაციაზე არ წამოეგოთ. ეჭვი არ არის, რომ თქვენ სრულიად არ გაგიჭირდებათ გაერკვეთ, იმაში, ის იმიტომ გეძახით, რომ უბრალოდ მოიწყინა თუ მართლა შეექმნა რაღაც პრობლემა. თუ ისე მოხდა, რომ თქვენ და თქვენს მეუღლეს ცალკე საძინებელი არ გაქვთ და ოთახში ბავშვთან ერთად გიწევთ ცხოვრება, მაინც შეეცადეთ, გაყოთ ერთმანეთისგან დიდებისა და ბავშვების ტერიტორია და შეძლებისდაგვარად, გარკვეული საზღვრები დააწესოთ. ეს როგორც თქვენთვის, ისე ბავშვისთვისაც არის საჭირო. ადამიანს, რომელსაც არასოდეს ჰქონია საკუთარი ტერიტორია, გაუძნელდება ისწავლოს სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემა.

დადგა განმარტოების დრო

ყველაზე თავდადებულ მშობლებსაც კი ესაჭიროებათ ხანდახან განმარტოება იმისათვის, რომ ერთად ყოფნით ისიამოვნონ. ეს აუცილებელია თქვენთვის და თქვენი ქმრისთვისაც, ვინაიდან არცთუ ისე იშვიათად, ბავშვის დაბადების შემდეგ, მამაკაცი მიტოვებულად გრძნობს ხოლმე თავს. დაუმტკიცეთ მას, რომ ეს ასე არ არის და შემდეგ, ახალი ძალებით შეუდექით მშობლის სასიამოვნო მოვალეობის ასრულებას.

საინტერესო ინფორმაცია

ეძიეთ დამხმარეები

ზოგჯერ მშობლებს ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ წარმატებით შერჩეული საბავშვო ბაღები, საზაფხულო ბანაკები, ძიძები, ბებიები, მეგობრებიც კი, რომელთაც შეგიძლიათ, სავსებით მიანდოთ თქვენი შვილი, თუნდაც ცოტა ხნით. ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი, პარტნიორის საამებლად, სრულიად მიატოვოთ — ბავშვები ხშირად ჭირვეულები სწორედ სიყვარულის ნაკლებობის გამო ხდებიან. შეეცადეთ, იპოვოთ ოქროს შუალედი — ნურც ზედმეტად მზრუნველ „კრუხად“ გადაიქცევით და ნურც უდარდელ „გუგულად“. ■

რა უნდა ვიცოდეთ „ფსალმუნებთან“ დაკავშირებით?

„ფსალმუნები“, რომელსაც საქართველოში ძველთაგანვე „დავითნი“ ეწოდება, „ძველი აღთქმის“ ბიბლიურ ქმნილებათა რიგს მიეკუთვნება და საღმრთო მსახურებაში „ძველი აღთქმის“ დროსაც გამოიყენებოდა — ჯერ მოსეს მიერ აგებულ მოძრავ ტაძარში, შემდეგ — იერუსალიმის ტაძარში. როდესაც მოციქულები თან დაჰყვებოდნენ იესო ქრისტეს, მორწმუნეთა ყურადღებას ფსალმუნების გალობით იპყრობდნენ. საღმრთო მსახურებაში ფსალმუნები დღემდე გამოიყენება. მისი საგალობლები ყოველთვის მოისმოდა ეკლესიათა საკურთხევლებიდან და ამბიონებიდან თუ ქრისტიანთა ოჯახებიდან. საინტერესოა, მაშინ როდესაც „ძველი აღთქმის“ თითქმის ყველა ჩვეულებამ თუ საღმრთო მსახურებამ „ახალ აღთქმაში“ სახეცვლილება განიცადა, როგორ შემორჩა და რატომ გამოიყენება „ფსალმუნები“ დღემდე, „ახალი აღთქმის“ ეკლესიის მიერ? რა არის „ფსალმუნები“ და როგორ უნდა ვიკითხოთ იგი? — ამ და სხვა საკითხებს, წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი თეოდორე გიგნაძე განგვიმარტავს.

მორენა მერკვილაძე

— „ფსალმუნები“ არის ერთ-ერთი ყველაზე აღმატებული წიგნი „ბიბლიაში“. იგი „ძველი აღთქმის“ ბიბლიური ქმნილებაა. ფსალმუნების ავტორია წმინდა წინასწარმეტყველი დავითი, სწორედ ამიტომ მას „დავითნიც“ ეწოდება. „დავითნი“ 150 ფსალმუნისგან შედგება, რომელიც შეთხზულია ლექსის ფორმით, ებრაული პოეზიის წესით (ფსალმუნი იყო მუსიკალური საკრავი, რომელზეც სასულიერო საგალობლები იმღერებოდა. იგი დღემდე შემორჩენილი არ არის, თუმცა როგორც იოსებ ფლავიუსი ამბობს — ფსალმუნი იყო თორმეტსიმიანი ქნარი. ნეტარი ერმონი ფსალმუნს დაბლა შებრუნებულ, ბერძნულ ასო A-ს ადარებს). დავითი თავის განწყობასა და აზრებს ფსალმუნზე ამღერებდა, ამიტომაც ეწოდება ამ ქმნილებებს ფსალმუნები.

— რელიგიური მრწამსის თანახმად, დავითი „ფსალმუნებს“ სულიწმიდის შთაგონებით წერდა. ე.ი. მისი ბაგეებით თვით სულიწმიდა საუბრობდა. ვინ იყო დავით მეფსალმუნე ანუ რატომ იყო მასზე დავანებული სულიწმიდა?

— დავითი იყო მეფე ისრაელისა, რომელიც მეფობდა 1055-1015 ჩვ.წ.აღ-მდე. იგი ბეთლემში მცხოვრები იესეს უმცროსი ვაჟი იყო. დავითი ყმაწვილობისას მამის ცხვრებს მწყემსავდა, მისი ჭაბუკობის პერიოდში, ისრაელში ცხოვრობდა წინასწარმეტყველი სამოელი, რომელსაც ერთ დღეს მოესმა უხილავი ხმა უფლისა: „როდემდის იმწუხრებ შენ საულისათვის! მე უარვყავ ისრაელში მისი მეფობა. აავსე რქა შენი ზეთისა და გაგზავნი იესესთან ბეთლემში, რადგან იმის ძეთა შორის მე დავინახე ჩემთვის მეფედ“. სამოელი დაემორჩილა ღმერთის ნებას. როდესაც წინასწარმეტყველის წინაშე იესემ სათითაოდ წარადგინა თავისი შვიდი ძე, სამოელმა ღმერთის კარნახით შვიდივე უარყო, იესეს კი ჰკითხა: „გყავს კიდევ შვილი?“ — „არის ერთი უმცროსი, ცხვარს მწყემსავს საძოვარზე“, — უპასუხა იესემ. როდესაც სამოელის მოთხოვნით, იესეს უმცროსი ძე — ე.ი. დავითი მოიყვანეს, სამოელს კვლავ მოესმა ხმა უფლისა: „ადექი და სცხე მეფედ დავითს, ვინაიდან ადამიანებისას თქვენ ხედავთ სახეს და გარეგნობას, ღმერთი კი ხედავს გულს, ის დავითი კარგი არის“. ე.ი. დავითის მეფედ ცხება ღმერთის ნება იყო, რადგან დავით მეფსალმუნე სულიერებით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, რომ „ფსალმუნები“ იყო მისი სულიერი ცხოვრების ნაწილი ანუ მისი სულის ერთგვარი გამოძახილი. ამასთანავე დავითი იყო თავმდაბალი, მისი სული უფლის სიყვარულით იყო გამთბარი. სწორედ ამ თავმდაბლობისა და მორჩილების გამო იყო დავანებული მასზე ღვთიური მადლი და სწორედ ამიტომ წერდა იგი ფსალმუნებს სულიწმიდის კარნახით.

— გამოდის, რომ ფსალმუნებით თვით უფალი გვესაუბრება...

— როგორც აღვნიშნეთ, ფსალმუნები დაწერილია წმინდა წინასწარმეტყველის და მეფის, დავითის მიერ, მაგრამ სულიწმიდის შთაგონებით, ამიტომ მისი ყოველი ფსალმუნი და ფსალმუნის ყოველი სიტყვა, არის სიტყვა ღვთისა. ეკლესია „ფსალმუნებს“ იწყნარებს, როგორც ღვთივსულიერ წიგნს, რომლითაც ვესაუბრებით უფალს. არც ერთი წიგნი ისე არ ადიდებს ღმერთს, როგორც წიგნი „ფსალმუნთა“. ბევრი ფსალმუნი წინასწარმეტყველურია, სადაც „ახალ აღთქმაში“ მოსახდენ მოვლენებზეა საუბარი. ე.ი. ფსალმუნებში არის წინასწარმეტყველებანი მესიაზე ანუ ქრისტეზე — მის განკაცებულად მოვლინებაზე, ჯვარცმაზე და სხვა. მაგალითად, უფლის ჯვარცმა ისეა ნაწინასწარმეტყველები, თითქოს დავითი თავად ხედავდეს.

— „ფსალმუნები“ საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ღვთიმსახურების დროს. კონკრეტულად რომელი საღმრთო მსახურებისასაა საჭირო „ფსალმუნების“ კითხვა?

— ეკლესიური მსახურების დიდი ნაწილი „ფსალმუნებზეა“ აგებული, ისინი შედიან ქრისტიანული ღვთისმსახურების თითქმის ყველა სახეობაში — ჟამნობა იქნება, ჟამნი, წირვა თუ სხვა ღვთისმსახურება. გარდა ამისა, იკითხება ფსალმუნებიდან გარკვეული ნაწყვეტები, მაგალითად, წარდგომები და სხვა.

— მაშინ, როდესაც „ძველი აღთქმის“ თითქმის ყველა ჩვეულებამ თუ საღმრთო მსახურებამ „ახალ აღთქმაში“ სახეცვლილება განიცადა, როგორ შემორჩა და რატომ გამოიყენება ფსალმუნები დღემდე, „ახალი აღთქმის“ ეკლესიის მიერ?

— „ძველი აღთქმა“ არის ღვთაებრივი რელიგია. „ძველი აღთქმა“ — ეს იყო მოლოდინი მესიისა ანუ ქრისტესი და ყველაფერი განმსჭვალული იყო ღვთაებრივი მადლით. ამიტომ ქრისტიანებმა „ძველი აღთქმიდან“ ბევრი რამ გადმოიღეს — ანუ ის, რაც სულიერი იყო. სულიერებით გამოირჩევა „ფსალმუნებიც“. „ახალ აღთქმაში“ უფალს, „მამაო ჩვენოს“ გარდა, ლოცვა არ მოუტანია. ამით დაგვანახვა, რომ მთავარი ის კი არ არის, თუ რას ვლაპარაკობთ, არამედ უმთავრესია ღმერთთან ერთობა. თუმცა, მეორე მხრივ, ღვთისმსახურებაში საჭირო იყო ლოცვები, რამეთუ ლოცვა ღმერთთან საუბრის ერთ-ერთი ფორმაა, ამიტომ რა იყო ყველაზე ამაღლებული ღმერთთან საუბროდ, თუ არა „ფსალმუნები“, სადაც ყოველივე, ღვთის განსაცვიფრებელი სიყვარულითაა გამსჭვალული.

— გარდა ღვთისმსახურებისა, „ფსალმუნები“ ხომ სპეციალური, მკითხველთა ჯგუფის მიერაც იკითხება.

რა დანიშნულება აქვს „ფსალმუნებ-ის“ ამ პრინციპით კითხვას?

— როდესაც სურვილი გვაქვს „ფსალ-მუნები“ ვიკითხოთ ვინმესთვის — ცოცხ-ალთათვის ან მიცვალებულთათვის, დგება ოცკაციანი ჯგუფი, რადგან „ფსალმუნები“ იყოფა ოც კანონად, თითოეულ კანონს კითხულობს თითო ადამიანი, ოცივე კანონი იკითხება 24 საათის განმავლობაში. ერთი დღე-ღამის განმავლობაში, მთელი „დავ-ითნის“ წაკითხვისას, ღვთისგან უდიდესი მადლი გადმოდის. ბუნებრივია, ერთი დღე-ღამის განმავლობაში მთელი „ფსალმუნებ-ის“ წაკითხვა ერთი ადამიანისათვის ძნე-ლია, ამიტომ იქმნება მკითხველთა ჯგუფი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 24 საათის განმავლობაში მთელ „ფსალმუნებს“ კითხ-ულობს.

— როგორც წმინდა მამები გვირჩევენ, ფსალმუნები ყოველდღი-ურად უნდა ვიკითხოთ — სულიერი სარგებლობისათვის. როგორ ვიკითხ-ოთ შინ ფსალმუნები?

— ფსალმუნების შინ კითხვის წესი მკაცრად არ არის განსაზღვრული. ადამი-ანს შეუძლია ფსალმუნების კითხვა დაიწ-ყოს პირველი კანონიდან და ყოველდღი-ურად თითო კანონი იკითხოს ან თითო „დიდება“ მაინც (თითოეული კანონი სამი „დიდებისგან“ შედგება). შეიძლება, რომე-ლიმე კანონი ან ფსალმუნი ვიკითხოთ არჩევითაც.

P.S. აუცილებელია თუ არა „ფსალმუ-ნების“ კითხვისას მოძღვრის ლოცვა-კურთხ-ევა? რა სულიერი სარგებლობა მოაქვს „ფსალმუნების“ კითხვას? რატომ ვატარებთ 50-ე და 90-ე ფსალმუნებს გულზე? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით. ■

იესო ქრისტემ სძლო საცდურს, დათრგუნა და განაქარვა სიკვდილი

ამაღლების დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია 5 ივნისს აღნიშნავს, თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთი მოძრავი დღესასწაულია. ამაღლება ყოველთვის ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულიდან მეორმოცე დღეს — მეექვსე კვირის ხუთშაბათს აღინიშნება. ამ დღესასწაულის აღნიშვნა ქრისტიანული ეკლესიისათვის საყოველთაო, მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან გახდა. საეკლესიო დღესასწაულად ის დღეები იწოდება, როდესაც წმინდა ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევას, მაცხ-ოვრის, ღვთისმშობლის ან წმინდანთა ცხოვრებიდან...

როგორც „ახალი აღთქმიდანაა“ ცნო-ბილი, აღდგომიდან ორმოცი დღის განმავ-ლობაში, იესო ქრისტე ეცხადებოდა მო-ციქულებს და მათ ღვთის სასუფევლის შესახ-ებ ესაუბრებოდა. ქრისტეს აღდგომიდან მე-ორმოცე დღეს, ქრისტეს მოციქულები გა-ლილეიდან იერუსალიმში დაბრუნდნენ და ერთ სახლში შეიკრიბნენ. იქ მათ გამოეცხ-ადათ მაცხოვარი, რომელმაც შეკრებილებს აუწყა: „უნდა შესრულებულიყო ყოველივე, რაც ჩემს შესახებ დაწერილია მოსეს სჯულში, წინასწარმეტყველებებში და ფსალმუნებში“ (ლუკა 24, 44) — ე.ი. ქრისტეს ვნება, ჯვარცმა და მესამე დღეს აღდგომა: „და უთხრა მათ, ასე წერია, რომ ქრისტე უნდა ტანჯულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო მესამე დღეს“ (ლუკა 24, 46). ამის შემდეგ მოციქულებს დაავალა, რომ წასულიყვნენ და მთელ ქვეყ-ანაზე ექადაგათ „სახარება“. ვინც ირწმუნებ-და ქრისტეს და მოინათლებოდა, გადარჩებო-და. ვინც არ ირწმუნებდა — დაისჯებოდა. ქრისტეს სახელით მოხდებოდა კაცთაგან ეშმაკთა განსხმა (განდევნა) და ავადმყოფო-ბათა განკურნება. მაგრამ ვიდრე მოციქულე-ბი „ძალითა მაღლითა“ არ შეიმოსებოდნენ, იერუსალიმს არ უნდა გაშორებოდნენ. ამ ძალას კი მაშინ მიიღებდნენ, როდესაც მათზე გადმოვიდოდა სულიწმიდა და ისინი იქნე-ბოდნენ ქრისტეს აღმსარებელნი, როგორც იერუსალიმში, იუდეასა და სამარიაში, ასევე ქვეყნის კიდემდე — მთელ დედამიწაზე:

„... მიიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალიმს და ყოველსა ჰურია-სტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრუ-ლამდე ქვეყნისა“ (საქმ. მოც. 1, 8). საუბრის დროს, მაცხოვარმა მოციქულები ზეთისხი-ლის მთაზე აიყვანა. შემდეგ, ხელები ზე-ცისკენ აღაპყრო, აკურთხა მოციქულები და ზეცად ამაღლება იწყო. მცირე ხანში კი, ქრისტე ბრწყინვალე ღრუბლებმა და-ფარა მოციქულთა თვალთაგან. ვიდრე მო-ციქულები ცას შეჰურებდნენ, მათ, თეთრ სამოსში გამოწყობილი ორი კაცი ეჩვენათ: „... კაცნო გალილეველნო, რას დგახართ და უყურებთ ზეცას? იესო თქვენგან ამაღ-ლებული, მოვა, იმავე სახით, როგორც ნახ-ეთ თქვენ ამაღლების დროს“ (საქმ. მოც. 1,11). ამის შემდეგ, მოციქულები დაბრუნდ-ნენ იერუსალიმში, რათა დალოდებოდნენ მათზე სულიწმიდის გადმოსვლას... ე.ი. ამ-აღლების დღესასწაულით წმინდა ეკლე-სია იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას ისხ-ენიებს და დღესასწაულობს. წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს: „ამა დღეს შინა იხარებდედ ცანი და მხიარული იყავნ ქუეყანაი და ეკლესიაი დიდებითა თვისი-თა... კაცისათვის დამდაბლდა ღმერთი, გან-ეხუნეს მის წინაშე ბჭენი, რომელ დახშულ იყვნეს საუკუნითგან“. ე.ი. ბჭე ჩვენი ცხ-ონებისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე დახშული იყო პირველ ადამიანთა შეცნ-ოდების გამო, განიღო უფლის ამაღლები-სას. უფალმა იესო ქრისტემ თავისი ბრწყ-ინვალე აღდგომითა და ამაღლებით სძლო საცდურს, დათრგუნა და განაქარვა სიკვდილი.

ეკლესია გვასწავლის, რომ უფლის აღდგომა ადამიანებს სიკვდილზე ძლევას შეახსენებს, ხოლო ამაღლება ქვეყნიერების სვლას ზეცისაკენ წარმართავს. „უფლის ამაღლებამ ადამიანი ანგელოზს მიამსგავსა, იგი შეერთო უხორცოთა დასს. ადამიანი, უღირსი თვით მიწისთვისაც კი, ღვთის უდიდესი მოწყალებით, ზეცაში დაემკვიდრა... იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებით მოხდა ცისა და მიწის შეერთება, შერიგება ზეცი-ურისა და მიწიერისა. რეალურად განცხ-ადდა ღვთის განგებულება სამყაროზე, განგე-ბულება, რომლის შესახებ აღსრულებამდე „ძველ აღთქმაში“ იყო მინიშნებული წინასწარმეტყველებთან: „ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა და უფალი ხმითა საყვირისა-თა“ (ფს. 46 ,5)“ — განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი.

ქრისტიანული თვალსაზრისით, ზეცად ამაღლებული უფალი იესო ქრისტე, კვლავ მოვა ამქვეყნად, რათა განსაჯოს ცოცხლები და მკვდრები. ყოველი ჭეშმარიტი ქრის-ტიანი, რომელიც უფლის მეორედ მოსვ-ლისას, საშინელ სამსჯავროზე განმართლდება, უხრწნელი სხეულით ამაღლდება ზეცად და სამარადისოდ განღმრთობილ ადგილს — ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებს. ■

ნიკო სამადაშვილი მეუღლესთან, მარიამთან ერთად

ნიკო სამადაშვილის პოეზია წლების მანძილზე აკრძალული იყო. ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო პოეტის ნიჭის გამომზეურებისა და აღიარებისა. ცხოვრება პატარაობიდანვე უწყობდა გამოცდებს: 1905 წელს დაბადებულ, მომავალ პოეტს, უკვე 1907-ში — 2 წლის ასაკში მამა გარდაეცვალა. ოჯახი მაშინ აზერბაიჯანში ცხოვრობდა, ვინაიდან ნიკოს მამა — მიხეილ სამადაშვილი, ქალაქ აგდამში სახელმწიფო მოხელედ მუშაობდა. პატარა ნიკო გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში ჩამოიყვანეს. იქ გაიზარდა, დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ ჰუმანიტარული ტექნიკუმი. ნიკოს გერმანულ ენას ასწავლიდა ერეკლე ტატიშვილი, უაღრესად განსწავლული და მოაზროვნე პიროვნება. სწორედ მან აღმოაჩინა ნიკო სამადაშვილი, როგორც პოეტი.

„სიკვდილზე ადრე დალაშქრული პოეტი“

ნანული ჯოტიკიშვილი

სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე მხოლოდ სამ წელს გავრძელდა. საგნები დროზე ვერ ჩაბარა, მიზეზი — ხელმოკლეობა და შიმშილი. ეს იყო საშინელი დარტყმა, რომელსაც მთელი ცხოვრება განიცდიდა. თუმცა, ბევრი სხვა ტკივილიც მიაყენეს: ნიკო რამდენჯერმე დააპატიმრეს და გაასამართლეს, როგორც „საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი“. იგი ვერ ეგუებოდა კომუნისტურ რეჟიმს, რომელიც ანადგურებდა პიროვნებას სულიერად და მორალურად. მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, ნიკო სამადაშვილი არასოდეს წუწუნებდა. მისი ნავსაყუდელი ოჯახი იყო — მშვენიერი და სათნო მეუღლე, მარიამი და შვილები. ქალბატონი მარიამი იგონებს: „ნიკო ამაყი, შეუვალი, კეთილი და ამავე დროს ბავშვივით სათუთი იყო. სულ იოლად შეიძლებოდა მისი განაწყენება და გახარება. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თავი არავის წინაშე არ დაუხრია. სწამდა, რომ თავისი ერი დააფასებდა“...

შეხვედრა გალაკტიონთან

მზია სამადაშვილი, *პოეტის ქალიშვილი:*

— შვიდიოდე წლისა ვიქნებოდი, მამამ სასეირნოდ წამიყვანა. რუსთაველის გამზირზე იგი წარმოსადეგ, წვეროსან მამაკაცს მიესალმა, რომელმაც თბილად უპასუხა, მე კი თავზე ხელი გადამისვა და გამიცინა. შემდეგ მოულოდნელად, პროსპექტზე მიმავალ ხალხს მიუბრუნდა, ხელი მამისკენ გაიშვირა და მჭექარე ხმით შესძახა: „გაიცანით, ეს არის დიდი პოეტი საქართველოსი!“ მამას სახეზე ალმურმა გადაჰკრა. ეს კაცი გალაკტიონი იყო. გალაკტიონი ყოველი შეხვედრისას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ასეთი შეძახილებით...

„ბინდისფერია სოფელი“

ეს ლექსი ცნობილია, როგორც ხალხური, მაგრამ იგი ნიკო სამადაშვილს ეკუთვნის. ვახტანგ კოტეტიშვილის (ვახუშტი კოტეტიშვილის მამის) პირველ ფოლკლორულ ექსპედიციაში ნიკო სხვა სტუდენტებთან ერთად ჩაერთო. ქართლში ხალხური შემოქმედების ნიმუშებს აგროვებდნენ და ნიკომ ეს ლექსი, შეგროვებულ ლექსებთან ერთად, თავის უსაყვარლეს მასწავლებელს მიუტანა. ამ საიდუმლოს მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა და მხოლოდ სიკვდილის წინ უთხრა თავის უმცროს ვაჟს და მეუღლეს. აი, ეს ლექსიც:

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა ჰრის ჩვენი სიცოცხლე
ჩიწვით გაგვიფრინდება.
მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ ნამში აგვყრის ირიალს.
ჩვენ რას ნავიტანთ იმ სოფლად,
ვის ჰრა ნაუტია რა.

„ნიკო სამადაშვილი ორჯერ შემოიჭრა ჩემს არსებაში“

ვახუშტი კოტეტიშვილი:

— პირველად ეს მოხდა ომიანობის დროს *(40-იან წლებში. — ავტ.)* ექვსიოდე წლისა ვიქნებოდი, ზამთრის ცივი და ნაღვლიანი საღამო იყო. ოთახში ჩვეულებრივ ხრჩოლავდა ნავთქურა, რომელიც შუქის წყაროსაც წარმოადგენდა და ღუმლის მაგივრობასაც გვიწევდა. ნავთქურაზე, მეტი სითბოსთვის, აგური იდო. უეცრად, ჩვენთან შემოიქროლა ვიღაც კაცმა და ერთბაშად ხმაურით აავსო ჩვენი მდუმარე და ნაკლული ოჯახი. იმედიანად მოიკითხა ჩვენები, მე ხელში ამიყვანა, მაკოცა, რიხიანად მკითხა: ხომ გახსოვს, ვისი ვორისა ხარო, — მითხრა, ჩამომსვა, კვლავ რაღაც სანუგეშო სიტყვები გვესროლა და გაუჩინარდა. მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ შევნიშნეთ მაგიდაზე ერთი დიდი, მთელი პური. მართალია, ეს ისეთივე პური იყო, როგორიც იმ სუსხიან დღეებში ცხვებოდა ხოლმე — შავი და ნოტიო, — მაგრამ ეს იყო პური, რომელ-

ნიკო რამდენჯერმე დააპატიმრეს და გაასამართლეს, როგორც „საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი“

იც ყოველთვის გვაკლდა. მე ვიკითხე: ვინ იყო-მეთქი? მითხრეს: მამას ყოფილი სტუდენტი და მეგობარი, ძია ნიკო სამადაშვილიო. იმ დღის შემდეგ, ჩემთვის „ძია ნიკო“ იყო ის კაცი, რომელსაც დროდადრო ჩვენთვის მოჰქონდა პური (არავინ იცოდა – საიდან); ხანდახან გვეპატიჟებოდა შინ, ყოველთვის ხუმრობდა, იცინოდა. ზოგჯერ თვალები მოუწყლიანდებოდა ხოლმე მამაჩემის გახსენებისას და ყოველთვის გვამხნევებდა მეც, ჩემს უფროს დას, ლეილას და დიდედას, რომელიც ლეჩაქის ბოლოთი მოიწმენდდა ხოლმე ცრემლს და ლოცავდა: შენ გაიხარე, შვილო ნიკო, რომ ზოგ-ზოგებივით არ დაგვიწყნია ჩემი ვახტანგის სიკეთე და ამაგიო...

ეს იყო და ეს, თითქოს არაფერი, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ უმძიმეს წლებს, როდესაც ყველას უჭირდა და განსაკუთრებით კი, ისეთ ჭირგამოვლილსა და ბედნიერებისაგან შერისხულ ოჯახებს, როგორიც ჩვენი იყო, ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ადამიანური საქციელი ზნეობრივ გმირობად წარმოგვიდგება.

ასეთი კაცი იყო ნიკო სამადაშვილი, ასეთი გავიცანი იგი მე, ექვსი წლის ბავშვმა და ასეთად დარჩა სამუდამოდ ჩემს ხსოვნაში ჭარმაგი და დაუდგრომელი, ქართლურ კილოზე ოდნავ ხრინწმოკიდებული ხმით მოუბარი, ყოველთვის ქედუხრელი და ამ ცოდვილ, მადლიან ქვეყანაზე სიკეთის ჯიუტად მთესველი.

მე მაშინ, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდი მისი პოეზიის შესახებ. მხოლოდ ერთხელ, ჩემმა დამ, ლეილამ, მითხრა: იცი, ძია ნიკო ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა და მამას ძალიან მოსწონდაო. მაგრამ ეს ისე იყო ნათქვამი, როგორც თითქმის ყველა ქართველზე შეიძლება ითქვას – ვის არ დაუწერია სიჭაბუკეში ორიოდე ლექსი, თუნდაც არმოსაწონი?!.

გავიდა დრო და დადგა ის საოცარი დღეც, როდესაც ნიკო სამადაშვილმა მომიტანა სულ სხვა საზრდო – „სულის პური“ – თავისი პოეზია...

„ვისი ლექსია?“

რუსუდან ბერიძე, *მერაბ კოსტავას ყოფილი მეუღლე:*

– ნიკო სამადაშვილის პოეზია ჩემს ცხოვრებაში ძალიან ადრე, 60-იან წლებში შემოვიდა. მერაბ კოსტავას შინ ჰქონდა საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი მისი ლექსები. ახლაც მახსოვს, ქაღალდი ყვითელი და უხარისხო იყო, ნაბეჭდი – ძნელი გასარჩევი. ლექსები კი... ლექსები ორი-სამი წაკითხვის შემდეგ, გონებასა და სულში ჩამებეჭდა და ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა...

უნივერსიტეტში კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, უმაღლესი ალგებრის და ანალიზური გეომეტრიის კურსს ვკითხულობდი. სტუდენტებთან კონტაქტს ადვილად ვამყარებდი, სირთულე არასოდეს მქონია. სტუდენტები, როგორც წესი, მისმენდნენ ხოლმე. ერთ წელიწადს პატარა ჯგუფი მყავდა, სულ – ათიოდე გოგო და ბიჭი. გარეგნულად ყველაფერი წესრიგში იყო – ჩემს ყველა სიტყვას იწერდნენ, აუდიტორიაში სრული სიჩუმე სუფევდა, მაგრამ ლექცია უღიმღამოდ მიდიოდა და ისე მთავრდებოდა, რომ არც ერთი სტუდენტი თავს მაღლა არ სწევდა და წერას მექანიკურად აგრძელებდა. პირველად შევხვდი ასეთ გულგრილობას; ურთიერთობა არ მყარდებოდა, მე ვნერვიულობდი, აუდიტორიაში შესვლა აღარ მინდოდა. ერთხელაც, ვდგავარ დაფასთან, საკმაოდ რთული ფორმულა დავწერე და მისი ახსნა დავიწყე. ჩემი სტუდენტები რობოტებივით სხედან და წერას აგრძელებენ, უცებ წინადადება შუაში გავწყვიტე და დავიწყე:

გამოვალ გარეთ, გავიხურავ
უილბლო ჟიშყარს,
მივესალმები ჩემს სახლის
წინ ავწუხულ ხეებს,
წუჩზე შემრჩება ამღვრეული
ბედის ჯაშნიკი
და სინანული, სივალალე –
გაშვერილ ხელებს...

ჩემმა სტუდენტებმა თავები ასწიეს. აქამდე გულგრილ თვალებში სინათლე გამოჩნდა. აუდიტორიაში კვლავ სიჩუმე იყო, მაგრამ ახლა ეს სიჩუმე ცოცხლობდა, სუნთქავდა... მე გავაგრძელე:

დავიღუჭები ისე,
როგორც შეშვენის ოხერს,
მეხის ფრიალი
ბარდამცემი ნავა-ნამოვა,
საუკუნეებს მაცხოვარი
გაჭყვება მეხრედ,
საუკუნეებს დასაბამი
რომ მოაძოვა.

ცოტა ხანს, კიდევ სიჩუმე იყო. მერე ყველა ერთად ალაპარაკდა: „ვისი ლექსია?“ „სად დაიბეჭდა?“ „ვინ არის ნიკო სამადაშვილი?“ ლექციის ბოლომდე, ნიკოს პოეზიაზე ვსაუბრობდი. მერე, ნიკო სამადაშვილის პატარა კრებულიც მივუ-

ადამიანურ ქცევებზე

კარგის ცოდნა უფრო საჭიროა, ვიდრე ბევრის ცოდნა.

ჟან ჟაკ რუსო

გაჭირვება ადამიანს ასწავლის ლოცვას და უფრო არსებითს: აზროვნებას, მოქმედებას.

ფრიდრიხ ენგელსი

ყოფნის იმედი არ მიმატოვებს –
მე ჩემს წიგნებში ვიცოცხლებ მკვდარიც.
სიკვდილი ელის უწიგნურ ტომებს.
ვინც განათლებას დაუხშო კარი.

უილიამ შექსპირი

ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკი არ უნდა ახსენო.

ესპანური ანდაზა

ლანძღვა იმისი საბუთია, ვისაც არგუმენტები არ გააჩნია.

ვლადიმირ ლენინი

კამათში არ არსებობს არც უმაღლესი, არც უმდაბლესი, არც წოდება, არც სახელი, არის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, რომლის წინაშეც ყველა თანასწორია.

რომენ როლანი

საჭირო სიტყვა საჭირო ადგილზე – აი, რა არის სტილი.

ჯონათან სვიფტი

მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი ერთი ოდენ.

არჩილი მეფე

არამზადა რომ შეგაქებს, იმაზე დიდი უბედურება არაფერია.

აბუ შუქური

ტანე. თითქმის მთელი კრებული გადაწერეს.

ის დღე იყო და ის დღე – ლექციებსაც უსმენდნენ, ჩემი საგანიც მოსწონდათ, გამოცდაზეც ყველა განსაკუთრებულად კარგად მომზადებული მოვიდა... პირველი კურსის შემდეგ, ამ ჯგუფს აღარ ვუკითხავდი, მაგრამ დერეფანში რომ შევხვდებოდით, სხვანაირი სითბოთი მესალმებოდნენ. სტუდენტისა და ლექტორის ჩვეულებრივი ურთიერთობის გარდა, ჩვენ უფრო ამაღლებული რამ – ნიკო სამადაშვილის პოეზია გვქონდა საერთო...

პოეტის სიყვდილი
მარიამ სამადაშვილი:

– გათენდა 1963 წლის პირველი მაისი. ნიკო ძალზედ ცუდ ხასიათზე იყო. ადგილს ვერ პოულობდა, ხან ფანჯარაში იყურებოდა, ხან თავის პატარა სამუშაო ოთახში შედიოდა. მთხოვა, თავი დამაბანინეო. გამოეწყო ახალ კოსტიუმში... გავიდა სახლიდან და კარი მაგრად გაიჯახუნა. მეწყინა. ვიფიქრე, ჩემზე იყო ნაწყენი, თუმცა, ამის საფუძველი არ ჰქონდა. ჩავიდა კიბეზე და უკან ამობრუნდა, შევიდა თავის სამუშაო ოთახში, თითქოს მაგიდაზე რაღაცას ეძებდა. ეტყობა, კარის ძლიერი გაჯახუნება თვითონაც არ მოეწონა და ასეთი საქციელი ბოდიშის მოხდას ჰგავდა... იმ დღეს, ნიკო სამუდამოდ წავიდა ჩვენი სახლიდან: წავიდა თავისი ბავშვობის მეგობართან, ჟორა ოქრუაშვილთან; იქ ცუდად გამხდარა, წავალო, – უთქვამს. მასპინძელს გაცილება შეუთავაზებია, მაგრამ არ დათანხმებულა; ბელინსკის ქუჩაზე წაქცეულა. ორი ახალგაზრდა წამოშველებია

მარიამ სამადაშვილი

და მანქანაში ჩაუსვამს. ნიკოს უთხოვია: სახლში წამიყვანეთ, ახლოს ვცხოვრობო. იმხანად, ზემელზე, ეკატერინე გაბაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მანქანაში კიდევ გამხდარა ცუდად, გონება დაუკარგავს. გულისხმიერმა ახალგაზრდებმა საავადმყოფოში წაიყვანეს. ნიკოს ჯიბეში უბის წიგნაკი აღმოაჩნდა. დაურეკეს მის ნაცნობ გამომძიებელს შარაშენიძეს, რომელიც მაშინვე, საავადმყოფოში წავიდა, ხოლო იქიდან, ჩვენთან მოვიდა და ნიკოს მდგომარეობა შეგვატყობინა. მე სასწრაფოდ ჩავიცვი და საავადმყოფოში წავედი. ნიკო მეორე სართულზე პალატაში, კართან ახლოს იწვა. შუბლზე შავი სათბური ედო. ის აღარ სუნთქავდა... გაოგნებულმა შევძახე – „ნიკო! ნიკო!..“ ნიკოს მკერდი შეერხა, თითქოს ჩემი ძახილი იგრძნოო. მისი სული ჩემს მისვლას ელოდა. ასე წავიდა ჩვენგან სამუდამოდ.

ნიკო ხუთ მაისს დავასაფლავეთ. ბატონმა ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძემ ჩაწერა ლექსი – „ჩემი სოფელი“, რომელიც პანაშვიდების დროს ჟღერდა. საოცრად კითხულობდა მსახიობი!.. სამწუხაროდ, ის ფირი არ დაგვიტოვეს და მერე დაიკარგა. გამოსვენების დღეს, შემთხვევით გამოირთო მაგნიტოფონი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შიშმა ამიტანა, თითქოს განგებამ მოაწყო ასე. როცა კუბო ასწიეს, სიჩუმე ჩემი და ჩემი დის, ნინოს შეკივლებამ დაარღვია.

მზია სამადაშვილი:

– ჩვენი ოჯახის უბედურების ჟამს, მრავალმა კეთილმა ადამიანმა გამოგვიწოდა ხელი. დაკრძალვას ვერ დაესწრო მსახიობი პიერ კობახიძე, რომელთანაც მამას დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ის სამძიმარზე, მხოლოდ ორმოცზე მოვიდა და დედას უთხრა: მარიამ, ვიცი, მეც მალე წავალ... გასაოცარია – მართლაც, სამი თვის შემდეგ პიერ კობახიძეც გარდაიცვალა...

ზოგჯერ, რომელიმე მოგონება ამეკვიატება ხოლმე. მეჩვენება, თითქოს ცხადად ვხედავ მამას, ვისმენ მის საუბარს, ვუმზერ მის დაღლილ, სიკეთით სავსე ცისფერმოლურჯო თვალებს... ცხოვრებაში არაერთი განსაცდელი გადამიტანია, მაგრამ გაჭირვებისათვის თავი არასოდეს დამიხრია. ისე, როგორც ჩემს მშობლებს არ მოუხრიათ ქედი, არ შემდრკალან. მამაც ამ ქვეყნიდან ამაყი და შეუპოვარი წავიდა.

პოეტის არქივში ერთი უჩვეულო წერილია შემონახული, რომელსაც ის დედასა და ცოლ-შვილს სწერს. სათაურიც უჩვეულო აქვს – „ბრძანება“ – და სულისკვეთებაც ნათლად გამოხატავს ამ საოცარი ადამიანის ბუნებას...

„დედილო ოლღა სიმონის ასულო, სულზე უტკბესო მეუღლევ მარიამ ნიკოლოზის ასულო; შვილებო, თამაზ, მზია, ნუგზარო, მოგესალმებით და მოგილოცავთ ახალ წელს, დაესწარით მრავალ ახალ წელიწადს, ილხინეთ და იდღეგრძელეთ. გიყვარდეთ თავდავიწყებამდე ნიკოლოზ მიხეილის ძე სამადაშვილი, რომელიც არის თქვენი იმედი და ნუგეში.

ცისმარე დღე ავედრებდეთ ღმერთს და განგებას მის კარგად ყოფნას, მის სიცოცხლეს. გახსოვდეთ, რომ თქვენი ნიკუშას ნეტარება ეს არის თქვენი ბედნიერების საწინდარი.

აღარ მოისმინოს დღეიდან ჩემმა ყურებმა: ჭიჭყინი, ბუტიაობა, წყევლა და უგვანო ჩიფჩიფი.

იყავით ნათელნი და დიადნი.

იყავით სპეტაკნი და უზადონი.

იყავით გრძნობიერნი და გულისხმიერნი.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ნიკოლოზი, თქვენი გულისთვის არაჩვეულებრივ და სასიკეთო ნომრებს ასრულებს ცხოვრების ტრაპეციაზე.

ამიტომ 1951 წლის 1-ლი იანვრის დღესასწაულის გამო ვბრძანებ:

დედაჩემს ოლღა სიმონის ასულს, მიენიჭოს სამადაანთ ოჯახის დამსახურებული მანდილოსნის სახელწოდება.

ჩემს ცოლს მარიამ ნიკოლოზის ასულს, ქმარ-შვილზე თავდადებული მზრუნველის სახელწოდება.

თამაზი და მზია 10 დღის განმავლობაში მომაგრებულნი იყვნენ კინო და თეატრით.

დიდათ პატივცემულ ნუგზარს ყველაფერი აუსრულდეს, რასაც მოითხოვს.

სამადაანთ ჯალაბის მმართველი ნ. სამადაშვილი

ქ. თბილისი.

ნიკოს ქოხი“

„სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ – ასე უწოდებდა ნიკო სამადაშვილი საკუთარ თავს. ისე გარდაიცვალა, მისი არც ერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა. ხუთი წლის შემდეგ, რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“. მერე გამოვიდა პატარა კრებულები. ამ ცოტა ხნის წინ კი, პოეტის ქალიშვილის, მზია სამადაშვილის წიგნი „უცნობი ნიკო სამადაშვილი“ გამოიცა. ■

«მილანი»

სუპერკლუბის გზა დაარსებიდან დღემდე

ევროპულ სარბიელზე ცხრაწლიანი კრიზისის შემდეგ, „მილანმა“ კვლავ იზეიმა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე“ გამართულ, დაძაბულ მატჩში ტურინის „იუვენტუსზე“ გამარჯვებით სილვიო ბერლუსკონის გუნდმა მეექვსედ მოიპოვა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო-საფეხბურთო ტურნირის თასი. ვფიქრობთ, ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება იტალიური და საერთოდ, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, „მილანის“ შექმნისა და განვითარების ისტორია, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ კლუბის შემადგენლობაში შეძლო ქართველმა ფეხბურთელმა პირველად, ჩემპიონთა ლიგის ოქროს მედლის მოპოვება.

ალექსი რეხვიაშვილი

სილვიო ბერლუსკონის ნასიამოვნები სახე მრავლისმეტყველია

საფეხბურთო კლუბი „მილანი“ 1899 წლის 16 დეკემბერს დაარსდა. სხვა ცნობილი ევროპული გუნდებისგან განსხვავებით, „მილანი“ გასული საუკუნის 80-იანი წლების ნახევრამდე, ერთი რომელიმე ოჯახის ან კლანის მმართველობის ქვეშ არასოდეს ყოფილა. კლუბის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, მას სათავეში ედგნენ პრეზიდენტები, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებდნენ ამ თანამდებობას, მაგრამ „მილანის“ მმართველის პოსტი თაობიდან თაობას არასოდეს გადაეცემოდა.

იტალიური ფეხბურთის მომავალი გრანდის პირველი პრეზიდენტი ალფრედ ედვარდე გახლდათ, რომელიც პოსტზე 10 წლის განმავლობაში დარჩა. იგი პიეტრო პირელიმ შეცვალა, რომელიც „მილანს“ 1909-დან 1928 წლამდე მართავდა. საგულისხმოა, რომ სწორედ პირელის პრეზიდენტობის პერიოდში მოევლინა საფეხბურთო სამყაროს სახელგანთქმული სტადიონი — „სან-სირო“, რომელზეც „მილანი“ დღემდე მართავს საშინაო მატჩებს (მისი ტრიბუნები 83679 კაცს იტევს). მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, კლუბი ჯერ ლუიჯი რავასკომ, შემდეგ კი, მარიო ბენაცოლიმ ჩაიბარა. 30-იანი წლების ნახევრიდან 50-იანი წლების ნახევრამდე, „მილანს“ პრეზიდენტი ძალიან ხშირად ეცვლებოდა. პიეტრო ანონი, უმბერტო ტრაპატონი, ემილიო კოლომბო, აკილე ინვერნიცი — დღეს ეს სახელები „მილანის“ ქომაგთა დიდ ნაწილს ალბათ არც გაუგონია.

1954 წლის მაისიდან 1963 წლის ივნისამდე, კლუბის პრეზიდენტის პოსტი ანდრეა რიცოლის ეკავა. მისი ხელმძღვანელობით „მილანმა“ ოთხჯერ იზეიმა სკუდეტოს მოპოვება და თავისი არსებობის ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა. ამის შემდეგ, იტალიური გრანდის პრეზიდენტები კვლავ ხშირად იცვლებოდნენ: ფელიჩე რივა, ლუიჯი კარარო, ფრანკო კარარო, სერდილიო, ალბინო ბუტიკი, ბრუნო პარდი, ვიტორიო ლუინი, ფელიჩე კოლომბო, გაეტანო მორაცონი. 80-იანი წლების დასაწყისში, „მილანი“ ორჯერ აღმოჩნდა სერია B-ში: ერთხელ — მატჩის „ჩაწყობის“ გამო აგორებული სკანდალის შედეგად, ხოლო მეორედ — „საკუთარი ინიციატივით“. 1982 წლის 19 იანვარს, კლუბს პრეზიდენტად ვინმე ჯუზეპე ფარინა მოევლინა, რომელმაც „მილანი“ სრულ ფინანსურ გაკოტრებამდე მიიყვანა.

იტალიის ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ „მილანის“ პრეზიდენტის პოსტი 1986 წლის მარტში დაიკავა. ნიშანდობლივია, რომ სინიორ სილვიო ბავშვობაში, მეორე მილანური გრანდის — „ინტერის“ დიდი ქომაგი ყოფილა და თავიდან, სწორედ შავ-ცისფერმაისურიანთა ყიდვა სურდა, მაგრამ სხვადასხვა ფინანსური პრობლემის გამო, გარიგება არ შედგა და 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ბერლუსკონიმ „მილანი“ ჩაიბარა.

კლუბის ახალი პრეზიდენტი მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას შეუდგა. პირველად სწორედ მან შემოიღო იტალიაში ე.წ. გაფართოებული ძირითადი შემადგენლობის ცნება და ძვირად ღირებული ვარსკვლავების შეძენა დაიწყო, რომელთაგან ერთნი მოედანზე უნდა ყოფილიყვნენ, მეორენი კი — სათადარიგოთა სკამზე. ბერლუსკონის გაპრეზიდენტებიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა სარბიელზე, ამჟამად მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი, ორი იტალიელი მწვრთნელი — არიგო საკი და ფაბიო კაპელო. „მილანთან“ ერთად საკის მიერ დაწყებული ტრიუმფალური სვლა კაპელომ გააგრძელა, რომელმაც ხუთი სეზონის განმავლობაში, ოთხჯერ მოიგო სკუდეტო, სამჯერ — იტალიის სუპერთასი და თითოჯერ — ევროპის ჩემპიონთა თასი და სუპერთასი.

მდიდარ და წარმატებულ ბიზნესმენს, სილ-

ვიო ბერლუსკონის მშვენივრად ესმოდა, რომ „მილანის“ თავბრუდამხვევი წარმატებები მას უდიდეს პოპულარობას მოუტანდა მოსახლეობაში და ხელს შეუწყობდა პოლიტიკური კარიერის გაკეთებაში, ამიტომ იგი არც ენერგიას და არც ფულს არ იშურებდა, რათა კლუბი რაც შეიძლებოდა მაღალ საფეხბურთო მწვერვალებზე აეყვანა. გარდა ამისა, ბერლუსკონი წარმატებულად მოღვაწეობდა ტელე და საგაზეთო ბიზნესშიც, რამაც, ცხადია, ასევე დიდი როლი შეასრულა 1994 წელს, იტალიის პრემიერ-მინისტრად მის არჩევაში. სინიორ სილვიომ ძალიან ბევრი გაიღო „მილანისათვის“, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კლუბმაც დიდი სარგებლობა მოუტანა მას.

პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ, ბერლუსკონის არც უფიქრია პოლიტიკიდან წასვლაზე. სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო „მილანის“ კრიზისი, თუმცა კლუბი ნამდვილად არ განიცდიდა მსოფლიო დონის ვარსკვლავთა ნაკლებობას. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, „მილანმა“ მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონატში ალბერტო ძაკერონის მწვრთნელობით, რომლისგანაც დიდ მიღწევებს ნამდვილად არავინ მოელოდა. სამაგიეროდ, სილვიო ბერლუსკონიმ კლუბს უდიდესი პოპულარობა მოუტანა ტელევიზიის საშუალებით. ჯერ კიდევ 1974 წელს, იგი ერთ-ერთი დიდი ტელეკომპანიის — „ტელემილანელოს“ მფლობელი გახდა. 1979 წელს კი, ტელეარხს — „კანალე ჩინკვე“ დაარქვა და საყოველთაოდ ცნობილი იტალიური სახელმწიფო არხის — „რაის“ კონკურენტად აქცია. მას შემდეგ, სილვიომ თავისი ტელეკომპანია უდიდეს იმპერიად გადააქცია, რომელიც რეგულარულად გადასცემდა საფეხბურთო მატჩებსა თუ სპეციალურ პროგრამებს (ცხადია, აქცენტი „მილანსა“ და მის ვარსკვლავებზე კეთდებოდა), რამაც ფეხბურთი იტალიაში კიდევ უფრო პოპულარული გახადა, ხოლო ფეხბურთელები, სახალხო კერპებად აქცია. საგულისხმოა, რომ „ოლდ ტრაფორდზე“ ამას წინათ გამართული, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი იტალიელებმა სწორედ ბერლუსკონის კუთვნილი „კანალე ჩინკვეს“ ანუ „მეხუთე არხის“ ეთერში იხილეს.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში, „მილანს“ დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია. თავად განსაჯეთ: 1951 წლამდე, კლუბი სულ სამჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი (1901, 1906 და 1907 წლებში) — ეს იყო და ეს. ჩემპიონთა თასი კი, პირველად „მილანელებმა“ 1963 წლის 22 მაისს მოიპოვეს, როდესაც ფინალურ მატჩში ლონდონის „უემბლიზე“ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ლისაბონის „ბენფიკა“. პორტუგალიურ კლუბში მაშინ, ლეგენდარული ეუსებიო ბრწყინავდა და პირველ ტაიმში, სწორედ მან გაიტანა გოლი იტალიელთა კარში, თუმცა, შეხვედრის მეორე ნახევარში, ბრაზილიელმა ჟოზე ალტაფინიმ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მალე, თავისი გუნდი დააწინაურა კიდეც. იმ პერიოდში, „მილანის“ ღირსებას ისეთი ოსტატები იცავდნენ, როგორებიც იყვნენ: ალტაფინი, ჩეზარე მალდინი, ჯოვანი ტრაპატონი, რივერა და დინო სანი. გუნდს ნერეო როკო წვრთნიდა. იტალიური კლუბის ქომაგთათვის სამწუხაროდ, „მილანმა“ იმავე წელს, ვეღარ შეძლო საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვება — ის სამი მატჩის ჯამში, ლეგენდარული პელეს „სანტოსთან“ დამარცხდა.





ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში პირველად „მილანი“ 1958 წელს გავიდა და „რეალთან“ ორთაბრძოლაში ანგარიშით 2:3 დამარცხდა. სულ კლუბს 16-ჯერ აქვს მოგებული იტალიის ჩემპიონატი, 4-4-ჯერ — ქვეყნის თასი და სუპერთასი, ექვსჯერ — ევროპის ჩემპიონთა თასი, სამჯერ — ევროპის სუპერთასი, სამჯერ — საკონტინენტთაშორისო თასი და ორჯერაც — ევროპის თასების მფლობელთა თასი.

სხვადასხვა პერიოდში, „მილანის“ ღირსებას მსოფლიო დონის არაერთი ვარსკვლავი იცავდა. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

ჯანი რივერა (დაბადებული 1943 წლის 18 აგვისტოს).

მას მეტსახელად „ოქროს ბიჭუნას“ ეძახდნენ და იგი დღემდე, კალჩიოს ერთ-ერთ ლეგენდად ითვლება. მისი დებიუტი სერია A-ში 15 წლის ასაკში, „ალესანდრიას“ შემადგენლობაში შედგა, 17 წლისა კი, უკვე „მილანში“ თამაშობდა. 19 წლის იყო, როდესაც გუნდთან ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა. რივერა მილანურ კლუბში 1960-1979 წლებში თამაშობდა და ამ პერიოდში სერია A-ში 501 მატჩი ჩაატარა, სამჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ — ჩემპიონთა თასი, ოთხჯერ — იტალიის თასი, ორჯერ — თასების მფლობელთა თასი და ერთხელაც — საკონტინენტთაშორისო თასი. გარდა ამისა, ჯანი რივერა ოთხჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში და 1970 წელს, ვიცე-ჩემპიონიც გახდა. 1968 წელს კი, მან „სკუადრა აძურასთან“ ერთად ევროპის პირველობაში გაიმარჯვა. „ოქროს ბიჭუნა“ გახლავთ პირველი იტალიელი, რომელმაც „ოქროს ბურთი“ მოიპოვა (1969 წელს). ჯანი რივერა, რომელსაც იტალიის ეროვნული ნაკრების რიგებში 60 მატჩი აქვს ჩატარებული (14 გატანილი გოლით),

ალბათ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „მილანელია“ კლუბის ისტორიაში.

მარკო ვან ბასტენი (1962 წლის 31 ოქტომბერი).

ჰოლანდიელი ვარსკვლავი, სილვიო ბერლუსკონის მმართველობის პერიოდში, „მი-

ჯანი რივერა

ხუან ალბერტო სკიაფინო

ჩეზარე მალდინი

მარკო ვან ბასტენი

ფრანკო ბარეზი

ლანის“ ქომაგთა ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი გახლავთ. იგი კლუბის რიგებში 1987-1995 წლებში ირიცხებოდა, თუმცა მძიმე ტრავმების გამო, რვა სეზონიდან მხოლოდ ექვსში მიეცა თავისი შეუდარებელი ოსტატობის გამოვლენის საშუალება. ამ პერიოდში, ვან ბასტენმა ოთხჯერ მოიგო სკუდეტო, სამჯერ – ევროპის ჩემპიონთა თასი, სამჯერ – ევროპის სუპერთასი, ოთხჯერ – იტალიის სუპერთასი და ორჯერ – საკონტინენტთაშორისო თასი. ამასთანავე, იგი „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელი, ევროპის 1988 წლის ჩემპიონი და ორჯერ, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირიცაა.

ხუან ალბერტო სკიაფინო (28.07.1925 – 13.11.2002).

ის ურუგვაის ნაკრების შემადგენლობაში 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. „მილანში“ 1954-1960 წლებში თამაშობდა და იმ პერიოდში, სამჯერ მოიგო სკუდეტო. გარდა ამისა, ურუგვაიელმა ოსტატმა ოთხჯერ, „სკუადრა აძურას“ მაისურიც მოირგო.

ჩეზარე მალდინი (1932 წლის 5 თებერვალი).

ეჭვგარეშეა, რომ პაოლო მალდინი დიდი ფეხბურთიდან წასვლისთანავე შევა „მილანის“ ლეგენდათა რიგში. ჯერჯერობით კი, ამ ნომინაციაში მალდინების ოჯახს მხოლოდ ჩეზარე წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მალდინი-უფროსიც, პაოლოს მსგავსად, მცველი იყო, იგი ბრწყინვალე ტექნიკით გამოირჩეოდა, რასაც როგორც ამბობენ, ხშირად, ზიანიც კი მოჰქონდა მისი გუნდისთვის: მისი შეცდომები კი, კალჩიოს ისტორიაში „მალდინატეს“ სახელითაა ცნობილი. ჩეზარე „მილანში“ 1954-1966 წლებში თამაშობდა. ოთხჯერ აქვს მოგებული სკუდეტო. იგი არის „მილანის“ პირველი კაპიტანი, რომელმაც ჩემპიონთა თასი აღმართა. „სკუადრა აძურას“ რიგებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული. როგორც ცნობილია, მალდინი-უფროსი 2002 წლის მუნდიალზე პარაგვაის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. ამჟამად „მილანის“ სელექციის სამსახურს ხელმძღვანელობს.

ფრანკო ბარეზი (1960 წლის 8 მაისი).

ბარეზი კლუბის ყველაზე ცნობილი ლიბეროა. იგი მრავალი წლის განმავლობაში, გუნდის კაპიტანი იყო. მთელი საფეხბურთო კარიერა „მილანში“ აქვს გატარებული. 1977-1996 წლებში, ექვსჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, ორჯერ – საკონტინენტთაშორისო თასი, ოთხჯერ – იტალიის, ხოლო სამჯერ – ევროპის სუპერთასი. იტალიის ნაკრებში ჩატარებულ 81 მატჩში გატანილი აქვს ერთი გოლი. 1994 წელს, ფრანკო ბარეზი „სკუადრა აძურასთან“ ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პენალტების სერიის შედეგად, ბრაზილიის გუნდთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. ამჟამად, „მილანში“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელია.

რუუდ გულიტი (1962 წლის 1 სექტემბერი).

შავკანიანი ჰოლანდიელი ვარსკვლავი არა მარტო საფეხბურთო მოედანზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გამოირჩეოდა არტისტულობით. „მილანში“ 1987-1995 წლებში თამაშობდა და ამ ხნის მანძილზე, სამჯერ მოიგო სკუდეტო, სამჯერ – იტალიის სუპერთასი, ორჯერ – ჩემპიონთა თასი, ორჯერ – საკონტინენტთაშორისო თასი, ორჯერ – ევროპის სუპერთასი. გარდა ამისა, გულიტი ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული და „ოქროს ბურთის“ მფლობელიცაა (1987 წელს).

ფრანკ რაიკაარდი (1962 წლის 30 სექტემბერი).

კიდევ ერთი ჰოლანდიელი ოსტატი, ფრანკ რაიკაარდი „მილანის“ ღირსებას 1988-1993 წლებში იცავდა. ორჯერ აქვს მოგებული სკუდეტო, ორ-ორჯერ კი, ჩემპიონთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი, ევროპის სუპერთასი და იტალიის სუპერთასი.

ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი **ნერეო როკო** (20.05.1912 – 20.02.1979)

„მილანის“ ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად თავისუფლად შეიძლებოდა, „რომას“ ამჟამინდელი თავკაცი ფაბიო კაპელო მიგვეჩნია (მისი ხელმძღვანელობით ხომ „მილანელებს“ ცხრა ჯილდო აქვთ მოგებული: ოთხჯერ – სკუდეტო, სამჯერ – იტალიის სუპერთასი და თითოჯერ – ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი), მაგრამ არსებობდა კაცი, რომელმაც „მილანის“ მწვრთნელობისას ერთი ჯილდოთი მეტი მოიგო. იგი ნერეო როკო გახლდათ, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში, „ტრიესტინას“, „ნაპოლისა“ და „პატოვას“ რიგებში თამაშობდა. როკო „მილანს“ 1961-1963, 1967-1974 და 1976-1977 წლებში წვრთნიდა. მან თავის გუნდს ორჯერ მოაგებინა ჩემპიონთა თასი, ორჯერ – ევროპის თასების მფლობელთა თასი, ორჯერ – სკუდეტო, სამჯერ – იტალიის თასი, ერთხელაც – საკონტინენტთაშორისო თასი. ნერეო როკო რეკორდსმენია „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩატარებული მატჩების რაოდენობის მხრივაც: მას 280-ჯერ გამოუყვანია იტალიური სუპერგრანდი საფეხბურთო მინდორზე.

დაგვიანებული რეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-22

დეა ავალიანი ლოგინად ჩავარდნილ დედასთან ერთად ცხოვრობს. მკვლელობის ბრალდებით ციხეში მყოფ მის ძმასთან — თემოსთან დაახლოებული, კანონიერი ქურდი გიგოლა, ქალიშვილის ხელში ჩაგდების გეგმას შეიმუშავებს: იქ თემოს პატრონობს, გარეთ კი — დედაშვილს. ის მათ ფულსაც მისცემს და ავადმყოფს, ცნობილ ექიმს, პროფესორ ინწკირველსაც მიუყვანს. თვითონ დეას, შემთხვევით გაცნობილი კაცისკენ — გურამისკენ მიუწევს გული, რომელიც დეას გაცნობიდან მეორე დღეს, საზღვარგარეთ მიდის...

თანაკურსელი კახა, რომელსაც დეა ლამის ბავშვობიდან უყვარს, სკანდალურად ცნობილი პარლამენტარის, გიზო ჯღარკავას ერთადერთი შვილია. გაზულუქებული კახა, რომელსაც ყოველგვარ მორალზე ხელი აქვს აღებული, ტყავის ქურთუკის გამო, თემოს კლასელს, გიორგი აბრამიძეს მოკლავს. დეა, კახას საწინააღმდეგო ჩვენებას აძლევს გამომძიებელს. გიზო ჯღარკავა ჯერ ავალიანების მოქრთამვას ცდილობს, შემდეგ კი, მუქარაზეც გადადის. ამას შემთხვევით, გიგოლაც შეიტყობს და ისევ სათავისოდ გამოიყენებს. დეას დასანახად, გიზოს უსწორდება, ზურგს უკან კი, მასვე, ავალიანების ოჯახის „ზომიერად“ დაშინებას ავალებს. გიზო, რომ იტყვიან, ყურებით ჰყავს გამოჭერილი კანონიერ ქურდს... ყოვლისშემძლე გიგოლა იმასაც კი მოახერხებს, რომ თემო ცოტა ხნით ციხიდან გამოაპაროს და მომაკვდავი დედის სანახავად მოიყვანოს. ამ შეხვედრისას, თემო დას ეუბნება: ციხიდან მე ვერ მოგხედავ, ამიტომ შენი თავი გიგოლას ჩავაბარე და ყველაფერი უნდა დაუჯეროო... თემოსა და გიგოლას წასვლის შემდეგ, ცეცხლზე ნავთს პროფესორი ინწკირველი დაასხამს: ორივე მათგანი უკვე „გადამწვარი“ ნარკომანია, გიგოლას კი, მეც ყურებით ვყავარ დაჭერილი, რადგან თემოსაც და მთელ ციხესაც „წამლით“ ჩემი დახმარებით ამარაგებსო...

იმავე ღამეს, დეას დედა უკვდება. სრულიად განადგურებული დეა ცვილის ფიგურასავით უტყვი ხდება და ელენეს ისე დაასაფლავებს, რომ ერთ ცრემლსაც კი არ გააყოლებს... ქელეხის შემდეგ, მოულოდნელად, დეას მამამისი — ახალი ოჯახისა და წვრილშვილის პატრონი, სულხან ავალიანი ეწვევა. ქალიშვილს, ელენეს ანდერძს უჩვენებს: დედაშენმა თავისი სახლ-კარის ნახევარი მე დამიტოვაო. დეა აღშფოთებას ვერ ფარავს. ანდერძის ასლი, რომელსაც კამათის შემდეგ, სულხანი მაგიდაზე ტოვებს, დეას მდგმურს, ლონდას ჩაუვარდება ხელში. ის ამ ამბავს სასწრაფოდ, გიგოლას შეატყობინებს. გიგოლა სულხანს ხელწერილის დაწერას აიძულებს: ყოფილი ცოლის ნაანდერძევ ქონებაზე უარს ნებაყოფლობით ვამბობო. შემდეგ, გიგოლა ამაყად აუფრიალებს მამის ხელწერილს დეას, რომელიც მომხდარით აღშფოთდება. მაშინ გიგოლა საქმეში თემოს ფაქტორს მოიშველიებს: ხომ იცი, მამაშენს ისედაც ემუქრებოდა და ანდერძის ამბავს რომ შეიტყობს, მართლა მოკლავსო... შეშინებული დეა გიგოლას შეეხვეწება, თემოს არაფერი გააგებინოო.

იმ ღამით, დეას ძილში დედის მანათობელი აჩრდილი გამოეცხადება და ბალიშზე პატარა, ოქროსფერ გასაღებს დაუდებს. მეორე დილით, ლოგინის ალაგებისას, დეა ზუსტად ასეთ გასაღებს იპოვის და საწოლზე შეშინებული ჩამოჯდება...

უცბად, შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და სახლში ვიღაც შემოვიდა. დეამ მაშინვე გამოიხედა და გაოცებული შედგა: სასტუმრო ოთახში სულხან ავალიანი იდგა.

— მამა, შე-ენ?.. დაკეტილ კარში როგორ შემოხვედი?

— ჩემი გასაღებით გავაღე, — მშვიდად მიუგო სულხანმა.

დეამ ახლაღა შეამჩნია მამის ხელში გასაღები, რომელიც ზუსტად ისეთსავე შავ თასმაზე იყო შებმული, როგორიც წუთის წინ, თავად იპოვა.

— კი, მაგრამ გასაღები ვინღა მოგცა?

— რა მოცემა მინდოდა?! ეს საკეტი ხომ, თავის დროზე, მე თვითონ ჩავაყენე და გასაღებიც იმ დროიდან მაქვს.

— ერთი ეგეთი თასმიანი გასაღები მეც ვიპოვე — უთხრა დეამ და პატარა გასაღები უჩვენა.

— ა-ა... დედაშენმა დაგიტოვა, ხომ?..

— არ დაუტოვებია, ხომ გითხარი — მე თვითონ ვიპოვე-მეთქი... მაინტერესებს, რისია?

— საძინებელში, კედელში ჩაშენებული ტანსაცმლის კარადის სულ ზედა თაროზე — ახალი თეთრეული რომ აწყვია, უკანა კუთხეში პატარა სეიფივით სამალავია და იმისი.

— სამალავი? — გაუკვირდა დეას. — კი, მაგრამ ასეთს მაინც რას მალავდა?

— მართალი გითხრა, არ ვიცი... ერთიორჯერ კი ვკითხე, მაგრამ რაღაც მიკიბ-მოკიბა: დედაჩემის ნაქონი ნივთებია, შენ არ დაგაინტერესებსო, — და მერე მეტი მეც აღარაფერი მიკითხავს.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ და შემდეგ, ისევ სულხანს მიუბრუნდა: — მამა, შენ...

— საქმეზე მოვედი, — გააწყვეტინა სულხანმა.

— ისევ სახლის გაყიდვაზე უნდა მელაპარაკო? — ამოიოხრა დეამ.

— არა, აი, ეს მოგიტანე, — სულხანმა მაგიდაზე, გამჭვირვალე ყდაში ჩასმული, პრიალა ფურცელი დადო.

— ეს რაღაა?

— ელიკოს ანდერძის დედანი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა სულხანმა. — დაგიტოვებ და ამ სახლში აწი, ალბათ აღარ მოვალ...

— კი, მაგრამ ამ ანდერძს მე რა უნდა ვუყო? — შეშფოთდა დეა.

— რაც გაგიხარდება. თუ გინდა, ახლავე დახიე და გადააგდე. პირადად მე, აღარაფერს ვითხოვ.

— კი, მაგრამ როგორ?!. მერე შენ და შენს ცოლ-შვილს რა გეშველებათ?

— ჩვენ ისეთი მაგარი პატრონი გამოგვიჩნდა, რომ ალბათ აღარ დავიკარგებით, —

სევდიანად ჩაილაპარაკა სულხანმა.

— ვინ პატრონი?.. მამა, გეხვეწები, წესიერად გამაგებინე ყველაფერი...

— უჩემოდაც გაიგებ, — მიუგო სულხანმა და ანდერძის ფურცელს ზემოდან გასაღებიც დაადო: — ამის შემდეგ, ალბათ აღარც ეს დამჭირდება... ახლა კი წავალ. დანარჩენი შენ იცი... ჰო, მართლა, — კიდევ ერთხელ მოიხედა უკან, კარში ჩამდგარმა სულხანმა, — ამ დღეებში, იქნებ, თემოც ვინახულო და ყველაფრისთვის ბოდიში მოვუხადო...

სულხანის წასვლის შემდეგ, დეა ერთხანს ჩაფიქრებული იდგა და პატარა გასაღებს ხელში ნერვიულად ათამაშებდა. შემდეგ საძინებელში შევარდა, კარი შიგნიდან გადაკეტა და კარადის კარი ხმაურით გამოაღო. ზემოთა თაროს ვერაფრით შესწვდა, ამიტომ სკამი მიიდგა და თაროზე ფაქიზად დაწყობილი, ახალთახალი თეთრეული პირდაპირ იატაკზე გადმოყარა...

თაროს კუთხეში, მართლაც, აღმოჩნდა პატარა სამალავი. დეამ მას გასაღები სწრაფად მოარგო, თუმცა ერთხანს, საკეტი მაინც ვერაფრით დაიმორჩილა. დეას ნერვიულობისგან უკვე ცახცახი დააწყებინა, მაგრამ უცბად, კარი თითქოს თავისით გაიღო და სამალავიდან ორი მოგრძო კონვერტი გადმოვარდა. დეამ კონვერტებს დახედა და ელენეს ხელი იცნო: ის ერთ წერილს დეას, მეორეს კი — თემოს სწერდა. დეამ მისთვის განკუთვნილი კონვერტი მაშინვე გახსნა, წერილი ამოიღო და ლამაზად გამოყვანილ ასოებს ხარბად დააშტერდა.

„დეა, ჩემო სიცოცხლევ, — სწერდა ელენე შვილს, — რადგან შენ ამ წერილს კითხულობ, მე უკვე ამქვეყნად აღარა ვარ. ვიცი, ამ წუთში, შენს გულში რა ცეცხლიც ტრიალებს, მაგრამ მოდი, მაინც გამაგრდი და ეს წერილი ბოლომდე მშვიდად ჩაიკითხე...

დეიკო, დედა, კარგად ვიცი, დედის სიკვდილი რაც არის... ხომ გახსოვს, საწყალ დედაჩემს ხანდახან, ახალი გარდაცვლილივით რომ დავიტირებდი, როგორ მიჯავრდებოდი: ამდენი წელი გავიდა და რით ვეღარ გამოიგლოვეო... ახლა ხომ ხედები, რატომ ვერ გამოვიგლოვე. ახლა ხომ გესმის ჩემი... მაგრამ მაინც უნდა გამაგრდე, შვილო, ზედმეტ მოთქმასა და ვაი-ვიშს არ მოჰყვე... ხომ იცი, მიცვალებულს ცოცხალ ადამიანზე მეტი მიხედვა და პატრონობა სჭირდება. ჩემი ერთადერთი პატრონი და ჭირისუფალი კიდევ, შენა ხარ, ჩემო პატარა გოგო და გეხვეწები, მტერი არ გაახარო...

ახლა კი, საქმესაც მივხედოთ... მამაშენმა ჩემი ანდერძი ალბათ უკვე მოგიტანა, თუ არა და, დღე-დღეზე მოგიტანს. რომ წაიკითხავ, ვიცი, ძალიან გამიბრაზდები, მაგრამ მაინც გთხოვ, განაჩენი ცხელ გულზე არ გამომიტანო...

მამაშენი ჩვენგან ისე წავიდა, რომ საკუთარი ტანსაცმლის გარდა, არაფერი წაუღია. არადა, ყველაფერი, რაც ამ სახლშია, ჩვენ ერთად შევქმენით. კაპიკს კაპიკზე ვადებდით, რომ შენ და თემოს უზრუნველი ცხოვრება გქონოდათ. ვიცი, ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც მისაყვედურებ — ნეტავ, რომელ უზრუნველ ცხოვრებაზე ლაპარაკობ?! მაგრამ რა ვქნათ, თუ დრო მოვიდა ისეთი, რომ მშობლებმა შვილების მომავალი ვერ უზრუნველვყავით?!.

ამ სახლს მამაშენს და თემოს შუაზე ვუყოფ. შენ კი, ჩემო ლამაზო გოგო, მარტო ჩემი სამკაულები გრჩება. სამალავში ხის პაწია კოლოფი დევს და იმაში აწყვია. უბრალო ზიზილ-პიპილოები არ გეგონოს... ხომ გახსოვს, როგორ გეღიმებოდა, ჩემი წერეთლობით რომ მოვიწონებდი ხოლმე თავს?! ჰოდა, ეგ სწორედ წერეთლების საგვარეულო სამკაულებია, ჩემი წინაპრების ნაქონი...

ჩვენს გვარში ვაჟებზე ანდერძით სახლკარი გადადიოდა, ქალიშვილებზე კი — სამკაულები. ჩემს მშობლებს ერთი ვყავდი და ამიტომ, სახლიც მე დამრჩა და სამკაულებიც. ახლა შენ გიტოვებ, შვილო, მშვიდობაში მოიხმარე. კომუნისტების დროს, ასეთ ნივთებს შიშით ვერც კი გამოაჩენდი, შეიძლება, ციხეშიც კი ამოელპე: ეს ყველაფერი საიდანო?!. მაგრამ ახლა, სხვა დროა — გინდა, გაყიდე, გინდა, დააგირავე... მოკლედ, როგორც გული გეტყვის, ისე მოიქეცი...

ერთს კიდევ გთხოვ, ჩემო ანგელოზო — თემო არ მიმიტოვო, ბოლომდე უპატრონე. მეშინია, სულ მთლად არ დამეღუპოს. შენ ვერ გიმხელდი, თორემ, მისი ნარკომანობის ამბავი კარგა ხანია, რაც ვიცი. დედის თვალს აბა, რა გამოეპარება?! ისიც გავიგე, ციხეში მაგ საშინელებით ვინ ამარაგებს... მაგ კაცს განსაკუთრებით უფრთხილდი, შვილო, სათოფეზე არ გაიკარო...“

დეას თვალები ცრემლებით აევსო და კითხვა ვეღარ გააგრძელა, ამიტომ წერილი გულზე მიიკრა, სკამიდან ჩამოხტა, ლოგინზე დაემხო და აქვითინდა. უცბად, საძინებლის კარს გარედან ვიღაც გამეტებით მოაწვა, შემდეგ სახელური რამდენჯერმე აქეთ-იქით უშედეგოდ გადაატრიალა და ლონდას მკივანა ხმაც გაისმა:

— დეა, გოგო, მანდა ხარ?

— ჰო, აქა ვარ, რა იყო? — უკმაყოფილოდ გასძახა დეამ და საწოლზე წამოჯდა.

— ნეტავ, რას ჩაკეტილხარ?!. გამიღე ერთი, რაღაც უნდა გითხრა...

— ეგ „რაღაც“ ცოტას ვერ მოიცდის?

— ვერა.

— კარგი, ახლავე, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა დეამ, შემდეგ ლოგინიდან წამოდგა, იატაკზე დაყრილი თეთრეული სასწრაფოდ ისევ კარადაში შეყარა, წერილები და გასაღებიც თან მიაყოლა, კარადის კარი გარედან გასაღებით ჩაკეტა და ლონდა მხოლოდ ამის შემდეგ შემოუშვა.

ოთახში ქარაშოტივით შემოჭრილმა ლონდამ აქეთ-იქით ეჭვიანად მიიხედ-მოიხედა:

— რას შვრები? ვინმეს ხომ არ მალავ?

— კი, საწოლის ქვეშაა... — სახე მოეღუშა დეას. — კიდევ რა გაინტერესებს?

— გეხუმრე, გოგო, რა იყო?.. — დეას სახის გამომეტყველების დანახვისთანავე, უკან დაიხია ლონდამ. — უბრალოდ, ხვალ დილით, ქეთუშა ისევ სოფელში მიმყავს და გადამეკიდა, დეა დეიდას აუცილებლად უნდა დავემშვიდობოო...

— კი, მაგრამ ან ჩამოყვანა რა იყო და ან წაყვანა?! — გაუკვირდა დეას.

— რა ვქნა, დეიკო, მე მარტო ამ ბავშვის მომვლელი არა ვარ, რა...

— აბა, სულ დედაშენთან უნდა გყავდეს? არ გეცოდება მაინც?.. უდედოდ ჩემი მტერი გაიზარდოს...

— რატომ მარტო უდედოდ? უდედმამოდ... მამა ქეთუშას საერთოდ არ უნახავს...

— მით უმეტეს, უნდა შეიცოდო. დედა ხარ, ბოლოს და ბოლოს...

— კაი, რა, დეიკო, რა ელიჩკა დეიდასავით მომდექი... შენ გგონია, ჩემთვის კი ადვილია ეს ყველაფერი?.. გული გახეთქვაზე მაქვს...

— შენი საქმისა შენ იცი, — მხრები აიჩეჩა დეამ. — ბავშვი სად არის? ეზოშია?..

— ჰო... თამაშობს... ციცოს „ბუდკაში“ ნაირ-ნაირი ნამცხვარი ვუყიდე, მაგრამ უშენოდ პირი არ დააკარა. წავალ, შემოვიყვან და ჩაი დავლიოთ...

გვიან ღამით, დეამ, ქადაგად დავარდნილი ლონდა და მისი, სანახევროდ მძინარე შვილი, როგორც იქნა, დასაძინებლად გაისტუმრა და თავად ისევ საძინებელში შეიკეტა.

ჯერ დედის წერილი გადაიკითხა რამდენჯერმე, შემდეგ თემოსთვის განკუთვნილი კონვერტიც აიღო და ხელში ინტერესით შეათამაშა, მაგრამ ბოლო წუთს, სხვისი წერილის წაკითხვა მაინც გადაიფიქრა... ამის შემდეგ, ხის პატარა კოლოფის ჯერიც დადგა. დეამ კოლოფი სამალავიდან ფრთხილად გამოიღო, სკამიდან ჩამოხტა, საწოლზე ჩამოჯდა, კოლოფს სახურავი ნელ-ნელა ახადა და თვალებს არ დაუჯერა: კოლოფი ვერცხლისა და ოქროს სამკაულებით იყო სავსე. დეა ამ ყველაფერს ერთხანს გაოგნებული დაშტერებოდა, შემდეგ, როგორც იქნა, გაბედა და ერთი ბეჭედი, რომელიც სულ ზემოდან იდო, ფრთხილად აიღო და თითზე კიდევ უფრო ფრთხილად წამოიცვა. ბეჭედში ჩასმული ძვირფასი ქვის ელვარებამ მაშ-

ინვე თვალი მოსჭრა. დამფრთხალმა დეამ ბეჭედი სასწრაფოდ კოლოფში ჩააბრუნა, თავი დაახურა და გვერდზე გადადო, თავად კი ფეხზე წამოხტა და ოთახში ნერვიულ სიარულს მოჰყვა.

— დედა, დედიკო... — ციებიანივით ჩურჩულებდა დეა და თან, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, — ამდენი ქონების პატრონმა თავი უპატრონობით როგორ მოიკალი?.. ერთი ბეჭედიც რომ გაგვეყიდა და ნორმალური ექიმი დროზე მოგვეყვანა, იქნებ, დღესაც ცოცხალი მყოლოდი?!. რატომ დამღუპე, რატომ?!. უშენოდ ეს ყველაფერი რაღად მინდა?!. რა თავში ვიხლი?!.

მეორე დღეს, დეა ფეხზე ადრიანად წამოდგა. ლონდა და მისი ქალიშვილი სოფელში გაისტუმრა თუ არა, თავადაც მაშინვე გაემზადა და თემოს სანახავად ციხეში გასწია.

წვერმოშვებული და მოღუშული თემო, დეას ვეღარაფრით უსწორებდა თვალს და თავჩაღუნული, შეთქმულივით ჩურჩულებდა:

— ჯერ აქ რა მოგარბენინებდა?.. ცოტა მაინც ვერ მოიცადე?..

— რომ არ მენახე, ალბათ გული გამისკდებოდა, — ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა დეას.

— მერე, ციხე რა გულის გასამთელებელი ადგილი ნახე?! — ისევ აჩურჩულდა თემო.

— წერილი მოგიტანე, — თავადაც თითქმის ჩურჩულზე გადავიდა დეა.

— რა წერილი?.. ვინ გამომიგზავნა?

— დედამ.

— ვი-ინ? — ჩასისხლიანებული თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოსცვივდა თემოს.

— დედამ-მეთქი... ადრე დაუწერია, მაგრამ მე მხოლოდ ახლა ვნახე, — მოგრძო კონვერტი გაუწოდა დეამ ძმას.

— რაო? რას წერს?.. — კონვერტი ხელის კანკალით ჩამოართვა თემომ.

— აბა, მე რა ვიცი?.. მე მარტო ჩემი წერილი წავიკითხე...

— შენსაში რა ეწერა?..

— ისეთი არაფერი... თავს გაუფრთხილდიო, მტერი არ გაახაროო... თემოს მიმიხედეო... როგორც სიცოცხლეში მარიგებდა ხოლმე...

თემომ წერილი გაშალა, სტრიქონებს ფეთიანივით გადაურბინა და ისედაც მოქცეული სახე კიდევ უფრო მოექცა. დეა ძმას დაძაბული შესცქეროდა.

— რაო?.. შენც იმავეს გწერს, ხომ?.. — რამდენადაც შეეძლო, მაინც მშვიდად ჰკითხა მან შემდეგ.

— დაახლოებით... — სახის ყველა ნაკვთი ერთიანად აუკანკალდა თემოს.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეშინდა დეა.

— არა, — კბილებში უსიამოდ გამოცრა თემომ და ხაფანგში გამომწყვდეული მხეცივით აქეთ-იქით მიმოიხედა. — მამაჩემს თუ ნახავ, გადაეცი, რომ ჩემი წერაა...

— თემო... — დაიწყო დეამ, მაგრამ თემომ აღარ აცალა:

— რა თემო, რა?!. ბავშვობა ხომ გაგვიმწარა, დედა ხომ მოგვიკლა და ახლა, სახლიც უნდა დაგვაწეროს?!. მაგის ბედი, რომ გარეთ არა ვარ, თორემ დედას მოვუტ...

— გაგიჟდი?! — გააწყვეტინა თვალებგაფართოებულმა დეამ. — მამაშენს აგინებ?

— დღეიდან, მე მამა სახელადაც კი აღარ მყავს. შენ კი, რაც გითხარი, მაგ ახვარს ის გადაეცი! — კბილები გაახრჭიალა თემომ, შემდეგ დედის წერილი ჯიბეში ჩაიჭმუჭნა და ფეხზე წამოდგა: — ახლა კი წადი და აქ მოსული აღარ გნახო. თუ რამე დაგჭირდება, გიგოლას დააბარე...

— არც იფიქრო! — ფეხზე წამოიჭრა დეაც. — შენი არ ვიცი და პირადად მე, დედამ, პირველ რიგში, წერილში ის დამიწერა, მაგ კაცისგან თავი რაც შეიძლება შორს დაიჭირეო...

— აბა, ახლავე დაჯექი და კარგად მომისმინე! — ისევ მაგიდას მიუჯდა თემო. — ეგ კაცი რომ არა, ახლა აქ შეიძლება, ჩემი „დუხიც“ აღარ ყოფილიყო... დედაჩემი კი... ერთი უტვინო ქალი ყოფილა და მეტი არაფერი...

— რა თქვი?.. — სკამზე უღონოდ დაეშვა დეა. — გაიმეორე-მეთქი, რა თქვი!

— რაც გაიგონე, — ჩაიღმუვლა თემომ. — სახლი როგორ გაგვიყო, ასე როგორ გაგვიმეტა? მერედა — ვისთვის?! მაგ ახვრისა და მამაძაღლისთვის და მაგის წაკლა ცოლისთვის?.. ჰმ!.. გიგოლას ერიდეთო... გიგოლა სახლს მაინც არ მართმევს... პირიქით, ყველაფერს ძმურად მიყოფს...

— ნარკოტიკებსაც, არა?.. — კბილებში გამოცრა უცბად დედამ.

— რა თქვი?! — სახეზე მიწისფერი დაედო თემოს. — რომელი ნარკოტიკები? ეგ საიდანღა მოთხარე?!.

— რომელი ნარკოტიკები და რომლითაც შენ და მთელ ციხესაც გულუხვად გამარაგებთ, — ჩურჩულზე გადავიდა დეა. — იქნებ, მითხრა, ტყუილიაო ან ის დამიმტკიცო, რომ გიგოლა ამასაც უფულოდ აკეთებსო?!.

თემო ეტყობა, საუბრის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა, რადგან თავიდან, აშკარად გაშრა, მაგრამ ბოლოს, მაინც გამოერკვა:

— ყოველ შემთხვევაში, მე ფულს ნაღდად არაფერში მართმევს...

— შენგან ფული რად უნდა?! შენ ფულზე უფრო მნიშვნელოვან რამეს გართმევს. უფრო სწორად — ვინმეს...

— ვერ გავიგე?! — ხელი უცნაურად აიქნია თემომ. — ვის მართმევს?

— ვის და ჩემს თავს!..

— აუ, ჩემი... — თავი ხელებში ჩარგო თემომ. — ეს ვინ არის?!. გოგო, გიგოლასნაირ კაცზე გოგოები დღე და ღამე ოცნებობენ და შენ კიდევ რა ფინთი გოიმივით ვარდები, ვერ გამიგია!

— ვერც გაიგებ! — მიუგო დეამ. — წავედი და ჩემი ფეხი აქ მართლა აღარასოდეს იქნება!

— კარგს იზამ! — დაადევნა თემომ. — წადი და ცოტა აზრზეც მოდი, რა... შენთვისვე აჯობებს...

ლექციებზე წასასვლელად კარგა ხნის წინ გამზადებული დეა, რაღაცის მოლოდინში ფეხს ითრევდა. ბოლოს, ის იყო, ხელი ჩაიქნია და შემოსასვლელი კარი გამოაღო, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. დეა მაშინვე უკან შებრუნდა და ყურმილი აიღო:

— ალო, გისმენთ.

— დეა, ნინო ვარ, — მოისმა ყურმილში „ევრიელის“ რედაქტორის პირადი მდივნის სასიამოვნო ხმა. — რას შვრები, როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები?.. — სევდიანად უპასუხა დეამ.

— რა სახლში ჩაიკეტე? გარეთ გამოსვლას აღარ აპირებ? — დეას უსიცოცხლო ხმის გაგონებისთანავე, შეტევაზე გადავიდა ნინო.

— კი, ვაპირებ... უკვე ლექციებზე მივდიოდი და შენმა ზარმა შემომაბრუნა.

— ჩვენთან როდისღა შემოივლი?

— რა ვიცი... ალბათ ამ დღეებში...

— დღესვე უნდა მოხვიდე... რედაქტორმა მითხრა, სასწრაფოდ მომიძებნეო...

— ხომ არ იცი, რა უნდა? — დაინტერესდა დეა.

— მგონი, რაღაც საკაიფო მივლინებაში გიშვებს... — დაიწყო ნინომ მხიარულად, მაგრამ უცბადვე გაჩერდა: — აგერ, ბატონი მერაბიც მოვიდა და ყველაფერს თავად გეტყვის.

— ალო, დეუშკი, როგორა ხარ? — მოისმა ყურმილში ახალგაზრდული გაზეთის რედაქტორის არანაკლებ ახალგაზრდული ხმა.

— რა ვიცი, ბატონო მერაბ, როგორ ვიქნები... — ისევ სევდიანად უპასუხა დეამ.

— რედაქციაში მოდიხარ?

— არა, ჯერ ლექციებზე ვაპირებდი...

— ლექციები მოიცდის... ოც წუთში აქ გაჩნდი. სერიოზული საქმე მაქვს... პასპორტიც აუცილებლად წამოიღე...

— მაგრამ, ბატონო მერაბ...

— არავითარი „მაგრამ“, გელოდები, — ყურმილი სასწრაფოდ დაუკიდა რედაქტორმა...

დეამ ყურმილი დადო, ერთი ამოიოხრა,

შემდეგ პასპორტი მოძებნა და ლექციების მაგივრად, რედაქციისკენ გასწია. გზაში იმაზე ფიქრობდა, მივლინებაზე უარი როგორ ეთქვა, რადგან ახლა სადმე წასვლას სიკვდილი ერჩივნა, მაგრამ რედაქტორმა მისი არც ერთი არგუმენტი არ შეისმინა:

— რას ამბობ?!. რა დროს ეგაა?! — ხელებს პატარა ბიჭივით იფშვნეტდა ბატონი მერაბი და თან, ოთახში მიდი-მოდიოდა. — შენ დღეს, მოსკოვში უკაპიკოდ წასვლას ეხუმრები?!. ყველაფერს მასპინძლები იხდიან... ამისთანა მივლინების ჩაგდება იქნება?!

— მაშინ, იქნებ, სხვა ვინმე გაგეშვათ?.. — წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა დეა.

— გადამრევს ეს ბავშვი! — ოთახში ახლა უკვე ნერვიულად გაიარ-გამოიარა ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა რედაქტორმა. — ნეტავ, შეიძლებოდეს, მე თვითონ წავსულიყავი, მაგრამ მოსაწვევი შენს სახელზეა მოსული. იმ კაცთან ინტერვიუ ხომ შენ გააკეთე და თავისი ფირმის პრეზენტაციაზეც შენ მიგიწვია... მოიცა — ერთი მითხარი, რამდენი წლის ხარ? — მიუბრუნდა უცბად ის დეას.

— მალე ოცდაორის გავხდები, — დაიბნა დეა. — რატომ მეკითხებით?

— ოცდაორისო?.. და მგონი, ჯერ თბილისს არც გასცილებიხარ, ხომ?

— თბილისს როგორ არ გავცილებულვარ, მაგრამ მოსკოვში ნამდვილად არ ვყოფილვარ...

— ჰოდა, წადი, შვილო, თვალი გაახილე... გული გადააყოლე, ქვეყანა ნახე... შენხელას, უკვე ნახევარი საბჭოთა კავშირი მქონდა მოვლილი...

— ახლა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და...

— მოსკოვი ხომ არ გადაუტანიათ? — გააწყვეტინა რედაქტორმა. — ჰოდა, გაემზადე!.. შენს დეკანს კი, მე დავურეკავ და ყველაფერზე მოველაპარაკები... აგერ მოსაწვევი. გადი ახლა ნინოსთან და დანარჩენს ის მოგიგვარებს. მე კი, ნუღარ მაცდენ, ათასი სხვა საქმე მაქვს... ჰო, მართლა, — დაადევნა მან ბოლოს, — წასვლამდე, ჩემთან მოთათბირება არ დაგავიწყდეს, მართლა სასეირნოდ კი არ გიშვებ — დავალებები უნდა მოგცე...

დეამ ერთი ამოიოხრა და თავისი ყოფილი რესპონდენტის — მოსკოვში მცხოვრები, ცნობილი ქართველი ბიზნესმენის გამოგზავნილი მოსაწვევი ჩანთაში უხმოდ შეინახა.

შინ დაბრუნებულმა დეამ ტანსაცმლის გამოცვლა ძლივს მოასწრო, რომ შემოსასვლელ კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. დეამ კარი დაუფიქრებლად გამოაღო და შიშით უკან დაიხია: ზღურბლზე მოღიმარი გიგოლა იდგა.

— შეიძლება? — აგდებულად იკითხა მან და სანამ დეა პასუხის გასაცემად პირს დააღებდა, შიგნითაც შეალაჯა და პირდაპირ სასტუმრო ოთახისკენ გასწია.

დამფრთხალი დეა, გიგოლას პატარა ბავშვივით მიჰყვა. გიგოლა კედელთან მდგარ ფართო სავარძელში ჩაეშვა და ფეხი ფეხზე გადაიდო, დეამ კი, მაგიდასთან მიდგმული ერთ-ერთი სკამი გამოსწია და ჩამოჯდა. გიგოლამ ჩიტივით მობუზული ქალიშვილი ერთხანს, თვალით ზომა და შემდეგ დაიწყო:

— ძალიან მომენატრე...

— რა თქვით? — ხმა აუკანკალდა დეას.

— თქვით კი არა — თქვი!.. — შეუსწორა გიგოლამ. — ხომ შემპირდი, შენობით დაგელაპარაკებიო...

— დიახ, შეგპირდით, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“ — პირობა პირობაა. ხომ გაგიგონია: პირობამ კაცს ცოლი წაართვაო... ჰოდა, ისე, ნეტავ, ქალს რაღას ართმევს ხოლმე პირობა, ჰა?..

— ბატონო გიგოლა!.. — გაკაპასდა დეა.

— „ბატონოს“ გარეშე-მეთქი! — გააწყვეტინა გიგოლამ.

— კარგი, — როგორც იქნა, დათანხმდა დეა. — გიგოლა იყოს... მაშ ასე, გიგოლა! მინდა გაგაფრთხილო, რომ უკბილო ხუმრობების გუნებაზე ნამდვილად არა ვარ!..

— კბილიანის?..

— არც კბილიანის... და საერთოდ...

— კარგი, ჰო, გნებდები! — ორივე ხელი მორჩილად ასწია გიგოლამ. — ცოტას მოგისიყვარულებ და წავალ... დიდხანს ნამდვილად არ შეგაწუხებ...

— დიდხანს ვერც შევწუხდები, ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

— მაინც?.. რა საქმეები გამოგიჩნდა?..

— შენ არ დაგაინტერესებს.

— შენთან დაკავშირებული მე ყველა და ყველაფერი მაინტერესებს...

— ღმერთო, რა დავაშავე?! — თავი ხელებში ჩარგო დეამ.

ცოტა ხნით, ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ, ისევ გიგოლამ დაარღვია:

— რა გაეწყობა? — წავედი... — ფეხზე ნელ-ნელა წამოიმართა. — მაგრამ იცოდე, ხვალ... არა, ხვალ არ მცალია — ზეგ საღამოს, ისევ შემოგივლი...

— არ გამოვა, — თავი ასწია დეამ.

— ვითომ რატომაო?

— იმიტომაო, რომ ზეგ საღამოს, უკვე მოსკოვში ვიქნები...

— მოსკოვში რაღა გინდა?!. — თვალები დაჭყიტა გიგოლამ.

— რედაქციიდან მივლინებაში მიშვებენ.

— რომელი რედაქციიდან?

— აბა, ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?!

— ბილეთი უკვე აიღე?

— ბილეთიც ავიღე და მივლინებაც, ყველა წესისა და რიგის მიხედვით გავაფორმე.

— მაჩვენე!

— რა გაჩვენო? — უცბად ვერ მიუხვდა დეა.

— ბილეთი!

— რა? ისე არ მიჯერებ?..

— მაინც მაჩვენე! — არ მოეშვა გიგოლა.

— კი, ბატონო! — დეამ ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, შემდეგ ტახტზე მიგდებულ ჩანთას დასწვდა და წუთში, გიგოლას ცხვირწინ თვითმფრინავის ბილეთი აუფრიალა.

გიგოლამ ბილეთი გულმოდგინედ დაათვალიერა, შემდეგ ორად მოკეცა და დეას ისე დაუბრუნა:

— ყველაფერი გასაგებია. მაშინ აღარ შეგაწუხებ...

— ძალიან დამავალებ... — ენა საბოლოოდ წაიმწარა დეამ.

უკვე კართან მისული გიგოლა უცბად მკვეთრად შემობრუნდა:

— მოსკოვში ვინმე დაგხვდება?

— არა.

— აბა, მარტომ სად უნდა იბორიალო?

— დარდი ნუ გაქვს — არ დავიკარგები.

— კარგი, რამეს მოვიფიქრებ... — მშვიდად მიუგო გიგოლამ და სანამ გაოცებული დეა ჰკითხავდა — მაინც რის მოფიქრებას აპირებო? — კარი საგულდაგულოდ გაიკეტა...

მესამე დღეს, მოსკოვის აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპზე ჩამომავალ დეას უცბად, კინაღამ მუხლები მოეკვეთა: ტრაპის წინ ეშმაკურად მოღიმარი გიგოლა იდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კირსტენ დანსტი დაოჯახების პასუხისმგებლობას ვერ კისრულობს

კირსტენ დანსტი 1982 წლის 30 აპრილს ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ პოინტ-პლეზანტში დაიბადა. მისი სრული სახელია კირსტენ კეროლინ დანსტი, ხოლო მეტსახელი – კიკი. მამა, კლაუს დანსტი სამედიცინო კომპანიაში მსახურობს. დედა, ინეს დანსტი პროფესიით მხატვარი, სამხატვრო გალერეის დამაარსებელი და მფლობელია. კირსტენს აგრეთვე ჰყავს უმცროსი ძმა, კრისტიანი, რომელიც 1987 წელს არის დაბადებული. ცხრა წლამდე კირსტენი ოჯახთან ერთად პლეზანტში ცხოვრობს. მშობლების განქორწინების შემდეგ, შვილების აღზრდა დედის ხელში გადადის. ისინი სამხრეთ კალიფორნიაში გადადიან საცხოვრებლად, მამა კი ნიუ-ჯერსიში რჩება სამუშაოდ და შვილების სანახავად თვეში ორჯერ ახერხებს ჩასვლას.

სამი წლის ასაკში კირსტენი ხდება კომპანია „ფორდის“ მოდელი. ასევე იწყებს სხვა კომპანიებთანაც თანამშრომლობას. მისი მონაწილეობით 70-ზე მეტი სარეკლამო რგოლი არსებობს. დანსტის საქმიანობა სარეკლამო ბიზნესში დღემდე გრძელდება...

კინოში გოგონას დებიუტი 1989 წელს შედგა. ეკრანებზე იგი პირველად ვუდი ალენის ფილმ „ნიუიორკის ამბებში“ გამოჩნდა. მალე ოჯახი ლოს-ანჯელესში გადადის, სადაც დანსტის სამსახიობო კარიერა საოცარი ტემპით ვითარდება. 1990 წელს, მას უკვე ცნობილ ტომ ჰენკსთან ერთად „პატივმოყვარეობის კოცონში“ იღებენ, სადაც კირსტენი მისი ქალიშვილის როლს ასრულებს.

1993 წელს, 11 წლის მსახიობს სთავაზობენ როლს ფილმში „ინტერვიუ ვამპირთან“. რეჟისორმა ნილ ჯორდანმა დანსტი 5000 პრეტენდენტს შორის ამოარჩია. მისი პარტნიორები გახდნენ ბრედ პიტი და ტომ კრუზი. როგორ კირსტენმა აღიარა, გადაღებებისას ყველაზე მეტად ბრედ პიტთან კოცნის სცენა არ მოეწონა. სამაგიეროდ, აღფრთოვანებული იყო იმ კადრებით, სადაც მას ვამპირის ეშვები უნდა გამოეჩინა.

1994 წელს კირსტენს ამ ნამუშევრისთვის რამდენიმე ჯილდო მიენიჭა. ხოლო კრუზმა მისი მუშაობა ასე შეაფასა: „ჩვენ გაგვაოგნა მისმა სამსახიობო მოწიფულობამ. გეგონებოდათ, მოზარდ გოგონას 35 წლის მსახიობის გამოცდილება ჰქონდა“.

შემდეგ მოდის ფილმი „პატარა ქალბატონები“. მასში განსახიერებულმა ემილ კირსტენი ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობ ქალად აქცია. დანსტი უდავოდ იღბლიანია, ვინაიდან მან ჰოლივუდის მრავალ ვარსკვლავს გაუწია პარტნიორობა. 1995 წელს ითამაშა პოპულარულ რობინ უილიამსთან ფილმში „ჯუმანჯი“, 1997-ში კი, სურათში „ძაღლის კუდი ქიცინებს“, რობერტ დე ნიროსთან ერთად შეასრუ-

ლა პატარა როლი. 1998 წელს მაყურებელმა იგი იხილა „ჯარისკაცებში“. დანსტი გადაღებულია აგრეთვე კომედიური ჟანრის ფილმში. მისი ნამუშევრები მხოლოდ ეკრანული როლებით როდი შემოიფარგლება. მან გაახმოვანა ანასტასია ამავე სახელწოდების მულტფილმში, ითამაშა სხვადასხვა ტელესერიალის რამდენიმე ეპიზოდურ როლშიც, მათ შორის – „სასწრაფოში“...

1999 წელი ახალგაზრდა მსახიობისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. სწორედ ამ წელს იწყებს იგი კინოში არაბავშვური როლების შესრულებას. დანსტის შემოქმედების ყველაზე დიდ მიღწევად „ქალწულ-თვითმკვლელებში“ შესრულებული ლუქს ლისბონის როლს მიიჩნევენ (რეჟ. სოფი კოპოლა).

2000 წლის ივნისში კირსტენი ამთავრებს Notre Dame High School-ს ლოს-ანჯელესში, მაგრამ მისი საქმიანობის ტემპი სრულებით არ შემცირებულა. პირიქით, მარტო 2000 წლის მანძილზე, კირსტენი 7 ფილმში გადაიღეს. გარდა ამისა, გადაღებებს დედასთან ერთად კერძო პროდიუსერულ კომპანიაში – Wooden Spoon Production-ში მუშაობასაც უთავსებს. სულ ახლახან, ეკრანზე გამოვიდა სურათი „შეშლილი და ლამაზი“, სადაც ის მეამბოხე მოზარდს ასახიერებს, რომელიც მიდრეკილია თვითგანადგურებისკენ. ფილმში – „სიყვარულის ვირუსი“ (2001) კი, კირსტენი პირველად ამღერდა ეკრანიდან, როცა სიმღერა – Dream of me შეასრულა. ის ასევე გადაიღეს ვიდეოკლიპში ავსტრიულ პოპ-ჯგუფთან – Savage Garden-თან ერთად.

თუ მივუბრუნდებით მის ბავშვობას, მიუხედავად იმისა, რომ კირსტენი სამი

წლიდან გადაღებებით იყო დაკავებული, ის ძალიან კარგად სწავლობდა; მისი საყვარელი საგნები იყო: ისტორია და ინგლისური ენა. არც მავნე ჩვევები ახასიათებდა, იგი არასოდეს კამათობდა მშობლებთან და საშინაო საქმეებსაც შესანიშნავად ართმევდა თავს; ყოველთვის იზიდავდა კინო და ბავშვობიდან იყო დაჯილდოებული სამსახიობო ნიჭით.

დანსტის პირად ცხოვრებაში უკვე იყო რამდენიმე მეგობარი ბიჭი. ერთ დროს იგი ხვდებოდა ჯეკ ჰოფმანს (დასტინ ჰოფმანის ვაჟი), სპორტსმენ კობ ბრაიანტს და მსახიობ ბენ ფოსტერს. ჟურნალ People-ის გამოკითხვის შედეგად, კირსტენი მსოფლიოს 50 ყველაზე ლამაზ ადამიანთა სიაში შევიდა. მართალია, ეს 1995 წელს იყო, მაგრამ ის არც ახლა გამოიყურება ურიგოდ. გარეგნობაზე მეტად, მსახიობი ახალგაზრდობისთვის შესაფერისი, ზუსტი და ენაკვიმატი გამონათქვამებით იპყრობს გარშემომყოფთა ყურადღებას. მაგალითად: „მოზარდის ასაკი – ეს ერთგვარი გამოცდაა, რომელიც განაპირობებს, თუ ვინ იქნები მომავალში“ ან – „ფილმები მოზარდებზე ასე უხვად იმიტომ არსებობს, რომ მათი წარმოება იაფი ჯდება, მათი უმრავლესობა

კი, სრული სისულელეა“.

ჰოლივუდის მიერ კირსტენ დანსტის თაობა ასე მოინათლა – „ასაკისათვის შეუფერებლად ჭკვიანი მოზარდები“. ამ კომპანიაში მასთან ერთად მოიაზრებიან: ქრისტინა რიჩი, კლერ დეინსი და ნატალი პორტმანი. ამერიკის დღევანდელი საზოგადოება სწორედ ასეთ მოზარდებზე ამყარებს იმედებს.

კირსტენ დანსტის გეგმები კინოსთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი გულგრილი არ არის ჰოლივუდის მსახიობ ჯეიკ ვილენჰელის მიმართ, რომელიც იმდენად არის შეყვარებული კირსტენზე, რომ ცოლობაც კი სთხოვა. დანსტმა იგი უარით გაისტუმრა. 21 წლის „ადამიანი ობობას“ ვარსკვლავის განმარტებით, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ ამგვარი პასუხისმგებლობით შეიზღუდოს თავი. ამ ეტაპზე, მას კარიერა უფრო აინტერესებს. მალე დანსტს იხილავენ ახალ ფილმში – „თავქარიანობა“, შემდეგ კი, ჯულია რობერტსთან ერთად, კიდევ ერთ ახალ ფილმში – „მონა ლიზას ღიმილი“.

კირსტენ დანსტი თავის შემოქმედების მანძილზე მრავალ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. მას ბევრი ჯილდოც აქვს მიღებული. ■



ლოპესი „ლაციოს“ ემუქრება



არგენტინის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა, კლაუდიო ლოპესმა რომის „ლაციოს“ ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა. მასში ნათქვამია, რომ თუ კლუბი 17 ივნისამდე ფეხბურთელს ვალს – 1 მილიონ ევროს არ გადაუხდის, მაშინ ლოპესი კონტრაქტის ცალმხრივად დარღვევისა და ახალი კლუბის მოძებნის უფლებას იტოვებს. ასეთ შემთხვევაში კი, „ლაციო“ ლოპესისათვის კომპენსაციას ვერ მიიღებს. გაცნობებთ, რომ არგენტინელ ვარსკვლავს რომაულ კლუბში ამჟამად არსებული ფინანსური კრიზისის გამო უკვე ხუთი თვეა, რაც ხელფასი არ მიუღია.

დევიდი ჩვეულ სტიქიაშია

რეპერის ვარცხნილობის დაყენებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, დევიდ ბექჰემმა კვლავ შეიცვალა იმიჯი. ნიუ-იორკის აეროპორტში საზოგადოებამ „მანჩესტერელი“ ვარსკვლავი კვლავ ჩვეულებრივი მამაკაცური ვარცხნილობით იხილა. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ, ბრიტანელმა ნახევარმცველმა მზის აბაზანების მიღებისას იმდენად დაიწვა თმა, რომ იძულებული გახდა (ცოლის დაჟინებული მოთხოვნით), ვარცხნილობა შეეცვალა და სამყაროს რეპერის გარეგნობით მოვლენოდა. დევიდი ამერიკაში MTV Movie Awards-ის ორგანიზატორთა მიწვევით ჩავიდა, რათა გასულ უიქ-ენდზე ლოს-ანჯელესში გამართულ შოუში მიეღო მონაწილეობა. გარდა ამისა, ვიქტორია ადამსის თქმით, მისი ქმარი ფილმში მონაწილეობის მიღებას აპირებს და ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკულ მხარესთან.

რომარიო ბრაზილიაში დაბრუნდა

ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანი, რომარიო კვლავ შეუერთდა „ფლუმინენსეს“, რომლიდანაც წლის დასაწყისში კატარის კლუბ „ალ-საადში“ გადავიდა. 37 წლის ფორვარდი იტალიაში ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომლის პირობის თანახმადაც, მონაწილეობას მიიღებს ნაკრებში თავისი თანაგუნდელის, ალდაირის გამოსათხოვარ მატჩში. „ფლუმინენსესთან“ ერთად ვარჯიშს კი, რომარიო უკვე ივნისში შეუდგება.

ანამ და ენრიკემ როგორც იქნა, იქორწინეს

შაბათს ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი კარიბის ზღვაში მდებარე დომინიკის რესპუბლიკის კუთვნილ ერთ-ერთ კუნძულზე მზის ჩასვლის მომენტში ოფიციალურად შეუღლდნენ. პირველად, იგლესიასი და კურნიკოვა ერთად გასული წლის თებერვალში შენიშნეს. მაშინ პოპისა და ჩოგბურთის ვარსკვლავები ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი ურთიერთობის დამალვას. საგულისხმოა ის, რომ მაშინ თავისი ვაჟიშვილის ახალი გატაცების შესახებ უკმაყოფილება გამოთქვა ენრიკეს მამამ, ხულიო იგლესიასმა, რომელმაც ამჟამადაც უარი განაცხადა საქორწინო ცერემონიაზე დასწრებაზე. არადა ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბარსელონაში MTV Music Awards-ის შოუზე ყოფნისას მათ შორის მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, ენრიკესა და ანას შორის რომანს წერტილი დაესვა. მათი ურთიერთობის შესახებ კი, მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც საზოგადოებამ Escape-ს ცნობილი ვიდეოკლიპი იხილა, რომელშიც ვარსკვლავები ვნებიანად კოცნიან ერთმანეთს. სხვათა შორის, ცნობილია ისიც, რომ ამ გახმაურებულ სცენას ტუალეტში მთელი სამი საათის განმავლობაში იღებდნენ. ბოლოს ანამ და ენრიკემ გასული შობის წინ იჩხუბეს, მაგრამ შემდეგ ისევ შერიგდნენ და როგორც ჩანს, ცხოვრების თავიდან დაწყებას აპირებენ. ■

თამმაქოს, კორტემზეც შეუტიეს

საჩოგბურთო ტურნირის „როლან გაროსის“ ისტორიაში პირველად, მისი მსვლელობისას სიგარეტის გაყიდვა აკრძალეს. ამით ორგანიზატორები შეეცადნენ, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგათ ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. „ტურნირზე თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო ფედერალური კანონი მოქმედებს, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შემოიღეს, თუმცა არასოდეს მკაცრად არ იცავდნენ“, – განაცხადა საფრანგეთის საჩოგბურთო ფედერაციის პრეზიდენტმა, კრისტიან ბინმა. ამასთან დაკავშირებით კორტებიდან მოხსნეს კომპანია „ფილიპ მორისის“ სარეკლამო აბრები, ხოლო თამბაქოს მოყვარულ ადგილობრივ გულშემატკივრებს კანონის დარღვევის შემთხვევაში მკაცრი სასჯელით დაემუქრნენ. თამბაქოსთან ბრძოლამ სპორტული სამყარო რამდენიმე წლის წინ მოიცვა. განსაკუთრებით ხმაურიანი აღმოჩნდა „ფორმულა-1“-ის რბოლების ხელმძღვანელობისა და თამბაქოს მწარმოებელი კომპანიების დაპირისპირება („სამეფო რბოლების“ მესვეურებიც თანდათან კრძალავენ სიგარეტის რეკლამირებას ტურნირებზე). ხანდახან თამბაქოსთან ბრძოლა აბსურდამდეც მიდის. მაგალითად, შარშან დეკემბერში ზოგიერთ ქვეყანაში სიგარეტის მწარმოებელ კომპანიებს კოლოფებზე Lights-ის და mild-ის დაწერა აუკრძალეს. ამერიკელმა ორმა კონგრესმენმა და სენატორმა კი, მოითხოვეს რომ ხანძრის გაჩენისათვის უხიფათო სიგარეტის წარმოება დაწყებულიყო. უფრო შორს წავიდა ესტონეთის ხელმძღვანელობა, რომელმაც მოწევა ფეხმძიმე ქალებს აუკრძალა და „ნაყოფისათვის რაიმე გზით ზიანის მიყენებისათვის“ ფულადი ჯარიმა ან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა დააწესა. ■



ბრიტანელ ბრიტანებს ბრძოლისგან სამხედრო ეკედლე





Maserati-ს მსუბუქი მაჯიანი

იტალიური ფირმა Maserati ე.წ. პრიმა-კლასის პრესტიჟული სპორტული ავტომობილების მწარმოებელთა ვიწრო წრეში შედის. ამჟამად კომპანია ორ ასეთ მოდელს – Coupe და Spyder-ს აწარმოებს. მაგრამ წლის დამლევისთვის, მათ შეემატება პრესტიჟული სედანი, რომლის დიზაინი შემუშავებულია ძარების სახელგანთქმულ ატელიეში – Pininfarina. ახალი მოდელის პრემიერა შემოდგომისთვის დაგეგმილ ფრანკფურტის ავტოსალონზე გაიმართება. მანამდე კი, Maserati-მ Coupe-სა და Spyder-ის სამოდელო რიგის განახლება გადაწყვიტა. ახლა, ორივე მანქანის წინა ფრთებზე გამოსახულია ემბლემა V8; შეიცვალა უკანა მაშუქების ფორმა. გარდა ამისა, ეს ავტომობილები აღიჭურვა მასტაბილიზებელი ელექტრონული სისტემით MSP (Maserati Stability Program). მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მძღოლს დამოუკიდებლად შეუძლია აირჩიოს რეჟიმი – სპორტული ან ჩვეულებრივი. შესაძლებელია აგრეთვე, რომ MSP საერთოდ გამოირთოს. 2003 წლის გამოშვების Maserati ახალი საბურავებითაც აღიჭურვა, რომელიც მოსახვევში გავლისას მეტი მდგრადობით გამოირჩევა. Spyder-ზე ახლა, გამათბობლით აღჭურვილი უკანა მინაცაა დაყენებული. განახლდა მანქანის სალონიც: იატაკზე დაგებულია ძვირად ღირებული ნოხები, კარის პანელები დახვეწილი დიზაინითაა შესრულებული.

ძრავების სფეროში ბევრი არაფერი შეცვლილა: ორივე მანქანა უწინდებურად, 4,2 ლ სამუშაო მოცულობის, 8-ცილინდრიანი აგრეგატით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრე 390 ცხ.ძ-ს აღწევს. ის 285 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს განავითარებს. Coupe-ს და Spyder-ს 6-საფეხურიანი, ავტომატურ ან მექანიკურ გადაცემათა კოლოფი აქვს. ბევრი სხვა იტალიური ფირმისაგან განსხვავებით, რომელიც კარგი რეალიზაციით ვერ დაიკვეხნის, Maserati თავის პროდუქციაზე მოთხოვნის ნაკლებობას არ უჩივის. შარშან, ამ შედარებით მომცრო კომპანიამ 3300 ავტომობილის რეალიზება მოახერხა, ამასთან, 900, ფირმისთვის ტრადიციულად რთულ – ჩრდილოამერიკულ ბაზარზე გაიყიდა. Maserati ევროპის ქვეყნებშიც წარმატებულ ექსპორტს ახორციელებს: მხოლოდ გერმანიაში შარშან, ამ მარკის მანქანაზე 520-მა ავტომოყვარულმა შეაჩერა თავისი არჩევანი. სპეციალისტთა აზრით, Maserati-ს ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ უკვე 3,5 წლის მანძილზე, ის, როგორც შვილობილი ფირმა, Ferrari-ს სტრუქტურაში შედის და სახელგანთქმული ბრენდის წყალობითაც სარგებლობს დიდი პოპულარობით. ■

სხეულით

მოდელი Toyota Avensis ყველაზე უსაფრთხო ავტომობილადაა აღიარებული – ასეთია EuroNCAP (European New Car Assessment Program) მიერ ჩატარებული კრეშ-ტესტის შედეგი. იაპონურმა ავტომობილმა 36 შესაძლებლიდან 34 ქულა დააგროვა და 5 ვარსკვლავი მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს საუკეთესო შედეგია კრეშ-ტესტების მთელ 6-წლიან ისტორიაში. როგორც EuroNCAP-ის თავმჯდომარემ მაქს მოსლიმ განაცხადა, Avensis-ის წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს უკანასკნელი ტესტი გამკაცრებული კრიტერიუმებით ჩატარდა. მაგალითად,

ჯიპური ყველგანმავლები ევროპაში

კორეული კომპანია Sangyong, რომელიც კლასიკური ტიპის ყველგანმავლებს აწარმოებს, ცდილობს, უფრო შესამჩნევი ადგილი დაიმკვიდროს ევროპის ავტობაზარზე. თებერვალში, მან გერმანიაში რეგისტრაციაში გაატარა სარეალიზაციო ფირმა და ინტენსიურად არჩევს დილერებს. ეს კორეული კომპანიისთვის გერმანიაში დამკვიდრების პირველი ცდა როდია. ადრე, ანალოგიური ნაბიჯები მან შვიდიოდე წლის წინ გადადგა, როცა 5 ათასი მანქანის გაყიდვაც მოახერხა. მაგრამ მისი ექსპანსია, აზიაში მომხდარმა კრიზისმა და Sangyong-ის მაშინდელი მფლობელის – კომპანია Daewoo-ს გაკოტრებამ შეწყვიტა.

სათავო კონცერნის რესტრუქტურიზაციის შემდეგ, ყველგანმავლების მწარმოებელი კვლავ დამოუკიდებელ კომპანიად იქცა. ამჟამად, Sangyong-ს ამ კლასის ავტომობილებში კორეული ბაზრის 41% უკავია. შარშან კომპანიამ 157 ათასი მანქანა გაყიდა.

მისი სამოდელო რიგი ჯერჯერობით, 2 ნიმუშით შემოიფარგლება – Korando-სა და Musso-თი. პირველ მათგანს, ევროპელ მომხმარებელს 20.990 ევროდ, ხოლო მეორეს – 25.290 ევროდ სთავაზობენ. ცოტა ხანში, მათ შეემატება Rexton, რომლის დიზაინი, ძარების ცნობილ იტალიურ ფირმაში – Giugiaro-ში შემუშავდა. საგაისოდ, სამოდელო რიგი სრულამძრავიანი ვენითაც გამდიდრდება. საინტერესოა, რომ Sangyong, Mercedes-Benz-ის ლიცენზიით გამოშვებული ძრავებით აღიჭურვება. მაგალითად, Rexton-ს 2,9 ლ მოცულობისა და 120 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელს ან 6-ცილინდრიან, 3,2 ლ-იან 220 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატს ჩაუდგამენ.

კორეულ ყველგანმავლებს ევროპულ ბაზარზე კარგი გასაღების შანსი აქვს, რადგან ისინი საკმაოდ ხარისხიანი და ამავე დროს, შედარებით იაფფასიანია. ამ მანქანების ყველაზე სუსტი მხარე, მოძველებული გარეგნული იერია. ■

უსაფრთხო Avensis

ახლა, მისი ჩატარებისას, პედლებისა და აკუმულატორების ტრავმულ უსაფრთხოებასაც ითვალისწინებდნენ.

5 ვარსკვლავი (33 ქულით) წილად ხვდა აგრეთვე ვენს – Peugeot 807-ს, რომელიც ავტომატურად გადადის მის „ტყუპის ცალებზე“ – Faiat Ulyss-ზე Lancia Phedra-სა და Citroen C8-ზე, რომლებსაც საფრანგეთში აწარმოებენ.

EuroNCAP-ის ტესტები 1997 წლიდან ტარდება. მისი ინიციატორები იყვნენ ევროპის კავშირი და საერთაშორისო საავტომობილო ასოციაცია (FIA). აქამდე, 5 ვარსკვლავი წილად ხვდომია E კლასის Mercedes-სა და Renault-ის ორ მოდელს – Laguna-სა და Megane-ს. საინტერესოა, რომ ნომინაციაში – ფეხით მოსიარულეებზე დაჯახებისას მიყენებული მინიმალური ტრავმები – Honda-ს ორმა მოდელმა – Civic-მა და Stream-მა გაიმარჯვა. ■

კუნთების დასაყენებლად ბოდიბილდინგს 82 წლის ქალიც მისდევს


ნიკა ამაშუკელი

ლამაზი სხეული და ათლეტური აღნაგობა ყველა ქალის და მამაკაცის ოცნებაა, რაც რეალური ხდება სხეულის კორექციით. ზაფხულში, როცა ზღვის სანაპიროზე უამრავი ადამიანი ისვენებს, განსაკუთრებული წარმატებით სწორედ ის მამაკაცები სარგებლობენ, რომლებსაც განვითარებული კუნთები აქვთ. კუნთები კი ვარჯიშითა და ფიზიკური დატვირთვის შედეგად იზრდება. თბილისში უკვე არსებობს ბოდიბილდინგის ფედერაცია. ეი. არიან პროფესიონალები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანებს იმაში, რომ სხეული კუნთებით დაიმშვენონ. გვესაუბრება ბოდიბილდინგის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკა ამაშუკელი:

ლელა ჭანკოტაძე

— „ბოდიბილდინგი“ ინგლისური სიტყვაა და ტანის აგებას, აშენებას ნიშნავს. მსოფლიოში უამრავი ადამიანია ამ სპორტით დაკავებული. მათი ძირითადადი მიზანი სხეულის კორექციაა. ნებისმიერ მსურველს 13-14 წლის ასაკიდან შეუძლია დაიწყოს ვარჯიში და საოცარ შედეგს მიაღწიოს. ისეთი ასაკი, როცა ვარჯიში აღარ შეიძლება, არ არსებობს. იყო დრო, როცა ეს სპორტი იკრძალებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოდიბილდინგი პოპულარული გახდა, როგორც რუსეთში, ასევე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. ჩვენი ფედერაცია 1999 წელს ჩამოყალიბდა. დამფუძნებლები ის ადამიანები არიან, რომლებმაც საქართველოში პირველებმა დაიწყეს ვარჯიში. მათი სურვილით შეიქმნა ფედერაციაც, რათა ქართველ სპორტსმენებს სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობის საშუალება მისცემოდათ.

— რომელიმე ჩემპიონატში თუ მიუღიათ ქართველებს მონაწილეობა?

— უამრავი ტურნირი ტარდება, ბოდიბილდინგი ხომ მსოფლიოში ძალზე პოპულარული სახეობაა, წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები. ჩვენმა ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს. ეს ცუდი შედეგი არ არის.

— შეფასება რა კრიტერიუმებით ხდება?

— კუნთების სიდიდეს იმდენად არა



აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც პროპორციულობას. ე.ი. მთავარია კუნთების სილამაზე და პროპორციულობა. ერთი კუნთი რომ დიდი იყოს და მეორე — პატარა, ეს არ შეიძლება. ასეთ უარყოფით შედეგს ძირითადად, ის ადამიანები აღწევენ, რომლებიც არაპროფესიონალებთან ვარჯიშობენ. საერთოდ, რამე სერიოზულ შედეგს თუ გინდათ მიაღწიოთ, დღეში 5-6 საათი უნდა ივარჯიშოთ.

— ადამიანებს შეუძლიათ თქვენთან გაკაჟება თუ ისინი უკვე ფიზიკურად მომზადებულები უნდა იყვნენ, ბოდიბილდინგში რომ ივარჯიშონ?

— ჩვენთან ჯანმრთელი ადამიანი უნდა მოვიდეს, რადგან სხვა შემთხვევაში, იმ დატვირთვას, რომელსაც ვარჯიშზე მიიღებს, ვერ გაუძლებს. სიმძიმეების აწევა ვარჯიშის ძირითადი სახეობაა. უკვე სამი წელია, რაც ჩვენთან ქალებმაც დაიწყეს ვარჯიში, მაგრამ ისინი შტანგას არ სწევენ — უბრალოდ, სურვილი აქვთ, ფორმა შეინარჩუნონ, მათი ძირითადი მიზანი ტანის კორექციაა. თუმცა, ისეთებიც არიან, რომლებიც სერიოზულად ვარჯიშობენ და დიდი გეგმებიც აქვთ. ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, რომელიც ჩვენთან ვარჯიშობს, ქალია. სხვათა შორის, ის უკვე 82 წლისაა. თავიდან, შვილიშვილებს დაჰყვებოდა ხოლმე, უყურებდა, ისინი როგორ ვარჯიშობდნენ. მერე თვითონაც დაინტერესდა და ახლა აქტიურად ვარჯიშობს.

— წონის დაკლების მიზნით თუ მოდიან თქვენთან?

— რა თქმა უნდა. ქალების უმეტესობას გახდომა უნდა. თვეში ათი კილოგრამის დაკლება უპრობლემოდ შეიძლება. ზოგი ფიქრობს, რომ საჯდომი დაწეული აქვს და ამის გამო მოდის. სპეციალური ვარჯიშებით ეს პრობლემა იოლად მოგვარდება. ახლა ზღვის სეზონი იხსნება და ჩვენთან განსაკუთრებით ბევრი ქალი მოვა სხეულის კორექციის მიზნით. ორ თვეში, შედეგის მიღება შეუძლებელია, სამაგიეროდ, პლაჟზე რომ მოხვდებით, ძალიან იოლად შეამჩნევთ იმ ქალს, რომელიც ბოდიბილდინგში ვარჯიშობდა. ასეთ ქალებს ტანი უნაკლო უხდებათ. ჩვენთან ბევრი ცნობილი ქალი ვარჯიშობს. ვარჯიშობენ

მომღერალი ბიჭებიც — მაგალითად, ჯგუფი „სთეისი“ და „გოგლი-მოგლი“. პოლიტიკოსებს პირადად მე ვურჩევ, მოვიდნენ და ივარჯიშონ. სხვათა შორის, მას, ვინც ჩვენთან ვარჯიშობს, თუ მაისური გაიხადა, ველარავინ შეჰბედავს ზედმეტის თქმას...

— შეიძლება, რომ კუნთები გაგეზარდოს, მაგრამ ფიზიკური ძალა არ გქონდეს?

— არა, ასეთი რამ გამორიცხულია. დიდი კუნთები ნიშნავს დიდ ძალას. მამაკაცები ხომ 100-200-კილოგრამიანი გირებით ვარჯიშობენ! თანაც, თუ ვარჯიშს თავს დაანებებ, კუნთებს მაინც ინარჩუნებ, საკმარისია თვეში ერთხელ ივარჯიშო.

— ვარჯიშისთვის რა თანხაა საჭირო?

— პროფესიონალები და ისინი, ვინც ცდილობენ, რაიმე წარმატებას მიაღწიონ სპორტის ამ სახეობაში, ჩვენთან უსასყიდლოდ ვარჯიშობენ. ხოლო მათთვის, ვისაც უბრალოდ, ტანის კორექცია სურს, გადასახადი 15-20 ლარის ფარგლებში მერყეობს; ასე რომ, ძვირად ღირებული სპორტი არ არის. უბრალოდ, როცა გინდა, სერიოზულ წარმატებას მიაღწიო, წამლებიც უნდა მიიღო — ძირითადად, ვიტამინები. შეჯიბრზე, ტანზე სპეციალური კრემი უნდა წაისვა, კანი რომ ლაპლაპებდეს.

— ქართველ მამაკაცებს უმეტესად, თმით დაფარული ტანი აქვთ. შეჯიბრზე ასე გამოსვლა შეიძლება?

— არა. ტანის გაპარსვა აუცილებელია. ტურნირის ნებისმიერი მონაწილე ტანს უპრობლემოდ იპარსავს, სხვანაირად შეჯიბრზე არ დაუშვებენ. მსოფლიოში ეს იმდენად პოპულარული და ვაჟკაცური სპორტია, რომ მას ძალიან ბევრი ადამიანი მისდევს. ჩვენს დარბაზში ვარჯიშობენ ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ქალები. ასევე — შოტლანდიელი მამაკაცები.

— ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა ნერვულმა დაავადებებმა. ის ადამიანები, რომლებსაც ნევროზი აქვთ, თქვენს დარბაზში სავარჯიშოდ დადიან?

— როგორც მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები აღნიშნავენ, ბოდიბილდინგი საუკეთესო საშუალებაა დეპრესიისგან თავის დასაღწევად. პირადად მე, საშინელი დეპრესია მქონდა. მაშინვე ვარჯიში დავიწყე. ნაცნობებს და ახლობლებს ვურჩევ ხოლმე, ნერვული დაძაბულობის დროს, მოვიდნენ ჩვენს დარბაზში სავარჯიშოდ. ■

უკვე სამი წელია, რაც ჩვენთან ქალებმაც დაიწყეს ვარჯიში, მაგრამ ისინი შტანგას არ სწევენ — უბრალოდ, სურვილი აქვთ, ფორმა შეინარჩუნონ.



ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად გადაიღეს ანსამბლ „ერისიონის“ ცნობილი კლიპი სიმღერაზე „შატილის ასულო“?

ა) ალპებში;
ბ) ჰიმალაის მთებში;
გ) ყაზბეგში.

2. კონფლიქტოლოგები საძმიან ადამიანებს ურჩევენ — არასოდეს მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას:

ა) დილით;
ბ) სიცხიანები;
გ) მშიერ კუჭზე.

3. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა: „ჩემთვის ყველაზე კარგი დიეტა...“

ა) ვაშლის დიეტაა;
ბ) არჩევნებია;
გ) ვარჯიშია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„ტერმინატორ–3“–ის გამოსვლა შვარცენეგერს სოლისტოლოგიაში გზას გაუსნის

ჰოლივუდის პოპულარულმა მსახიობმა არნოლდ შვარცენეგერმა ჟურნალ TV Guide-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის შეიძლება სერიოზულად დაფიქრდეს კალიფორნიის შტატის გუბერნატორის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენების საკითხის თაობაზე. ეს მოხდება მას შემდეგ, როცა ამ ზაფხულს ეკრანებზე გამოვა ფილმი მისი მონაწილეობით – „ტერმინატორი-3 – მანქანების აჯანყება“.

შვარცენეგერი რესპუბლიკელთა პარტიაშია და უკვე დიდი ხანია კალიფორნიის მთავრობის სათავეში მოსვლის იდეა მოსვენებას არ აძლევს. თუმცა მისივე თქმით, ახლა ამაზე არ ფიქრობს, ვინაიდან „ტერმინატორის“ ახალი სერიის კინობაზარზე რეკლამირება ძალიან დიდ ენერგიას ართმევს. როგორც მსახიობმა აღნიშნა, როცა კენჭისყრას მოინდომებს, იგი აუცილებლად მოეთათბირება ამის თაობაზე ოჯახის წევრებს და ახლო მეგობრებს. მან აღიარა, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ამ შემთხვევაში ცოლის – მარია შრაივერის რჩევას მიანიჭებს, რომელიც, სხვათა შორის, კენედის კლანის წარმომადგენელი და დემოკრატიული პარტიის წევრია. „მან უნდა „ამინთოს მწვანე შუქი“, – თქვა შვარცენეგერმა. მისივე განმარტებით, შარშან არჩევნებზე დემოკრატების კანდიდატთან, კალიფორნიის ამჟამინდელ გუბერნატორ გრეგ დევისთან მეტოქეობაზე უარი იმიტომ განაცხადა, რომ კინოსტუდიასთან გაფორმებული კონტრაქტების გამო სრულიად არ რჩებოდა დრო პოლიტიკური მოღვაწეობისთვის. წარსულში

კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე უკვე იმყოფებოდა ყოფილი კინომსახიობი – რონალდ რეიგანი, რომელიც მოგვიანებით, აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი გახდა. არნოლდ შვარცენეგერი შესაძლოა, მართლაც გახდეს გუბერნატორი, მაგრამ მას თეთრი სახლისკენ გზა გადაკეტილი აქვს. საქმე ის არის, რომ იგი დაბადებულია ავსტრიაში, ხოლო აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის სავარძელზე პრეტენზია მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებულს შეიძლება ჰქონდეს. ■

„ყოვლისშემძლე მრიუსი“ „მატრიცაზე“ ძლიერი აღმოჩნდა

ახალმა ფილმმა „ყოვლისშემძლე ბრიუსმა“ ჯიმ კერის მონაწილეობით აშშ-ში თავისი შემოსავლებით „მატრიცა-2“-ს ლიდერის პოზიცია ჩამოართვა და ახალი რეკორდი (კომედიებში) დაამყარა.

კინოსტუდია „უნივერსალის“ შეფასების თანახმად, რომელიც კვირას გამოიცა, „ყოვლისშემძლე ბრიუსმა“ საზეიმო უიკ-ენდის პირველი სამი დღის მანძილზე 70,5 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

ტომ შედიაკის ფილმი („მატყუარა, მატყუარა“, „მკურნალი ადამსი“) „ყოვლისშემძლე ბრიუსი“ მოგვითხრობს ტელეჟურნალისტ ბრიუს ნოლანზე, რომელიც თავის ყველა წარუმატებლობაში სხვა ადამიანებს ადანაშაულებს. ხოლო, როცა ჟურნალისტმა ღმერთსაც დასდო ბრალი, მაშინ ღმერთმა მას არამიწიერი ძლევამოსილების უნარი და ღვთიური მოვალეობები მიანიჭა. ამ ფილმის ბიუჯეტმა შეადგინა 81 მლნ დოლარი. იმავდროულად სურათი „მატრიცა – გადატვირთვა“, რომელშიც კიანუ რივზი თამაშობს, მეორე ადგილზეა მოკრძალებული რეზულტატით – 37,2 მლნ დოლარით.

სხვა ფილმების წარმატებათა შეფასების მონაცემთა მოპოვება კვირას შეუძლებელი გახდა, ვინაიდან კინოსტუდიათა უმრავლესობა ელოდა უიკ-ენდის დამთავრებას (ორშაბათი აშშ-ში დასვენებაა), საბოლოო შედეგები სამშაბათს გაირკვევა.

შემოსავლების მიხედვით 2000 წლის საუკეთესო ფილმი იყო (ჯიმ კერის მონაწილეობით) „გრინჩი – შობის გამტაცებელი“, რომელმაც საპრემიერო სამი დღის მანძილზე 55,1 მლნ დოლარი მიიღო, მაგრამ „ყოვლისშემძლე ბრიუსის“ წარმატების მიუხედავად, ფილმმა მაინც ვერ აჯობა კომედიისთვის საუკეთესო საპრემიერო რეკორდს 2000 წლის ფილმს – „ოსტინ პაუერსი გოლდმემბერში“. მაშინ ამ ფილმმა 73,1 მლნ დოლარი დააგროვა. „უნივერსალის“ ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, რომ ოთხ დღეში „ყოვლისშემძლე ბრიუსი“ 86,1 მლნ დოლარს შეაგროვებს და მეორე ადგილს დაიჭერს სტივენ სპილბერგის „დაკარგული სამყაროს“ შემდეგ, რომელსაც 90,2 მლნ დოლარი აქვს მოგროვებული.

ამასობაში ახალმა „მატრიცამ“ გადაფარა საერთო თანხა: – პრემიერიდან 11 დღის მანძილზე მან 201,1 მლნ დოლარი შეაგროვა. მარტო მეცხრე დღეს, ფილმმა დააგროვა უფრო მეტი, ვიდრე პირველმა „მატრიცამ“ 1999 წელს კინოგაქირავების პერიოდში (171 მლნ დოლარი). ■

ალ პაჩინო შვილების ნახვაში ფულს იხდის

ყოფილ სატრფოსთან, მსახიობ ბევერლი დ'ანჯელოსთან ურთიერთობების გაწყვეტის გამო, ალ პაჩინო, რომელიც 60 წლის ასაკში გახდა ტყუპის ოფიციალური მამა, იძულებულია, მათ დედას გადაუხადოს იმისათვის, რომ საკუთარი შვილები მოინახულოს. მისმა ადვოკატმა მარტინ უორსერმა უბედური მამის არაშესაშური ხვედრის თაობაზე თანაგრძნობით აღნიშნა: „ბევერლი ბავშვებს ისე იყენებს, როგორც მძევლებს. ერთმანეთში ხანდახან ვხუმრობთ კიდეც, რომ საქმე გვაქვს ბავშვთა გაქირავების კომპანიასთან. ყოველი ზედმეტი საათისთვის, რომელიც ალს სურს, რომ პატარებთან გაატაროს, ბევერლი მამისგან მეტი ფულის გადახდას ითხოვს". დ'ანჯელოს მეგობრები კი, საპირისპირო აზრს გამოთქვამენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ალ პაჩინო უარს აცხადებს დაიცვას სასამართლოს მიერ დადგენილი ბავშვებთან ვიზიტის განრიგი და „გამუდმებით აწვალებს ბევერლის". ■

ემინემი ქალიშვილს გინებას ასწავლის

ემინემმა განაცხადა, რომ თავისი ქალიშვილის – ჰეილის თანდასწრებით უცენზურო ლექსიკური სიტყვების გამოყენების წინააღმდეგი არ არის. რეპერმა დაინახა, რომ შვილს მოსწონს ჰიპ-ჰოპური სიმღერები, რომელიც, როგორც ცნობილია, შეიცავს უწმაწურ სიტყვებს. იგი ამბობს, რომ ურჩევნია ბავშვს თავად ასწავლოს გინება, ვიდრე მან ეს ყველაფერი სკოლაში მოისმინოს. ამასწინანდელ ინტერვიუში ემინემმა დასძინა: „ჩემი შვილი ნებისმიერ შემთხვევაში გაიგებს სკოლაში გინებას. მე უკეთ ვასწავლი სახლში. როცა მას სიმღერებთან დაკავშირებით კითხვები ებადება ხოლმე, ვცდილობ, ავუხსნა რამდენადაც შემიძლია, იმიტომ, რომ ყველაფერი სწორად გაიგოს. ჰეილის მოსწონს მუსიკა, მოსწონს ჰიპ-ჰოპი, ეს კი, ჩემი აზრით, ძალიან კარგია". ■

კიანუ რივზმა ახალი სახლი შეიძინა

კიანუ რივზი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავი, რომელსაც ასეთი მაღალი ჰონორარები აქვს, ვალდებულია, ჰქონდეს საკუთარი სახლი... და მართლაც, მან 3,3 მლნ გირვანქა სტერლინგად მოკრძალებული სახლი შეიძინა (მხოლოდ 3 საძინებლით).

სახლი, გასული საუკუნის 80-იან წლებში, სურათების შეძლებული კოლექციონერისთვის იყო აშენებული. მისტერ რივზის ახალ რეზიდენციაში ძალიან მაღალი ჭერია და, შესაბამისად, ბევრი ადგილია ხელოვნების ნიმუშებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბინაში არის აუზი, სამი აბაზანა და ფანჯრებიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება, ჰოლივუდის სტანდარტებით, კიანუს ახალი საცხოვრებელი მაინც ძალიან სადად გამოიყურება.

ერთი სიტყვით, რივზი სპარტანული ცხოვრების წესით არის ცნობილი. 2000 წელს ის საერთოდ ვაგონში ცხოვრობდა, თუმცა, საკმაოდ კომფორტულში. ■

მადონას ახალი ბუდე 8 მილიონად

ამას წინათ, მადონამ თავისი უძრავი ქონების კოლექცია შეავსო – ბევერლი ჰილზზე ახალი სახლი შეიძინა, რომელიც 8 მლნ გირვანქა სტერლინგი ღირდა. სახლის ყიდვის სურვილის გარდა, მას კიდევ ერთი თავშესაქცევიც აქვს – იზრუნოს თავისი ახალი ალბომისადმი პუბლიკის ინტერესის გასაღვივებლად... მადონა ახალ 12 ათას კვმ-იან საცხოვრებელს ირჩევს, რომელიც ადრე მსახიობ სელი ვარდს ეკუთვნოდა. სახლი,

რომელიც ლოს-ანჯელესში სანსეტ ბულვარზე მდებარეობს, ნორმანდიულ სტილშია აგებული. მას 7 საძინებელი, 15 სააბაზანო და ტუალეტის ოთახი აქვს. აგრეთვე, სახლში არის ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზი, კინოდარბაზი, საუნა, 2 ფლიგელი სტუმრებისთვის, იქვეა კორტი და აუზიც. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მადონა ძალიან დაიხარჯა, ძლიერ შემცდარა. ზუსტად 1 თვის წინ მან და მისმა მეუღლემ, გაი რიჩიმ ბევერლი ჰილზზე მდებარე სახლი 7 მილიონად გაყიდეს. ის ესპანურ სტილში იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ახლა La Isla Bomita-ს დრომ ჩაიარა და მათ ქონების გაყიდვა მოუხდათ. ამ თანხას მილიონი დაამატეს და, შვებით ამოისუნთქეს, რადგან, მიაჩნიათ, რომ ბოლოს და ბოლოს, ადამიანური ცხოვრება დაიწყეს. ■

გულის არითმეტიკა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გამოთქმა „გულითადი მეგობარი“ შეიძლება ასეც გადავაკეთოთ „გულის მეგობარი“. ცუდი არ იქნებოდა, თუ ყველა ადამიანი საკუთარი თავის გულითადი მეგობარი გახდებოდა. ამისთვის დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ: უმთავრესი ორგანოს ჯანსაღად შესანარჩუნებლად უნდა დავიხსომოთ 14 უბრალო ფაქტი:

● 1 ჭიქა წითელი ღვინო დღეში, დაგიცავთ ინფარქტისაგან.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყურძნის წვენი გულის მკვებავ კორონარულ სისხლძარღვებს დათრომბვისაგან იცავს. იგი სისხლის ფირფიტების – თრომბოციტების აქტიურობას 75%-ით ამცირებს, მაშინ, როცა ამ მიზნით დანიშნული ასპირინი მხოლოდ 45%-ითაა ეფექტური.



● 2 ჭიქა რძე თქვენს გულს კატასტროფას ააცილებს.

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს 55-დან 68 წლამდე ასაკის 3150 ადამიანი. აღმოჩნდა, რომ ვინც დღეში 2 ჭიქა უცხიმო რძეს სვამს, 2-ჯერ უფრო იშვიათად აწუხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

● 3-ჯერ დღეში გულსა და სისხლძარღვებს E ვიტამინით მდიდარი პროდუქტები (თხილი, ყველი, ხაჭო, მცენარეული ცხიმი) ესაჭიროება.

● 4 ნაჭერი თევზი კვირაში 44%-ით ამცირებს მიოკარდიუმის ინფარქტით სიკვდილის საშიშროებას.

● 5 ცალი კაკალი, რომელსაც ყოველდღიურად მიირთმევთ, სიცოცხლის ხანგრძლივობას 7 წლით გაზრდის.

კაკლის შემადგენლობაში შედის ნივთიერებები, რომელიც გულსა და სისხლძარღვებს ქოლესტერინის მავნე მოქმედებისაგან იცავს.

● 6 საფეხურზე გადახტომა დილას და საღამოს, 3-ჯერ შეამცირებს გულის კატასტროფის ალბათობას. ვენური სისხლის მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხის კუნთების მდგომარეობას.

● 7 ჩაის კოვზი ჟოლოს მურაბა დღეში, ნახევარ წელიწადში 2,5-ჯერ გაამაგრებს კორონარულ სისხლძარღვებს.

მასში შემავალი C და P ვიტამინები ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს, ხოლო სალიცილის მჟავა აწესრიგებს სისხლის შედედებას და ადამიანს იცავს თრომბებისაგან (ასპირინის მსგავსად).

● 8 ბანანი კვირაში, აწესრიგებს გულის რიტმს.

თუ უსიამოვნო საუბრის, კიბეზე ასვლის ან ხანმოკლე მოთელვის შემდეგ გულის რიტმი გერღვევათ, შეჭამეთ 1-2 ბანანი, ეს ნერვულ სისტემას საჭირო ენერგიით უზრუნველყოფს, გულის კუნთს – საჭირო ცილებით; აღადგენს მიოკარდში კალიუმის ბალანსს და დაამშვიდებს აჩქარებულ გულისცემას.

● 9 კუპლეტი, რომელსაც დილა-საღამოს წაიმღერებთ, დაგიცავთ სტენოკარდიისაგან.

სიმღერის დროს ინტენსიურად მუშაობს ადამიანის ხმოვანი აპარატი, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა მცირე წრეში (ფილტვებში), ძლიერდება აირთა ცვლა და ჟანგბადის მიწოდება გულისთვის და სხვა ორგანოებისა და ქსოვილებისათვის.

● 10-წუთიანი ლოცვა დღეში, დადებითად მოქმედებს მიოკარდზე (გულის კუნთზე).

იტალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს საოცარი ფაქტის სამედიცინო დადასტურება: როცა ბერები ლოცულობენ და ღვთისმსახურებას აღასრულებენ, დაბერების პროცესი ნელდება. აღმოჩნდა, რომ რიტმული წარმოთქმა ლოცვისა, იწვევს გულისა და სუნთქვის ბიორითმების სინქრონიზაციას და აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

● 11 სახის პროფესია არ რგებს ადამიანის გულს.

საერთაშორისო გამოკვლევებით დადგინდა კავშირი პაციენტის საქმიანობასა და ათეროსკლეროზის განვითარებას შორის. რისკის ჯგუფში არიან ადამიანები, რომელთა სამსახური მუდმივ ფსიქოემოციურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული. ასეთები არიან: კოსმონავტები, პოლიციელები, მაღაროელები, მფრინავები, ავიადისპეტჩერები, წარმოების ხელმძღვანელები, ბანკის მმართველები, ფირმების დირექტორები, მენეჯერები, ჟურნალისტები, სტომატოლოგები, კონვეიერთან მომუშავე მუშები, მძღოლები. ეს უკანასკნელნი მუდმივად სტრესს განიცდიან არა მხოლოდ გაუთვალისწინებელი სიტუაციების გამო, რომელიც გზაზე შეიძლება შეიქმნას. სტრესულ რეაქციას იწვევს სიჩქარის ზრდა. 50 კმ/სთ სიჩქარის დროს მძღოლის პულსი საშუალოდ 73 დარტყმაა წუთში, ხოლო 100 კმ/სთ-ის დროს 97-მდე მატულობს.

● 12-ჯერ სიგარეტის გამოწოვა 5%-ით ზრდის გულზე დატვირთვას.

ყოველი გამოწოვის შემდეგ კორონარული არტერიები ვიწროვდება, პულსი 8-10-ით მატულობს, ორგანიზმს აკლდება 10 მგ C ვიტამინი, რომელიც სისხლძარღვთა კედლების გასამაგრებლადაა აუცილებელი. ნიკოტინი ზრდის ქსოვილთა მოთხოვნილებას ჟანგბადზე და ამცირებს მის მიწოდებას, ზრდის სისხლის შედედებას და თრომბების წარმოქმნის საშიშროებას, აჩქარებს ათეროსკლეროზის განვითარებას.

● 13 კგ ჭარბი წონის დაგდება 2 წლის განმავლობაში სასარგებლო იქნება თქვენი გულისათვის.

მსუქან ადამიანებს 4-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ ინფარქტი. ინგლისელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თუ 90 კგ წონის ადამიანი ჩვეული რაციონის შეცვლის გარეშე ყოველდღიურად სწრაფ ტემპში გაივლის სულ 2,5 კმ-ს, 2 წელიწადში იგი 13 კგ-ს დაიკლებს.

● 14 ფორთოხალი ან ლიმონი კვირაში, დაიცავს თქვენს გულს სტრესისა და ვირუსებისაგან.

ციტრუსებში შედის C ვიტამინი, აგრეთვე განსაკუთრებული ნივთიერებები ბიოფლავონოიდები, რომელიც ორგანიზმს მის ათვისებაში ეხმარება. ფორთოხლის რბილობი შეიცავს პექტინს და სხვა ბუნებრივ პოლისაქარიდებს, რომელიც იკავშირებს მძიმე ლითონების იონებს და რადიოაქტიურ ელემენტებს. 2-3 ფორთოხალი დღეში, საიმედოდ დაგიცავთ არახელსაყრელი ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენისაგან.

■



როგორ დავბრუნდეთ მოგზაურობიდან ჯანმრთელნი

დადგა ზაფხული და მრავალი ადამიანი შეუდგა შვებულების დაგეგმვას. თუ საზღვარგარეთ მოგზაურობას აპირებთ, ყურადღებით წაიკითხეთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის „ყვითელი წიგნის“ მონაცემები ეგზოტიკურ დაავადებათა გავრცელების შესახებ, ვინაიდან ეგზოტიკური დაავადებები მოგზაურობისას რეალური საშიშროებაა, რომლის თავიდან აშორება შესაძლებელია.

ჩრდილოეთ ევროპაში (დიდი ბრიტანეთიდან ესტონეთსა და უკრაინამდე) გავრცელებულია ჰელმინთოზები (ჭიებით ინვაზია), A ჰეპატიტი, სალმონელოზი; შედარებით იშვიათად – ქოლერა, ტკიპისმიერი ენცეფალიტი.

სამხრეთ ევროპაში (ბულგარეთიდან პორტუგალიამდე) – დიზენტერია, დიარეა (კუჭის აშლა), მუცლის ტიფი, სალმონელოზი, იშვიათად – ბრუცელოზი, ქოლერა, A ჰეპატიტი, ტკიპისმიერი და რწყილისმიერი ენცეფალიტები, ლეიშმანიოზი.

სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (არაბთა გაერთიანებული ემირატები, ისრაელი, ერაყი, იორდანია, კვიპროსი, ქუვეითი, სირია, თურქეთი) – მუცლის ტიფი, A ჰეპატიტი, ჰედომინთოზები, ბრუცელოზი, ლეიშმანიოზი. იშვიათად – ქოლერა, მალარია. ცხოველებში – ტრაქომა და ცოფი.

ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში (აზერბაიჯანი, სომხეთი, ავღანეთი, ბანგლადეში, ირანი, ინდოეთი, ყაზახეთი, პაკისტანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი) – ქოლერა, დიარეა, მუცლის ტიფი, A ჰეპატიტი, ჰელმინთოზები, ლეიშმანიოზი, მალარია, დიფთერია, დენგეს ცხელება, იშვიათად – პოლიომიელიტი.

აღმოსავლეთ აზიაში (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, მონღოლეთი) – ბრუცელოზი, მალარია (კერები), შავი ჭირი (კერები), დენგეს ცხელება, იაპონური ენცეფალიტი, ჰემორაგიული ცხელება, შისტოსომოზები.

ახალი გვინეა, ფიჯი, ახალი ზელანდია, ავსტრალია – დიარეა, მუცლის ტიფი, A ჰეპატიტი, ჰელმინთოზები, მალარია, დენგეს ცხელება.

ჩრდილოეთ აფრიკაში (ალჟირი, ეგვიპტე, ლიბია, მაროკო, ტუნისი) – დიზენტერია, A ჰეპატიტი, ჰელმინთოზები, ბრუცელოზი, ზოგიერთ ზონაში – მუცლის ტიფი, ტრაქომა, შისტოსომოზები, მალარია, ტკიპისმიერი შებრუნებითი ტიფი, მოსკიტური ცხელება.

სამხრეთ აფრიკაში კი გარდა აღნიშნული დაავადებებისა, ფართოდაა გავრცელებული ჰემორაგიული ცხელება, მენინგოკოკური ინფექცია, ცოფი, ამებიაზი.

ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ, კანადა, ჰავაი) – ინფექციური დაავადებებით დასნებოვნების რისკი მცირეა.

ცენტრალურ ამერიკაში (გვატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა) – ამებიაზი, დიზენტერია, დიარეა, მუცლის ტიფი, A ჰეპატიტი, ქოლერა, სამდღიანი მალარია, ცოფი (ძაღლებსა და ღამურებში).

სამხრეთ ამერიკა ზომიერი კლიმატით (არგენტინა, ურუგვაი, ჩილე) – სალმონელოზი, ჰელმინთოზები, მუცლის ტიფი, ჰეპატიტები, მალარია, ლეიშმანიოზი, ციმბირის წყლული.

ტროპიკული სამხრეთ ამერიკა (ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, პერუ, კოლუმბია, ეკვადორი) – ამებიაზი, დიარეა, ჰელმინთოზები, A ჰეპატიტი, ქოლერა (კერები), მალარია, ლეიშმანიოზი, ვირუსული კოღოსმიერი ცხელება, პარტახტიანი ტიფი (პერუსა და კოლუმბიაში), ცოფი – ყველგან.

აღნიშნულ დაავადებათა რიცხვს დღეს ატიპური პნევმონიაც დაემატა, რომლის გავრცელების ცენტრად ჩინეთია მიჩნეული.

ახლა ორიოდ სიტყვით ზოგიერთ ეგზოტიკურ დაავადებაზეც გიამბობთ.

A ჰეპატიტი – გადადის დაბინძურებული პროდუქტებითა და წყლით. მუდმივი შიში რომ თავიდან აიცილოთ, გირჩევთ, მოგზაურობის დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე გაიკეთოთ აცრა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში დაგიცავთ დაავადებისაგან.

მუცლის ტიფი – გადადის A ჰეპატიტის მსგავსად, მაგრამ მისგან განსხვავებით, უფრო მძიმედ მიმდინარეობს. ინფექცია აზიანებს ნაწლავებს, ნერვულ სისტემას და სხვა ორგანოებს. ზოგჯერ რთულდება. მისი საწინააღმდეგო აცრა ერთი ინიექციით კეთდება. იმუნიტეტი 1-2 კვირაში ყალიბდება და 5 წლის განმავლობაშია შენარჩუნებული.

ცოფი – ვირუსის გადამტანია ძაღლი. დაავადება შემთხვევათა 100%-ში მთავრდება სიკვდილით. პროფილაქტიკური ვაქცინაცია 3 დოზისაგან შედგება და დაავადებისაგან 3 წლის განმავლობაში იცავს ადამიანს. ცოფი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ტაილანდსა და ინდოეთში.

ტკიპისმიერი ენცეფალიტი – ვირუსი ტკიპებს გადააქვთ. ინფექციის დროს ანთებითი ცვლილებები ვლინდება თავის ტვინში, რასაც სერიოზული გართულებები მოსდევს თან. ვაქცინაცია მოიცავს 2-3 დოზას ერთთვიანი ინტერვალით პირველადი ვაქცინაციის დროს და ერთ რევაქცინაციას (1 დოზით) 9-12 თვის შემდეგ.

ყვითელი ცხელება – ამ დაავადების რისკის ზონა აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებია. ყვითელი ცხელება საშიში, უკურნებელი და ვერაგი დაავადებაა, რომელიც ზოგიერთი სახეობის კოღოს ნაკბენით გადადის. მოზრდილთა შორის სიკვდილიანობა 60%-ია. დაავადება აზიანებს ნერვულ სისტემას, ვითარდება სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებსა და თავის ტვინში. აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში ჩასვლისას აუცილებელია აცრა, რომელიც ტარდება ცოცხალი შესუსტებული ვაქცინით, შედგება ერთი დოზისაგან და ადამიანს 10 წლის განმავლობაში იცავს. ■

ევროპული ომლეტი

მასალა: 2 ს/კ დამდნარი კარაქი, 1/2 მწვანე ტკბილი წიწაკა, 1/2 ხახვი, 1/2 პომიდორი, 2 ნაჭერი ლორი, 1 კონა ოხრახუში, 3 კვერცხი, 1-2 ს/კ რძე, 2 ს/კ გახეხილი ყველი.

კარაქი დაადნეთ ტაფაზე. წვრილად დაჭერით ხახვი და მწვანე წიწაკა და მოშუშეთ ზომიერ ცეცხლზე, ვიდრე წიწაკა არ დარბილდება, ხოლო ხახვი ოქროსფერი არ გახდება. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ლორი და პომიდორი, მოურიეთ, დაუმატეთ ოხრახუში. აუწიეთ ცეცხლს, დაახლოებით ერთი წუთით ურიეთ და შეწვით. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.

ცალკე ჯამში ათქვიფეთ კვერცხები, რძე, მარილი და პილპილი. ჩაასხით ცხიმწასმულ ტაფაში. როცა ნაპირები დაბუშტვას დაიწყებს, ომლეტი ბრტყელი დანით ცენტრისკენ გადასწიეთ, ისე, რომ თხევადი ნაწილი გათავისუფლებულ ადგილას გაიშალოს, რათა ომლეტი თანაბრად შეიწვას. შემდეგ ლორიანი ბოსტნეული გაშალეთ მის ერთ ნახევარზე, მოაყარეთ გახეხილი ყველი და მეორე ნახევარი ზევიდან დააფარეთ. კიდევ დააყოვნეთ ცეცხლზე, რათა კვერცხის ზედა და ქვედა ფენები მიეკრას ერთმანეთს და ფრთხილად გადმოიღეთ დიდ თეფშზე.

ტოლმა ვაზის ფოთლით

მასალა: 1 კგ ძროხის ხორცი, 5 თავი ხახვი, ბრინჯი 1/2 ჩ/ჭ, 1 კონა ტარხუნა, 2 კონა ქინძი, 1/2 ჩ/კ დაფქული წიწაკა, მარილი გემოვნებით, ტყემალი – 200 გ, ვაზის ფოთლები – 60 ცალი, კარაქი – 100 გ.

ძროხის ხორცი გაასუფთავეთ, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, ასევე გაატარეთ ხახვი.

ბრინჯი ჩაყარეთ ჯამში, დაასხით წყალი ისე, რომ ფარავდეს და ხარშეთ 5 წთ. გადაწურეთ საწურზე. დაჭერით წვრილად ტარხუნა და ქინძი. ყველაფერი ეს დაუმატეთ გატარებულ ხორცს. შეაზავეთ მარილითა და წიწაკით, დაასხით 1/2 ჩ/ჭ წყალი და კარგად აურიეთ.

ვაზის ფოთოლს დაასხით მდუღარე წყალი და ადუღეთ 3-4 წუთი. გადაწურეთ საწურზე. თითოეულ ფოთოლში ჩადეთ მომზადებული ფარში და გადაახვიეთ.

ალუმინის ქვაბს ძირში დაუფინეთ ვაზის ფოთლები და ტარხუნის ღეროები. ჩაალაგეთ გადახვეული ტოლმები მჭიდროდ. აქა-იქ ჩააყოლეთ ახალი ტყემლის ნაყოფი, დაასხით წყალი ისე, რომ ოდნავ ფარავდეს ტოლმის გუნდებს, დაუმატეთ კარაქი, მარილი, დაადეთ ზემოდან თეფში და რაღაც მძიმე საგანი (მაგალითად, ქვასანაყი), დაახურეთ ქვაბს სახურავი და დადგით საშუალო ცეცხლზე, ვიდრე არ მოიხარშება.

სუფრაზე ტოლმასთან ერთად მიიტანეთ არაჟანი ან მაწონი.

პრასი ნიგვზით

მასალა: პრასი – 1 კგ, ნიგოზი – 1 ჩ/ჭ, ნიორი – 6-7 კბილი, ყვითელი ყვავილი – 2 ჩ/კ, წიწაკა, მარილი – გემოვნებით, ქინძი – 2 კონა, ძმარი – გემოვნებით.

ქვაბში აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ შიგ გარჩეული, კარგად გარეცხილი პრასი და მოხარშეთ. მერე გადაწურეთ, გააცივეთ, ხელით კარგად გაწურეთ და დაკეპეთ დანით.

ნიგოზი და ნიორი გაატარეთ ხორსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ მარილი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, წვრილად დაჭრილი ქინძი, ძმარი და ყველაფერი კარგად აურიეთ დაკეპილ პრასთან ერთად. თეფშებზე გაწყობისას შეგიძლიათ მორთოთ ბროწეულის მარცვლებით.

მარწყვის მურაბა

გადარჩეული მარწყვი გარეცხეთ, მოათავსეთ ლანგარზე, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, მოასხურეთ კონიაკი (შეიძლება უამისოდაც) და გააჩერეთ რამდენიმე საათი გრილ ადგილას. დარჩენილი შაქარი ჩაყარეთ მურაბის თასში, ჩაასხ-

ით ადუღებული ცხელი წყალი და მოადუღეთ სიროფი. ჩაყარეთ მარწყვი და გააჩერეთ 2-3 საათი. დადგით ცეცხლზე, ადუღეთ ნახევარი საათი, გადმოდგით ცეცხლიდან, კიდევ გააჩერეთ, დადგით ცეცხლზე და ადუღეთ მომზადებამდე. ხარშვისას მოხადეთ ქაფი.

მასალა: მარწყვი – 1 კგ, შაქარი – 1 კგ, წყალი 0,5 ჩ/ჭ.

ლობიოს სალათი ხორცით

მასალა: 100 გ წითელი ლობიო, 100 გ თეთრი ლობიო (მოხარშული), 100 გ მოხარშული ძროხის ხორცი, 1 ქილა იოგურტი, 1 ჩ/კ ტომატ-პასტა, 1 ჩ/კ ვაშლის ძმარი, მწვანე ხახვი, ოხრახუში, მარილი, პილპილი გემოვნებით.

დაჭერით ძროხის ხორცი თხელ, წვრილ ფენებად, აურიეთ მას წითელი და თეთრი ლობიო, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი. ცალკე მოამზადეთ სოუსი: აურიეთ იოგურტი, ტომატ-პასტა, ძმარი, მარილი, დაფქული შავი პილპილი. მიღებული სოუსი მოასხით სალათს, აურიეთ. სუფრაზე მიიტანეთ ცივი. მორთეთ ოხრახუშის ფოთლებით.

ახალი ტყემალი

მასალა: ტყემალი 1 კგ, ქინძი – 2 საშუალო კონა, ქონდარი – 2 კონა, ომბალო – 2 კონა, კამა – 2 კონა, ნიორი – 3 თავი. მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

ტყემალი გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი და მოხარშეთ. შემდეგ გახეხეთ საწურზე. მწვანილი და ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და შეურიეთ გახეხილ ტყემალს. შეაზავეთ მარილით და წიწაკით – გემოვნებით. ზამთრისათვის მომზადებული ტყემლის საწებლისაგან განსხვავებით, ახალ ტყემალს შეკაზმვის შემდეგ წამოდუღება არ სჭირდება, მაგრამ მწვანილი აუცილებლად საგულდაგულოდ უნდა გაირეცხოს გამდინარე წყალში.

■

ექიმის პასუხი

კითხვა: ვარ 28 წლის და უკვე ძალიან ბევრი თეთრი თმა მაქვს. მალე სულ გავჭაღარავდები. აქვს თუ არა აზრი თეთრი თმის ამოგლეჯას და ხომ არ არის ნაადრევი გაჭაღარავება რაიმე დაავადების ნიშანი?

პასუხი: პირველი თეთრი თმის გაჩენისა და გაჭაღარავების ასაკი მემკვიდრული ფაქტორითაა განპირობებული. 40 წლის ასაკისათვის ადამიანთა უმრავლესობა მეტ-ნაკლები ხარისხითაა გაჭაღარავებული.

თქვენს ასაკშიც თეთრი თმა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. შავთმიანებში ჭაღარა უფრო შესამჩნევია, ვიდრე ქერებში. თუმცა ქერათმიანები საერთოდ უფრო გვიან ჭაღარავდებიან.

თუ უკვე ასეულობით თეთრი თმა გაქვთ, სავარაუდოა, რომ 5-6 წელიწადში დაახლოებით 30-35%-იანი გაჭაღარავება გექნებათ. თუ, თმის რაოდენობა რამდენიმე ათეულია (შეგიძლიათ მიახლოებით გადათვალოთ), მაშინ ახლო მომავალში ჭაღარა არ გემუქრებათ.

აღმოსავლური მედიცინის წარმოდგენათა თანახმად, ნაადრევი გაჭაღარავება შეიძლება დაკავშირებული იყოს თირკმლის დაავადებებთან. ყოველი შემთხვევისათვის გაესინჯეთ ნეფროლოგს.

ნუ ამოიგლეჯთ თეთრ თმას — ის ისევ გაიზრდება. თუ ჭაღარა მოსვენებას გიკარგავთ, გირჩევთ შეიღებოთ.

კითხვა: გაზაფხულ-ზაფხულობით სახე ჭორფლით მეფარება, რასაც ძალიან განვიცდი. თანაც მსმენია, რომ იგი შეიძლება კიბოდ გადაიქცეს. მართალია თუ არა ეს? როგორ შეიძლება მოვიშორო ჭორფლი?

პასუხი: ჭორფლი კანის ჰიპერპიგმენტური (ჭარბად პიგმენტირებული) ლაქებია და ავთვისებიან გარდაქმნას არ განიცდის.

თუ ჭორფლი არ გიხდებათ, შეგიძლიათ მასთან ბრძოლის ხალხური მეთოდები მოსინჯოთ: სახეზე წაისვით მაწონი, კიტრის ან ლიმონის წვენი. 5-10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ჭორფლის მოშორება შეიძლება აგრეთვე მათეთრებელი საცხით და პრეპარატებით, რომელიც კანის ძლიერ აქერცვლას იწვევს. კოსმეტიკურ სალონებში არის სპეციალური აპარატები, რომელიც ღრმა პილინგის პროგრამის მეშვეობით აშორებს ჭორფლს. ზოგჯერ იყენებენ კრიოთერაპიასაც — თხევადი აზოტით მოწვას.



მაგრამ ჭორფლისაგან თავდაცვის უფრო მარტივი გზაც არსებობს. ამისთვის უნდა ერიდოთ მზეზე ყოფნას ფართოფარფლიანი შლაპის გარეშე; სახეზე უნდა ისვათ მზისაგან დამცავი საცხი (დაცვის მაღალი ხარისხის მქონე).

სხვათა შორის, ასაკის მატებასთან ერთად ჭორფლი ფერმკრთალდება, მცირდება და ქრება კიდეც.

კითხვა: ორი დღის წინ სარკეში ჩავიხედე და ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ მარცხენა თვალი სულ წითელი მქონდა. რატომ მომივიდა ასე და თავისით გამივლის თუ არა?



პასუხი: გაიხსენეთ, რა უძღოდა წინ თვალის გაწითლებას. იქნებ უეცრად მკვეთრად დაიხარეთ? ან იქნებ მძიმე ჩანთა ასწიეთ? ხომ არ გქონდათ მაღალი არტერიული წნევა? ხომ არ გადაღალეთ თვალი კომპიუტერთან? როგორ ჩანს, განვითარდა თვალის თეთრი გარსის — სკლერის წვრილი სისხლძარღვის გახეთქვა და მოხდა სისხლის ჩაქცევა.

დასაწყისში სისხლჩაქცევას აქვს მკვეთრი ალისფერი წერტილის სახე, მაგრამ 1-2 დღეში მთელი თვალის კაკალი წითლდება. ასეთ დროს მეტად მახასიათებელი ნიშანია ის, რომ ადამიანი არ გრძნობს არავითარ დისკომფორტს — თვალი არ სტკივა და არ ექავება. ასეთი სიწითლე საშიში არ არის და დაახლოებით ერთ კვირაში თავისით გაივლის.

თუ მსგავსი ეპიზოდები მეორდება და ამასთან სხვა სიმპტომებიც ჩნდება, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. თერაპევტი გაგიზომავთ არტერიულ წნევას, დაგინიშნავთ ვიტამინებს, რომელიც ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს (ასკორბინის მჟავას, რუტინს). ოფთალმოლოგი კი გამორიცხავს სხვა მიზეზებს: ინფექციას, ალერგიას, უცხო სხეულს თვალში, მომატებულ თვალშიგა წნევას, რქოვანას ანთებას.

კითხვა: 2 თვეა, არ მქონია მენსტრუაცია. ორსულად არ ვარ. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული. შეიძლება თუ არა მიზეზი იყოს ინტენსიური ფიზიკური ვარჯიში (დავიწყე სირბილი შორ დისტანციებზე)?

პასუხი: მძიმე ფიზიკური დატვირთვა მენსტრუაციის შეწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია (რა თქმა უნდა, ორსულობის გარდა). რადგანაც თქვენ დაიწყეთ სერიოზული ვარჯიში, შესაძლოა, ჰორმონთა დონე დროებით მკვეთრად დაქვეითდა და გამოიწვია ასეთი არასასიამოვნო შედეგი.

მენსტრუაციის შეწყვეტის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებია წონის მკვეთრი და უეცარი დაკლება ან პირიქით — ჭარბი წონა, ემოციური სტრესი. ზოგიერთი ჰორმონული დარღვევები, ენდოკრინული და გინეკოლოგიური დაავადებები, ასევე ახდენს გავლენას მენსტრუალური ციკლის რეგულარობაზე.

თუ ქალს 2 თვის განმავლობაში დაერღვა ციკლი, აუცილებლად უნდა მიმართოს გინეკოლოგს, რომელიც დაადგენს დარღვევის ზუსტ მიზეზს და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობასაც დაუნიშნავს. ■

ანეკდოტები

* * *

კარგად ჩაცმული, შეუხედავი მამაკაცი ბარში ახალგაზრდა, ლამაზ ქალს მიუჯდება გვერდით და პირდაპირ „საქმეზე გადადის“:

— ხომ არ ინებებდით მილიონ დოლარად ჩემთან ერთად ღამის გატარებას?

ქალი დაფიქრდება და პაუზის შემდეგ პასუხობს:

— შეიძლება.

— იქნებ, 10 დოლარადაც თანახმა იყოთ?

— ნეტავ, ერთი, ვინ გგონივართ?! — აღშფოთდება ქალი.

— მოიცათ, მოიცათ — ეს საკითხი ჩვენ უკვე გავარკვიეთ და ახლა, მხოლოდ ფასზე უნდა შევთანხმდეთ...

* * *

გოგონა წერილს უგზავნის ჯარში მყოფ შეყვარებულს. ატყობინებს, რომ ახალი შეყვარებული გაიჩინა, გათხოვებასაც აპირებს და სთხოვს, რომ მისი ფოტოსურათი დაუბრუნოს. განრისხებული, შურისძიების წყურვილით აღვსილი ბიჭი მეგობრებს შემოურბენს, შეყვარებულების სურათებს გამოართმევს, ყოფილ შეყვარებულს გაუგზავნის და მისწერს: „ძვირფასო, ამ ფოტოებიდან მხოლოდ შენი საკუთარი დაიტოვე, დანარჩენი კი ყველა გამომიგზავნე: სამწუხაროდ, ვერაფრით გავიხსენე, როგორ გამოიყურები“.

* * *

ქართველი ბიზნესმენი უახლესი მოდელის „მერსედესით“ მიქრის. ავტოინსპექტორი გამოვარდა სამალავიდან, ხელჯოხი აღმართა და ჩასტვინა. ბიზნესმენმა „წაატორმუზა“, „რეიბანის“ სათვალე ცხვირზე შეისწორა და მასთან მისულ ინსპექტორს ესროლა:

— საით, ჯიგარო?

— რა საით?

— სად გაგიყვანო, რა?

— არსად... — მხრები აიჩეჩა გაოგნებულმა ინსპექტორმა. არანაკლებ გაოცებულმა ბიზნესმენმა მანქანა სიჩქარეში ჩააგდო და უკმაყოფილოდ გამოცრა კბილებში:

— აბა, რა ხელს მიქნევდი?!.

* * *

დედა ქალიშვილს, მეგობარ ბიჭთან ურთიერთობის შესახებ ეკითხება.

ქალიშვილი პასუხობს:

— ყველაფერი კარგად არის, უბრალოდ, რაღაც წრილმანებზე მოგვდის ხოლმე კამათი.

— მაინც რაზე?

— მაგალითად, მე ქორწილში თეთრი კაბით მინდა ვიყო, ის კი საერთოდ არ აპირებს დაქორწინებას...

* * *

ხელქვეითის შეცდომით განრისხებული უფროსი დამნაშავეს უყვირის. ხელქვეითი აუღელვებლად ეუბნება:

— ძალიან გთხოვთ — ერთი-ორად დაუწიოთ ხმას: მე ხომ თქვენს დაწესებულებაში მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობ...

* * *

ცოლი სარკესთან ტრიალებს და ქმარს ეკითხება:

— რა უფრო მოგწონს — ჩემი სახის ნატიფი ნაკვთები თუ ლერწამივით მოხდენილი ტანი?

— შენი საუცხოო იუმორის გრძნობა, ძვირფასო.

* * *

საკურორტო ქალაქის გარეუბანში გიდმა ტურისტები მთის მწვერვალიდან გადაახედა.

— ქალბატონებო და ბატონებო, ეს ძალზედ სახიფათო ადგილია და გთხოვთ, ყოველი ნაბიჯის გადაგმის დროს, სიფრთხილე გამოიჩინოთ. მაგრამ თუ მაინც მოწყდით ადგილიდან, ვარდნისას აუცილებლად გაიხედეთ მარცხნივ — საოცარი ხედი იშლება...

* * *

ბერნარდ შოუს ჰკითხეს:

— როგორი შემოსავლის შემთხვევაში ჩათვლიდით თავს მდიდარ ადამიანად?

— ზუსტად ისეთის, როგორიც ჩემი მეზობლების აზრით, ახლა მაქვს, — მიუგო მწერალმა.

* * *

ფირმის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 500 ლარით დააჯილდოებს იმ თანამშრომელს, რომელიც ფინანსური სახსრების ეკონომიის ხერხს მოიგონებს. პრემია წილად ხვდა იმას, ვისი წინადადებითაც მისი მოცულობა 300 ლარამდე შემცირდა.

* * *

ორი მოჩვენება ძველ ციხე-კოშკში დაბორიალობს. მოულოდნელად, რაღაც გაიჭრიალებს და ერთ-ერთი მათგანი შიშისაგან შეკრთება. მეორე ეუბნება:

— შენ რა — მართლა გჯერა ცოცხალი ადამიანების შესახებ შეთხზული ზღაპრების?!.

* * *

ერთხელ, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ მეორემ ნავით სასეირნოდ მიიწვია ვოლტერი. გამოჩენილი მწერალი დათანხმდა, მაგრამ ნავთან რომ მივიდნენ, დაინახა, რომ მისი ძირი გახვრეტილი იყო და ამის შესახებ მასპინძელს უთხრა. მეფემ სიცილით მიუგო:

— თურმე როგორ გშინები სიკვდილის, აი მე კი — სულაც არა.

ვოლტერი დაფიქრდა და ღიმილითვე უპასუხა ფრიდრიხს:

— ეს არცაა გასაკვირი: ქვეყანაზე უამრავი მეფეა, ვოლტერი კი, ერთია.

* * *

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

— მატარებლის რელსები ხომ სწორია?

— სწორია.

— ბორბლები ხომ მრგვალი არის.

— „კანეჩნა“.

— ვა, მაშინ რატომ „ხმაურიანობს“?

— მაიცა, ხომ იცი, რომ წრის ფართობი უდრის პი გავამრავლოთ რადიუსის კვადრატზე. ხოდა, აი ეს კვადრატი ურტყამს რა!

* * *

ნამდვილი რაინდი ყოველთვის ატარებს ქალს წინ... რათა კარგად შეათვალიეროს.

* * *

ერთხელ, კარლსონი სარკმელში გაიჭედა და... სწორედ ასე გაჩნდა კონდიციონერი...

■

ფილმი ტეილორისა და გასმნის მონწილეობით

რომის პროვინცია უნგრეთის ტერიტორ.

ყოფილი ფეხბურთელი და ნარკომანი

სასმელების განყოფილება კარადაში

კონტინენტი

ქალაქი საფრანგეთში

ვაზ „2121“

არაკეთილსაზოვანება

იაპონური ფირმა

დიოგენეს „სატუმრო“

ლუიზა ვერონიკა ჩიკონე

ყურებკვნეტია მოკრივე

აგრეგატული მდგომარეობა

ალეზის ქლიშეულის სახელობის მეკრეკა

კროუფორდი

„ფრანგი მეკავშირე“ (მსახიობი)

დოსტოევსკის რომანი

კომპიუტერული გვერდი

ქალაქ, სადაც აკურთხებენ ფრანგ მეფეს

„მაკდონალდსის“ კარტოფილი

თმის საღებავი მცენარე

ქალაქ სტენდალის ცნობილ რომანში

ზღვის წვრილი თევზი, ქარსალა

პრუსის რომანი

„ჯარგანტუა და პანტაგრუელი“ (მწერალი)

ვინსის ქსოვილის მწარმოები ქალაქ (ტვ)

ქრისტიანობის ერთერთი მიმართულების მიმდევრი

კერძი გულღვიძლისაგან

უჩინარი ამერიკული თვითმფრინავი

თვითმფრინავი (ფრანგულად)

კუს სახეობა

წიგნის ან რვეულის გარეკანი

უთავბოლო მსჯელობა

ქართველი

გამორჩეული სდოა ჭადრაკში

პატარა ასო

ადამის არაჭეშმარიტი ოურენი

ოურენი ბატონი

სახელო და მსარი ერთი ნავრიდან

სიმღ ოპერაში

გამცილებელი გემზე

ეეადგინა რამაზ ალანიამ



მე-17 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა; 4-გ.
53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ.

კვირის (9 –15 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: კვირის მეორე ნახევარში შესაძლო კონფლიქტების გამო, წინასწარ დასახული გეგმების შეცვლა მოგიწევთ. ამიტომ ეცადეთ, მნიშვნელოვან საკითხებში შეთანხმდეთ პარტნიორთან.

მამაკაცი: ამჟამად, გიჭირთ თქვენი უნარჩვევების გამომჟღავნება, მაგრამ ეს აუცილებელია საიმისოდ, რომ საკუთარ დამოუკიდებლობაში დაარწმუნოთ გარშემომყოფნი. კვირის მეორე ნახევარში, სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობისას, რადგან ერთ-ერთმა მათგანმა შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: უფროსობასთან მომხდარი კონფლიქტის გამო, გარკვეულ შეღავათებს დაკარგავთ. კვირის შუა პერიოდში, შესაძლოა, სამოგზაუროდ წახვიდეთ. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში.

მამაკაცი: თქვენ გარშემო ბევრი არაჯანსაღი ფუსფუსი და სისინიც კი შეინიშნება. მოთოკეთ ნერვები და ისიც გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება, განზრახ მოგაწოდონ არასწორი ინფორმაცია. მოერიდეთ ყოველგვარ შეთქმულებაში მონაწილეობას.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: მეტისმეტად დატვირთული იქნებით საიმისოდ, რომ პირადი ცხოვრებისთვის მოიცალოთ. თუმცა, ეს კვირა შეგიძლიათ გამოიყენოთ აქტიური დასვენებისათვის. კვირის დასაწყისში, საგანგებო ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჩაცმულობას.

მამაკაცი: შესაძლოა, ისეთ ადამიანებთან მოგიხდეთ ერთობლივი საქმიანობა, რომლებსაც არასდროს მიიჩნევდით პარტნიორებად. კვირის მეორე ნახევარში, ნებისმიერ იურიდიულ ინსტანციასთან შეხება თქვენთვის წამგებიანი იქნება.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: საუკეთესო დროა შვებულებისთვის. თუ ბინაში რემონტს აკეთებდით, მალე დაასრულებთ კიდეც. თუ ჯერ დაოჯახებული არ ხართ, შეიძლება, სწორედ ახლა შეხვდეთ თქვენს გულის სწორს.

მამაკაცი: ყურადღება გამოიჩინეთ საქმიანობისას: სიზარმაცის გამო, შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. თუ გავლენიანი ადამიანების დახმარება დაგჭირდათ, ნუ მოერიდებით – ეს წინ წასწევს თქვენს საქმეს.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: მეტისმეტად გადაიღალეთ და იმის თავიც კი არა გაქვთ, რომ მიღწეული შედეგებით დატკბეთ. დროა, შვებულებაზე იზრუნოთ. შვილები გაგახარებენ თავიანთი წარმატებებით.

მამაკაცი: არ არის გამორიცხული, რომ თქვენმა პარტნიორებმა, ადრე დადებული პირობები დაარღვიონ. მაგრამ მაინც, ზედმეტად ნუ გაამწვავებთ კონფლიქტს. ამ კვირაში, სერიოზულ დახმარებას გაუწევთ ნათესავებს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არ უარყოთ შემოთავაზება, რომელსაც კვირის დასაწყისში მიიღებთ – პირიქით, იგი თქვენთვის მაქსიმალურად მომგებიანად გამოიყენეთ. კვირის მეორე ნახევარში, შეიძლება, რომელიღაც თქვენს საიდუმლოს აეხადოს ფარდა; ამ შემთხვევაში, თანამშრომლებთან კონფლიქტი არ აგცდებათ.

მამაკაცი: მომავალში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, კარგად გაანალიზეთ შექმნილი სიტუაცია და თუ გაგიჭირდათ, კონსულტაციისთვის სპეციალისტებსაც მიმართეთ. ჩანაფიქრის განახორციელებლად ყველაზე ხელსაყრელი დღე, სამშაბათი იქნება.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კვირის დასაწყისში, შესაძლოა, კონფლიქტი მოგვიდეთ მეზობლებთან ან ნაცნობებთან. ეს რაღაც ტყუილის გამო მოხდება, რომელიც მალე გამჟღავნდება. შაბათს, საინტერესო ინფორმაციას მიიღებენ ის მშვილდოსანი ქალები, რომლებიც ინდივიდუალურ საქმიანობას ან საოჯახო ბიზნესს მისდევენ.

მამაკაცი: ადრე გამოცდილ პარტნიორებთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, აწყობთ საქმეს, რომელიც უფრო მეტად გაამყარებს თქვენს საზოგადოებრივ მდგომარეობას. ორშაბათს, მთავარი სიახლე შინ დაგხვდებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ორშაბათს არ დატოვოთ ბავშვები უმეთვალყურეოდ, რათა თავი აარიდოთ ტრავმებს. მთელი კვირა, ხელსაყრელია რომანტიკული ურთიერთობებისთვის. შუა პერიოდში კი, შესაძლებელია კონფლიქტები ეჭვიანობის გამო.

მამაკაცი: ყველა ღონე იხმარეთ სტაბილურობის შესანარჩუნებლად, გაუფრთხილდით საკუთარ რეპუტაციას. კვირის შუა პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ საბუთებთან მუშაობისას, რადგან შეიძლება, ვინმემ თქვენი მოტყუება სცადოს.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში, სამსახურში წინსვლის კარგი შანსი მოგეცემათ. უარს ნუ იტყვით ავანტიურულ წინადადებებზეც კი. თუმცა, რჩევაც დეკითხეთ ჭკვიან ადამიანებს. უქმეებში, შვილებთან ერთად გაისეირნეთ.

მამაკაცი: სამსახურში სასიხარულო სიახლეები გელით. კვირის დასაწყისში, სიფრთხილე გამოიჩინეთ სპორტულ დარბაზში, ვარჯიშის დროს: დიდი ფიზიკური დატვირთვისას, შესაძლებელია ტრავმაც.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მოსალოდნელია ცვლილებები, როგორც თქვენს პირად ცხოვრებაში, ასევე საქმიანობაში. გამოიჩინეთ ყურადღება, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. კვირის ბოლოს, სტუმრიანობა გელით.

მამაკაცი: შეეცადეთ, თავი აარიდოთ უბრალო პოლემიკასაც კი. პრობლემა, რომელიც გაგიჩნდებათ, მალე თავისით გადაწყდება. კვირის შუა პერიოდში, ფინანსური საკითხების გადაწყვეტა მოგიწევთ.

ფარეული – 21/III-20/IV

ქალი: ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტას, ჩვეულებრივზე მეტ დროსა და ძალებს მოახმართ, ამიტომ უმჯობესია, ამ პერიოდში, კოლექტიურ საქმიანობაში ჩაებათ. კვირის დასაწყისში, ძველ, საყვარელ მეგობრებს შეხვდებით.

მამაკაცი: განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ ფინანსური საკითხების გადაჭრისას. კვირის დასაწყისში, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების შედეგად, დღეს არსებულ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. შაბათს დაგეგმილ საქმიან შეხვედრაზე პერსპექტიულ პროექტებზე მსჯელობა მოგიწევთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: სამსახურში მომხდარი ცვლილებები გაგაღიზიანებთ, მაგრამ ნუ იჩქარებთ აღშფოთების გამოხატვას – შესაძლოა, ისინი სულაც არ იყოს ურიგო თქვენთვის. კვირის დამლევისთვის, შეცვალეთ რაიმე თქვენს ბინაში, რაც მთავარია – მოიცილეთ ზედმეტი ნივთები.

მამაკაცი: თქვენს სამსახურში ერთგვარი უძრაობა დაისადგურებს. გამოიყენეთ ეს დრო საიმისოდ, რომ გააანალიზოთ ამა თუ იმ საქმის პერსპექტიულობა, რათა თავი აარიდოთ შეცდომებს. შესაძლოა, უქმეები მძიმე აღმოჩნდეს თქვენთვის: არ არის გამორიცხული ინტრიგები ან კონფლიქტი რომელიმე პარტნიორთან.

კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ქორწინებით?

1) ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ დაოჯახების შემდეგ, შეყვარებულები დროთა განმავლობაში, ერთმანეთის მიმართ კარგავენ პატივისცემას და გულგრილნი ხდებიან?

ა) მართალია – 0;

ბ) იშვიათად – 1;

გ) არასოდეს – 2.

2) თქვენი აზრით, რა მოგიტანათ ქორწინებამ?

ა) ნერვიულობა და სიმშვიდის დაკარგვა – 0;

ბ) მიჭირს პასუხის გაცემა – 1;

გ) სიხარული და ბედნიერება – 2.

3) როგორ აფასებენ ნათესავები და მეგობრები თქვენს ქორწინებას?

ა) წარმატებულად მიაჩნიათ – 2;

ბ) საშუალოდ – 1;

გ) წარუმატებლად – 0.

4) როგორ მოიქცეოდით, რეალურად რომ შეგეძლოთ რაიმის შეცვლა?

ა) თქვენს მეუღლეს ხასიათს რადიკალურად შეუცვლიდით – 0;

ბ) გიჭირთ ამის თქმა – 1;

გ) არაფერს შეცვლიდით – 2.

5) მიგაჩნიათ თუ არა, რომ თანამედროვე ქორწინებამ ტრადიციული მნიშვნელობა და არსი დაკარგა?

ა) დიახ, ასეა – 0;

ბ) ამაზე არ გიფიქრიათ – 1;

გ) არ არის მართალი – 2.

6) რას ფიქრობთ, როცა თქვენს ოჯახს, მეგობრებისა და ახლობლების ოჯახებს ადარებთ?

ა) თქვენ სხვებზე უბედური ხართ – 0;

ბ) ყველა ოჯახი თითქმის ერთნაირია – 1;

გ) თქვენ სხვებზე მეტად გაგიმართლათ – 2.

7) მიგაჩნიათ თუ არა, რომ დამოუკიდებლად ცხოვრების გამო დაოჯახებაზე უარის თქმა შეცდომაა?

ა) დიახ, რა თქმა უნდა – 2;

ბ) ძნელი სათქმელია – 1;

გ) დამოუკიდებლობა ყველაფერზე ძვირფასია – 0.

8) ფიქრობთ თუ არა, რომ უთქვენოდ, თქვენი მეორე ნახევრის ცხოვრება გაცილებით უარესი იქნებოდა?

ა) დიახ – 0;

ბ) ძნელი სათქმელია – 1;

გ) არა, ასე არ ფიქრობთ – 2.

9) ამაყობთ თუ არა თქვენი მეუღლით?

ა) ძალიან – 2;

ბ) იშვიათად – 1;

გ) არასოდეს გიამაყიათ – 0.

10) თქვენი აზრით, რა უშლის ხელს თქვენს სრულყოფილ, ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას?

ა) თქვენი მეუღლის აუტანელი ხასიათი – 0;

ბ) ამაზე არ გიფიქრიათ – 1;

გ) ამის მიზეზი თქვენ თვითონ ხართ – 2.

11) გეჩვენებათ თუ არა, რომ



თქვენი მეუღლე ხშირად ამბობს სისულელეს და უადგილოდ ხუმრობს?

ა) დიახ, ასეა – 0;

ბ) არ შეგიმჩნევიათ – 1;

გ) არა, ის ძალიან ჭკვიანი და ენამოსწრებულია – 2.

12) გსიამოვნებთ თუ არა თქვენი მეუღლის გვერდით ხშირად ყოფნა?

ა) დიახ, ძალიან – 2;

ბ) ხან – კი, ხან – არა – 1;

გ) არა – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-5 ქულა: თქვენი ოჯახი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, სადაც არც სიყვარული და არც პატივისცემა არ სუფევს. ძნელი სათქმელია, თუ რის გამო ჩერდებით ერთმანეთის გვერდით — მოვალეობის თუ ჩვევის. თუმცა, იმის თქმა კი შეიძლება, რომ თქვენი ურთიერთობის გადარჩენა მაინც შესაძლებელია და ეს თქვენსავე ხელთაა. ჯერ კიდევ გაქვთ დრო, შეინარჩუნოთ ოჯახი.

6-12 ქულა: თქვენს ოჯახში ხშირად დგება კრიტიკული მომენტი. ყველაფერ ამის მიზეზი კი ის არის, რომ ყველანაირად ცდილობთ თქვენი მეორე ნახევრის გარდაქმნას. ეს შეუძლებელია — უმჯობესია, მეტი ყურადღებით მოეპყროთ მას, ვინც ოდესღაც ძალიან გიყვარდათ და გაიხსენოთ ის თვისებები, რაც მასში ესოდენ გხიბლავდათ.

13-18 ქულა: ერთი შეხედვით, თქვენს ოჯახში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეს მხოლოდ სხვების დასანახად ხდება — სინამდვილეში კი, თქვენს ოჯახში საკმაოდ ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. თუმცა, ეს საგანგაშო არ არის, კამათი ყველა ცოლ-ქმარს შორის ხდება. მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი ჭეშმარიტად გიყვართ და ერთმანეთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ.

19-24 ქულა: თქვენ იდეალური ოჯახი გაქვთ. ეს პირველ რიგში, თქვენივე დამსახურებაა. თქვენ გიყვართ მეორე ნახევარი და ამას ხშირად ეუბნებით კიდეც მას. თქვენს მეუღლესაც ძალიან უყვარხართ. თქვენი ქორწინება მართლაც წარმატებულია — ნამდვილად ბედნიერი წყვილი ხართ.

„ᲙᲝᲓᲐᲙᲘᲡᲐᲛ“ ᲒᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲐ

ᲞᲚᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲛᲐ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲙᲝᲓᲐᲙᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ. ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ“. ᲐᲥᲪᲘᲘᲡ – „ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲜᲥᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ 300 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲝᲓᲐ,

ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲝ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ ᲘᲥ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲗᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ 12012 ᲤᲝᲢᲝ ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲐ, ᲠᲐᲪ, ᲬᲘᲜᲐ, 2001 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ (JF) ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ 1402 ᲤᲝᲢᲝᲗᲘ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲤᲝᲢᲝᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲗᲔᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲜᲥᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲜᲥᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲑᲖᲔ. ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲘᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲙᲝᲓᲐᲙ-ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ. 31 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ „ᲙᲝᲓᲐᲙ-ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲞᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ. ■

ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲣᲚ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲤᲗᲘᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲨᲘ, ᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲥᲪᲐ ᲒᲐᲨᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲥ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲓ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲩᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡᲐᲡ ᲮᲐᲠᲛᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲐ ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲣᲚ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ ᲚᲐᲜᲙᲐᲨᲘᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲡ. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲐ, ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲣᲚᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲗ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲪ ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲐᲠᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲐ, ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ �გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲚᲘ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲜᲔᲜ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲑᲭᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲝᲔᲙᲚᲐᲗ ᲗᲣ, ᲒᲐᲔᲠᲘᲡᲙᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲭᲘᲠᲐᲗ ᲘᲒᲘ, ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲟᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲘᲥᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲔᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ. ■

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲓᲐᲜᲧᲔᲑᲘᲗ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ 80 ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲚᲘᲐ

ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲔᲚ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲡ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲡᲝᲚᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ 89 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲛᲝᲣᲮᲓᲐ. ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 4 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 3 ᲬᲔᲚᲘ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲰᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲭᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲭᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ, ᲘᲒᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ. ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲠᲗᲕᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ.

ᲐᲛᲐᲛᲐ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲛᲐ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ: „ᲛᲔ ᲛᲡᲣᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲐ.“ ■

„ᲡᲐᲡᲜᲘᲰᲐᲤᲝᲡ“ ᲛᲫᲚᲝᲚᲘ ᲡᲘᲩᲥᲐᲰᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲰᲑᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲡ

ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ „ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲡ“ ᲛᲫᲚᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ, ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲡ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ 113 ᲙᲛ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲝᲑᲐ, ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲫᲚᲝᲚᲛᲐ ᲡᲗ-ᲨᲘ 167 ᲙᲛ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲔ ᲒᲐᲜᲐᲕᲗᲐᲠᲐ. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲐ „ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲡ“ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲰᲧᲐᲕᲗ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲝᲪ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲝᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲕᲗ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ: ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ – ᲛᲐᲘᲙ ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲡ. – ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲘᲝ, – ᲓᲐᲡᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲜ. ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ■

ფოტოკუთხეები





ეკრანი